დანიშნულების ადგილი უცნობია

აგათა ჯორჯი

აგათა კრისტი

დანიშნულების ადგილი უცნობია

პირველი თავი

საწერ მაგიდასთან მჯდარ მამაკაცს სრულიად უმეტყველო სახე ჰქონდა. დაბნეულობის ნატამალი არ ეტყობოდა, არც ჩაფიქრებული ჩანდა. თვალში გეცემოდათ ის მეტისმეტი სიფერმკრთალე, დღეღამის უმეტეს დროს ხელოვნურ სინათლეზე ყოფნა რომ იწვევს. ასაკის დადგენა გაგიჭირდებოდათ — ვერც ხნიერს იტყოდით, ვერც ახალგაზრდას. გადატკეცილ, უნაოჭო სახეზე გადაღლა ეტყობოდა.

მეორე მამაკაცი, შავთმიანი, რომელიც ამავე კაბინეტში იმყოფებოდა, ენერგიული ადამიანი ჩანდა. ივი ვერც ახლა ისვენებდა — წამდაუწუმ წამოხტებოდა, ოთახში ბოლთას სცემდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა შენიშვნებს.

— მოხსენებები! — იმედგაცრუებული კილოთი წამოიძახებდა ხოლმე. — პატაკები, შეტყობინებები და ისევ მოხსენებები! და არც ერთში არაფერია საყურადღებო!

მაგიდაზე უწესრიგოდ ეყარა ქაღალდები. ერთ-ერთ ბარათზე ეწერა: „ბეტერტონი, თომას ჩარლზი“. ამ გვარის გასწვრივ უზარმაზარი კითხვის ნიშანი იყო დასმული. მაგიდასთან მჯდარმა მამაკაცმა თავი გააქნია.

— მაშ, ასე, პოლკოვნიკო ვარტონ, მთელი ეს მოხსენებები და შეტყობინება შეისწავლეთ და მათში საყურადღებო ვერაფერი აღმოაჩინეთ?

— მეორემ მხრები აიჩეჩა.

— დაბეჯითებით თქმა არავის შეუძლია!

— მართალი ხართ, დაბეჯითებით ვერავინ იტყვის!

— შეტყობინება რომიდან, შეტყობინება ტურინიდან... — დაიწყო კვლავ ვარტონმა და ტყვიამფრქვევივით მიაყარა: — „ის“ ხან რივერაში უნახავთ, ხან ანტვერპენში, აღწერილობით ვითომ ოსლოშიც უცვნიათ, ბიარიცაშიც მოუკრავთ თვალი... სტრასბურგიდან მის უცნაურ

საქციელს გვატყობინებენ... ოსტენდის სანაპიროზე ვიღაც ქერათმიან მომხიბვლელ ქალთან ერთად უნახავთ... ბრიუსელის ქუჩაზე ძაღლით სეირნობდაო... ჯერჯერობით ზოოპარკში ზებრასთან ხელგადახვეული არ უნახავთ, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, ასეთი რამეც შეგვატყობინონ. ყველაფერი გასარკვევია, — განაგრძო ვარტონმა. — ჩვენი პირველი ამოცანაა, სწორი პასუხი გავცეთ კითხვებს: როგორ? რატომ? და სად? გზა უნდა გადავუღობოთ ამ უმსგავსოებას — ყოველ თვეში უგზო-უკვლოდ იკარგებიან ცნობილი მეცნიერები, ჩვენ კი მათი ასავალ-დასავალიც კი ვერ გაგვიგია. არ ვიცით სად მიდის, სად ქრება ეს ხალხი! ჯესეპ, წაიკითხეთ ამერიკიდან გამოგზავნილი საიდუმლო დოსიე ბეტერტონის შესახებ?

მაგიდასთან მჯდარმა თავი დაუქნია.

— იმდროინდელი მემარცხენეობის სენია. იქ ყველამ მოიხადა იგი. რამდენადაც დადგინდა, სერიოზული არაფერია. ომამდე მას ბგერის დარგში უმუშავია, მაგრამ წარუმატებლად. როცა ცნობილი მანჰეიმი გერმანიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრაციაში წავიდა, ბეტერტონი მის ასისტენტად მიუწვევიათ. ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ ბეტერტონმა ამ სწავლულის ქალიშვილი შეირთო ცოლად. მანჰეიმის გარდაცვალების შემდეგ ბეტერტონმა დამოუკიდებლად განაგრძო მუშაობა და ბრწყინვალე შედეგებსაც მიაღწია. მას საყოველთაო აღიარება მოუტანა აღმოჩენამ, რომელმაც მეცნიერებაში გადატრიალება მოახდინა, სახელდობრ, „ZE“ - ს გახლეჩა. ბეტერტონმა დიდების მწვერვალს მიაღწია. ყოველივეს ბრწყინვალე კარიერისაკენ მიჰყავდა, მაგრამ ქორწინებიდან ცოტა ხნის შემდეგ ცოლი გარდაეცვალა, რამაც საშინლად იმოქმედა მასზე. მას შემდეგ ის ინგლისში დაბრუნდა და წელიწადნახევარი ჰარველში იმუშავა. ექვსი თვის წინ მეორედ იქორწინა — ადგილობრივი ნოტარიუსის ქალიშვილი შეირთო ცოლად.

— „ZE“ - ს გახლეჩა, — ბრაზიანად გაიმეორა ვარტონმა. — მთელი ეს ტერმინოლოგია მაღიზიანებს, — მის ხმაში აშკარა ზიზღი იგრძნობოდა. — მე ძველი თაობის ადამიანი ვარ, ჩემს დღეში არც ერთი მოლეკულა არ მინახავს! ესენი კი მთელ სამყაროს არხეინად ხლეჩენ! ეს ბეტერტონი ერთ-ერთი მთავარი გამხლეჩთაგანია! ჰო, მართლა, ჰარველში რას ამბობენ მაგაზე?

— ატომურ ცენტრში ბეტერტონს კარგად ახასიათებენ. მოსაუბრეები ერთმანეთს თითქმის ავტომატურად ეხმიანებოდნენ.

— ჩამოსვლიდან წელიწადნახევარი სულ თვალწინ გვყავდა... და ყველაფერი

ნორმალურად იყო.

— თქვენ კარგად მოგეხსენებათ, მეცნიერების ფსიქიკაზე რარიგ ცუდად მოქმედებს უშიშროების უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები. ისეთი შეგრძნებაა, თითქოს მიკროსკოპის ქვეშა ხარო. სწორედ ამ დროს ჩნდება აზრი ალბათ იდეალური ქვეყნის შესახებ — თავისუფლება ძმობა და მოღვაწეობა მთელი სამყაროს კეთილდღეობისათვის. ადამიანებს დამყოლი ხასიათი უყალიბდებათ და ათასნაირი ვიგინდარების ანკესს ეგებიან.

ჯესეპმა ნაღვლიანად გაუღიმა.

— ჩვენი საქმიანობა სრულიად სხვაა, მოკრძალებული ხალხი ვართ. ქვეყნიერების ხსნა ჩვენს ამოცანას არ შეადგენს, — და თითები მაგიდაზე აათამაშა. — ეჰ, ნეტა მეტი ვიცოდეთ ბეტერტონზე, მის ყოველდღიურ ჩვევებზე. მაგალითად, როგორი ხასიათი ჰქონდა, ხუმრობაზე თუ ეცინებოდა, რას შეეძლო გაებრაზებინა, როგორი ადამიანები უყვარდა, როგორი ეჯავრებოდა?

ვარტონი მოსაუბრეს ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა.

— ჯესეპ, რა თქვა ცოლმა, უკვე დაკითხეთ?

— მერე რამდენჯერ.

— ვერაფერში დაგვეხმარება?

— არა მგონია.

— როგორ ფიქრობთ, იცის რამე?

— არ ვიცი, დაბეჯითებით ამბობს, არაფერი ვიციო. მთელი ემოციები, რაც სიტუაციას შეეფერება — შეშფოთება, მწუხარება, სასოწარკვეთა სახეზე აქვს გამოხატული. რომ იცოდეთ, თავის ვერსიასაც კი გვთავაზობს: ბეტერტონი ალბათ მოიტაცესო.

— მერე, გჯერათ?

— მე ერთი ნაკლი მაქვს — არავისი არაფერი მჯერა... ჩვეულებრივი ქალია, ერთი მათგანი, ბრიჯის თამაშის დროს ყოველდღე რომ შეხვდები, მეტი არაფერი.

— გასაგებია, — გამოეხმაურა ვარტონი. — ეს მხოლოდ ართულებს საქმეს.

— ოლივია ბეტერტონი ახლაც მოსაცდელში ზის და გამოძახებას ელოდება. ისევ თავიდან მოგვიხდება დაკითხვა.

— ეს ალბათ ერთადერთი გზა არის... — ვარტონი სავარძლიდან წამოდგა. — აღარ დაგაკავებთ. — მერე თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა.

ჯესეპმა ტელეფონის ყურმილი აიღო.

— მისის ბეტერტონი შემოიყვანეთ.

ოლივია ბეტერტონი ოცდაშვიდი წლის მაღალი, მოხდენილი ქალი იყო. არაჩვეულებრივად ლამაზი ღია წაბლისფერი თმა ჰქონდა და ამ მდიდრული საბურველის ქვეშ მისი მშვენიერი სახე სულ უფერულდებოდა: განსაკუთრებით მომწვანო-მონაცრისფრო თვალები და ღია ფერის წამწამები. სახეზე კოსმეტიკის ნიშანი არ ეტყობოდა.

უცნაურია, მაგრამ ჯესეპს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს მისის ბეტერტონმა უფრო მეტი რამ იცოდა, ვიდრე ამბობდა. რთული მუშაობის გამოცდილებამ ჯესეპს უჩვენა, რომ რაც უნდა დიდ უბედურებაში იყოს ჩავარდნილი ქალი, კოსმეტიკას მაინც არ ივიწყებს. პირიქით, მაშინ ქალმა იცის, რომ თავისი მდგომარეობა დაღს ასვამს მის სახეს და ცდილობს რამენაირად დაფაროს ის. ბეტერტონის ცოლი ხომ არ ცდილობდა, რომ შეგნებულად ეთამაშა სასოწარკვეთილებაში მყოფი მეუღლის როლი?

— მისტერ ჯესეპ, ახალი ხომ არაფერი გაგიგიათ?

ჯესეპმა უარის ნიშნად თავი გააქნია და თავაზიანად უთხრა:

— მისის ბეტერტონ, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ იძულებული ვიყავი, ერთხელ კიდევ შემეწუხებინეთ აქ მოსვლით. ახალს ვერაფერს გაცნობებთ.

— ოლივიამ სწრაფად შეაწყვეტინა:

— ვიცი, ამას წერილშიც მწერდით. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ... იქნებ იმის შემდეგ... სიხარულითა და იმედით სავსე მოვდიოდი. შინ ათასნაირ მოსაზრებაზე ვიმტვრიე თავი. იმაზე საშინელი „

— ალბათ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, თუ ისევ ძველ თემას დავუბრუნდებით და იგივე შეკითხვებს გავიმეორებ? ზოგჯერ რაღაც უმნიშვნელო დეტალი წამოყოფს ხოლმე თავს... შესაძლოა ადრე გამოგრჩათ ზოგი რამ, ანდა არ ჩათვალეთ ყურადღების ღირსად.

— დიახ, გასაგებია. მკითხეთ, რაც გნებავთ.

— უკანასკნელად მეუღლე 23 აგვისტოს ნახეთ, არა?

— დიახ.

— ეს იყო პარიზში, კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად გაფრენის დღეს?

— დიახ.

ჯესეპი მალე გადავიდა მეორე კითხვაზე.

— ესე იგი, მისტერ ბეტერტონი კონფერენციის პირველ ორ დღეს ესწრებოდა. მესამე დღეს კი აღარ გამოჩენილა. როგორ ავხსნათ მისი სიტყვები, კოლეგას რომ უთხრა, თბომავლით სენაზე მინდა გავისეირნოო — შემთხვევით იყო? ეს თქვენ არ გაოცებთ? — ჯესეპი უხეშ ტონზე გადავიდა. — როგორ ავხსნათ, ქმრის თავისებური ხასიათით?

ოლივიას პასუხში ჯესეპმა მცირეოდენი მერყეობა იგრძნო.

— იცით რა, მე მეგონა... თომასს მომავალი კონფერენცია ძალიან აინტერესებდა.

— შესაძლოა. მაგრამ ჩვენ სწორედ ეს დღე გვაინტერესებს. იქნებ ერთი დღით დასვენება გადაწყვიტა?.. თქვენი აზრით, ასეთი საქციელი დამახასიათებელი იყო მისტერ ბეტერტონისთვის?

ოლივიამ თავი გააქნია.

— იმ ღამეს მისტერ ბეტერტონი სასტუმროში არ დაბრუნებულა, — განაგრძო ჯესეპმა. — ჩვენ შეგვიძლია დავამოწმოთ, რომ მაშინ საზღვარგარეთ არ წასულა, ყოველ შემთხვევაში თავისი გვარით. როგორ გგონიათ, შეიძლებოდა სხვა გვარზე ჰქონდა პასპორტი?

— რასაკვირველია, არა! რაში ესაჭიროებოდა? ჯესეპი მოსაუბრეს ყურადღებით აკვირდებოდა.

— თქვენ არასოდეს გინახავთ მისი მეორე პასპორტი?

— არა, არ მინახავს და არცა მჯერა, რომ ჰქონდა. თავისი სურვილით ის არსად არ წავიდოდა, როგორც თქვენ გგონიათ. უთუოდ რაღაც ხიფათს გადაეყარა, ან იქნებ... იქნებ... უცებ გონება დაკარგა?

— ადრე ჯანმრთელი იყო?

— დიახ. საქმე ისაა, რომ თომასი ბევრს მუშაობდა და მეტისმეტად იღლებოდა.

— ერთი ეს მითხარით, ზოგჯერ უმიზეზოდ ხომ არ აფორიაქდებოდა ან რამე ხომ არ აწუხებდა?

— მწუხარებისა და შეშფოთების არავითარი მიზეზი არ ჰქონდა, — ოლივიამ აკანკალებული თითებით გახსნა ჩანთა და ცხვირსახოცი ამოიღო. — ეს საშინელებაა, — თქვა მან თრთოლვით და დაუმატა: — პირდაპირ ვერ დამიჯერებია! არაფრით არ წავიდოდა ჩემს გაუფრთხილებლად. თომასს რაღაც დაემართა: ან მოიტაცეს, ანდა თავს დაესხნენ. ხანდახან ვცდილობ, რომ თავი შევიკავო და აღარ ვიფიქრო ამაზე. ისე კი, მაინც მგონია, რომ რაღაც საშინელება ტრიალებს მის თავზე...

— მაგრამ, მისის ბეტერტონ, ჯერჯერობით ამის საფუძველი არ გაგვაჩნია. რომ მოეკლათ, გვამი დიდი ხნის აღმოჩენილი იქნებოდა.

— იქნებ დაიხრჩო, ან საკანალიზაციო ჭაში ჩააგდეს? კარგად ვიცი, რომ პარიზში ყველაფერი ხდება.

— დამიჯერეთ, მისი ბეტერტონ, რომ პარიზში ძალიან კარგი პოლიციაა...

— ვიცი, რასაც ფიქრობთ, — მკვახედ შეაწყვეტინა ჯესეპს მისის ბეტერტონმა, — ეს არ არის მართალი! თომასი საიდუმლოს არასოდეს არ გაყიდის და არც გასცემს, ის ანკარა წყაროსავით სუფთაა და მთელი ცხოვრება უმწიკვლოდა აქვს გატარებული!

— მისის ბეტერტონ, თქვენი ქმრის პოლიტიკური შეხედულებების შესახებ რას გვეტყვით?

— ამერიკის შეერთებულ შტატებში მგონი დემოკრატი იყო. აქ, ინგლისში, ლეიბორისტებს მისცა ხმა. საერთოდ კი, მართალი გითხრათ, პოლიტიკა სულ არ აინტერესებდა. სულით ხორცამდე მეცნიერი იყო და ბრწყინვალე მეცნიერიც. — ქალის ხმაში

ერთგვარი გამოწვევა იგრძნობოდა.

— გეთანხმებით, — მიუგო ჯესეპმა. — ბრწყინვალე მეცნიერი იყო. ჰოდა საქმეც ეს არის. ეგებ საინტერესო წინადადება შესთავაზეს და სხვა ქვეყანაში წავიდა?

— ტყუილია! — შესძახა ოლივიამ, რომელიც არც ცდილობდა მრისხანების დაფარვას. — ყველა გაზეთი ასე აშუქებს და თქვენც ასე გგონიათ, მაგრამ ტყუილია! ჩემს გაუფრთხილებლად არსად წავიდოდა..

— მან მართლა არაფერი გითხრათ? — ჰკითხა ჯესეპმა და ქალს სახეზე დაკვირვებით მიაჩერდა.

— არაფერი. წარმოდგენა არა მაქვს, სად არის. ჩემი აზრით მოიტაცეს, ანდა, როგორც ვთქვი, ცოცხალი აღარ არის. მაგრამ თუ თომასი აღარ არის, მე უნდა ვიცოდე ეს! უნდა ვიცოდე! ასე გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა აღარ შემიძლია. ჩემთვის აღარც ძილია, აღარც ჭამა. ილაჯი გამიწყდა. ნუთუ ვერაფრით დამეხმარებით?

ჯესეპი წამოდგა და მაგიდას შემოუარა.

— რა გიყოთ, მისის ბეტერტონ — ჯესეპის ხმაში თანაგრძნობა ისმოდა. — ძალიან ვწუხვარ. რაც ჩვენს ხელთ არის, ყველაფერს ვიღონებთ, არაფერს დავიშურებთ. ყოველ დღე ვღებულობთ ცნობებს სხვადასხვა ქვეყნიდან...

— სხვადასხვა ქვეყნიდან? — შეაწყვეტინა ოლივიამ, — რაო, რას იტყობინებიან? ჯესეპმა თავი გააქნია.

— მასალები ჯერ შესასწავლია, გასაანალიზებელი. მარტო იმის თქმა შემიძლია, რომ არაფერი არ არის გარკვეული.

— მე მინდა ვიცოდე სიმართლე, მისტერ ჯესეპ! — მუდარით უთხრა ოლივიამ. — ასე ყოფნა აღარ შემიძლია.

— დიახ მესმის... მაპატიეთ, მაგრამ ერთი რამ უნდა გკითხოთ: ქმართან უსიამოვნება ხომ არ გქონიათ?

— არასოდეს!

— იქნებ ვინმე ქალის გულისათვის მოგსვლიათ უთანხმოება?

— არა! როგორ გეკადრებათ! აკი გითხარით, გასულ აპრილს დავქორწინდით მხოლოდ!

— თქვენ ისე კი არ გამიგოთ, თითქოს ეს დასაშვები იყოს. უბრალოდ, მხედველობაში ყველაფერია მისაღები. გვინდა გავარკვიოთ, რამ გამოიწვია მისი უეცარი გაუჩინარება. მაშ, მისის ბეტერტონ, თქვენ ამტკიცებთ, რომ ბოლო დროს თქვენი მეუღლე არაფერს უჩიოდა და არაფერზე არ სწუხდა. იქნებ რამეზე ნერვიულობდა?

— არა, არა!

— ასეთი დაძაბული მუშაობისას, როგორც თქვენს ქმარს ჰქონდა, ადამიანები ნერვიულები ხდებიან, ნორმალური ადამიანებისთვის ეს საკვლევით ბუნებრივია. — გაუღიმა ჯესეპმა ქალს, — ალბათ თავისი საქმე ძალიან უყვარდა. სამსახურის თაობაზე თქვენთან თუ ულაპარაკია?

— არა, არასოდეს. ეს რაღაც განსაკუთრებული სამუშაოა.

— ხომ არ შეგინიშნავთ, რომ თავისი მეცნიერული მუშაობით უკმაყოფილო ყოფილიყოს? მეცნიერებს ეს ხშირად ემართებათ ხოლმე.

— არასოდეს ამისი მსგავსი არაფერი უთქვამს.

— აი, ხომ ხედავთ, მისის ბეტერტონ, — წინ გადმოიხარა ჯესეპი და ადრინდელი პასიურობა მთლად გაუქრა. მე ვცდილობ თქვენი ქმრის პორტრეტის შექმნას, თქვენ კი ხელს არ მიწყობთ.

— სხვა რა გითხრათ, როგორ მოვიქცე? თქვენს ყველა შეკითხვას ვუპასუხე.

— ეგ მართალია, მაგრამ პასუხების უმრავლესობა ერთნაირად უარყოფითი იყო. მე კი პიროვნების დადგენა მინდა, გამიგეთ? ადამიანის მოძებნა მაშინ უფრო ადვილია, როცა იცი, რას წარმოადგენს ის. ფიქრებში წასული ოლივია ერთხანს უხმოდ იჯდა.

— მესმის, უფრო სწორად მგონია, რომ გაგიგეთ... თომასი ძალიან მხიარული და კეთილი იყო, თან, რასაკვირველია, ჭკვიანი.

ჯესეპს გაეღიმა.

— თქვენ მისი თვისებები ჩამოთვალეთ. აი, მიდრეკილებებზე რას იტყვით? მაგალითად, კითხვა თუ უყვარდა?

— დიახ, ძალიან უყვარდა.

— რანაირ ლიტერატურას კითხულობდა?

— რა გითხრათ... ბიოგრაფიულს კითხულობდა. წიგნის საზოგადოების ყოველგვარ რეკომენდაციებს. როცა იღლებოდა, მერე დეტექტივს მიმართავდა ხოლმე.

— თამაშებიდან რა უფრო უყვარდა: ჭადრაკი, კარტი, თუ რა?

— ბრიჯს თამაშობდა. კვირაში ორჯერ ევანსებს ვეთამაშებოდით.

— ბევრი მეგობარი ჰყავდა?

— არა, მეგობრები არა ჰყავდა. თომასი კანადაში დაიბადა. დიდხანს იცხოვრა შტატებში. აქ ცოტას იცნობდა.

ჯესეპმა მის წინ დადებულ ერთ-ერთ დოკუმენტს დახედა.

— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სულ ახლახანს მისტერ ბეტერტონს შეერთებული შტატებიდან სამი კაცი ესტუმრა. ბოლო დროს უცხოელთაგან ამათ გარდა არავის შეხვედრია. ამიტომაც იწვევს ინტერესს ეს სამი ადამიანი. პირველი

— უოლტერ გრიფიტსი; ის მგონი პირველში გესტუმრათ.

— მართალია, გრიფიტსი გავლით იყო ინგლისში და თომასის სანახავად გვეწვია.

— თქვენი ქმარი როგორ შეხვდა?

— თომასს ძალიან გაუკვირდა, მაგრამ გულით გაიხარა. შტატებში მეგობრულად ყოფილან.

— რას გვეტყვით გრიფიტსზე? როგორ მოგეწონათ? აბა, ამიწერეთ...

— რა საჭიროა, უჩემოდაც კარგად გეცოდინებათ.

— მართალია, მაგრამ მე თქვენი აზრი მაინტერესებს.

— რა გითხრათ... — შეყოვნდა ოლივია. — გრიფიტსი ძალიან თავაზიანად მექცეოდა თომასის ნახვაც გულწრფელად გაეხარდა. ცოცხლად უამბობდა იქაურ ამბებს, რაც თომასის წამოსვლის შემდეგ მომხდარა. იმ ხალხს რადგან არ ვიცნობდი, ის ნაამბობიც ნაკლებად მაინტერესებდა.

— პოლიტიკაზე თუ საუბრობდნენ?

— თქვენ გაინტერესებთ, ის კომუნისტია თუ არა? არა, არ არის. არავითარი ამისი მსგავსი. გრიფიტსი მთავრობის სამსახურშია სადღაც საოლქო სასამართლოში. როცა თომასმა დაცინვით მოიხსენია ცნობილ „კუდიანებზე ნადირობა“, მას ეწყინა და ქედმაღლურად განაცხადა: აქ, ინგლისში, თქვენ ბევრი რამ არ გესმითო. საკმაოდ აშკარაა, რომ კომუნისტი არ გახლავთ.

— ოჰ, მისის ბეტერტონ, რა საჭიროა ასე გაცხარება!

— არც თომასი იყო კომუნისტი. რამდენჯერ გავიმეორე ეს, მაგრამ მაინც არ გჯერათ!

— რატომაც არა, მჯერა... მეორე პიროვნება, რომელიც ბეტერტონთან შტატებიდან ჩამოვიდა, ვინმე მარკ ლუკაჩი იყო. თქვენ მას ლონდონში შეხვდით, „დორსეტში“, გახსოვთ?

— დიახ, სწორია. ერთხელ, სპექტაკლის შემდეგ. სავახშმოდ „დორსეტში“ შევედით ლუკაჩი იქ მოვიდა ჩვენთან და მოგვესალმა. თუ არ ვცდები, მგონი ქიმიის დარგში აწარმოებს რაღაც გამოკვლევებს. ლუკაჩი გერმანიის ყოფილი ქვეშევრდომია. ახლა ამერიკის მოქალაქეა.

— ერთი ეს მითხარით, თქვენმა ქმარმა ძალიან გაიოცა ლუკაჩი რომ დაინახა?

— დიახ, ძალიან გაოცდა.

— გაეხარდა?

— მგონი გაეხარდა...

— რაღაც დარწმუნებული არა ხართ.

— როგორ გითხრათ, თომასი ლუკაჩის მიმართ მაინცდამაინც კეთილგანწყობილი არ იყო. ეს მოგვიანებით მითხრა ქმარმა.

— გამოდის, რომ ეს შეხვედრა მოულოდნელი ყოფილა? ახალ პაემანზე ხომ არ შეთანხმებულან?

— არა, ლუკაჩი შემთხვევითი ნაცნობი იყო.

— მესამე უცხოელი, რომელსაც მისტერ ბეტერტონი შეხვდა, იყო ქალი, ვინმე ქეროლ სპიდერი, ისიც შტატებიდან გახლდათ. მითხარით რამე ამ პიროვნებაზე.

— ოდესღაც ის გაერთიანებულ ორგანიზაციასთან ყოფილა დაკავშირებული. სპიდერმა დაგვირეკა და გვთხოვა, ერთად გვესაუზმა.

— მერე, წახვედით?

— არა.

— თქვენ არა, მაგრამ ქმარი იყო.

— შეუძლებელია! — წამოიძახა ოლივიამ.

— მოითმინეთ, — მიმართა ჯესეპმა გაოცებით. — როგორ, მისტერ ბეტერტონმა არაფერი გითხრათ?

— არა.

აშკარად შემცბარ ოლივიას გუნება გაუფუჭდა. ჯესეპი, ცოტა არ იყოს, უხერხულად გრძნობდა თავს, მაგრამ უთქმელობა არ შეიძლებოდა. მას ინტუიცია კარნახობდა, რომ სწორ გზას ადგა.

— არაფერი მესმის, — გაუბედავად თქვა ოლივიამ. — ძალიან უცნაურია, რომ თომასმა დამიმალა და არაფერი მითხრა.

— ამრიგად, ხუთშაბათს, 12 აგვისტოს, მათ ერთად ისაუზმეს „დორსეტში“, იქ, სადაც მისის სპიდერმა დაიდო ბინა.

— 12 აგვისტოს?

— დიახ.

— ის ქალი ლონდონში მართლაც აგვისტოს შუა რიცხვებში იყო. თომასს კი არაფერი უთქვამს ამ... საუზმეზე. — ოლივიამ უცებ იკითხა: — მისტერ ჯესეპ, ერთი მითხარით, ქეროლ სპიდერი რანაირი ქალია?

— დიდი ვერაფერი შვილია, თვალს ვერავის მოსჭრის. ორმოციოდე წლის საქმიანი ქალია. მას და მისტერ ბეტერტონს შორის რაიმე ინტიმურ ურთიერთობაზე საეჭვო არაფერია. სწორედ ეს არის საკვირველი, რომ ამ შეხვედრის თაობაზე მეუღლეს კრინტი არ დაუძრავს თქვენთან.

— დიახ მართალია...

— ახლა, მისის ბეტერტონ, დაფიქრდით და გაიხსენეთ, იმ დღეებში ხომ არაფერი ცვლილება შეგიმჩნევიათ ქმრისათვის?

— არა, არაფერი შემინიშნავს და არც არაფერი იყო შესამჩნევი...

ჯესეპმა ამოიოხრა. უცებ შიდა ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ჯესეპმა ყურმილი აიღო.

— ვიღაც კაცია მოსული, — შეატყობინეს ჯესეპს ტელეფონით, — ასე ამბობს, ბეტერტონის საქმეზე ვარო.

— რა გვარია? — იკითხა ჯესეპმა და გვარი ჩაიწერა. — სთხოვეთ დამელოდოს. ჯესეპმა ოლივიას შეხედა. ქალი რაღაცნაირი სასოწარკვეთილი ჩანდა.

— ამ გვარის კაცს თუ იცნობთ? — ჰკითხა ჯესეპმა და ფურცელი მშვიდად გაუწოდა.

ქალს თვალები გაუფართოვდა. ჯესეპს ერთი წუთით მოეჩვენა, რომ ქალი თითქოს შეკრთა.

— დიახ, ვიცნობ, — მოესმა მას წყნარი პასუხი. — ამ კაცმა წერილი მომწერა.

— როდის?

— გუშინ. ეგ თომასის პირველი ცოლის ძმაა. ინგლისში ახლახან ჩამოვიდა. ძლიერ

შეწუხებულია ჩემი მეუღლის დაკარგვით. წერილში მეკითხებოდა, ახალი ხომ არაფერი გაგიგიათო. მან ღრმა თანაგრძნობა გამომიცხადა.

— ადრე თუ იცნობდით? ოლივიამ თავი გააქნია.

— ქმარს თუ უხსენებია?

— არა.

— იქნებ სულაც არ არის მეუღლის ნათესავი?

— არ ვიცი, ამაზე არ დავფიქრებულვარ. — მისის ბეტერტონი ძალიან დამფრთხალი ჩანდა; ხმა სულ ჩაუწყდა. — ნეტა, რა უნდა?

— აი, სწორედ ამ კითხვას ვუსვამთ ხოლმე ჩვენს თავს, — გაეცინა ჯესეპს.

— არა, ამის გადატანა მეტად აღარ შემიძლია. — ოლივია ბეტერტონმა შუბლიდან გადაიყარა ლამაზი კულულები. — უკეთესია სადმე წავიდე, თუნდაც უცხოეთში, სადაც რეპორტიორები არ დამესევიან და ხალხიც არ დამიწყებს ქუჩაში ყურებას. ახლა სახლში უნდა ნახოთ — დღე და ღამე მირეკავენ მეგობრები, ახალი ხომ არაფერი გაგიგიათო. — ცოტა ხანი გაჩუმდა და მერე ისევ განაგრძო: — უბრალოდ, მეშინია, არ გავგიჟდე. ვცდილობ, გავმაგრდე, მაგრამ თავს ვერ ვერევი... სხვათა შორის, ჩემი ექიმიც ამ აზრისაა, დაჟინებითაც კი მთხოვს, რომ სამი-ოთხი კვირით სადმე წავიდე. აი, მისი წერილიც, შემიძლია გიჩვენოთ. თქვენ რა აზრისა ხართ, შემიძლია წავიდე?

— რა თქმა უნდა, მისის ბეტერტონ, რატომაც არა! — გაოცებით ასწია წარბები ჯესეპმა.

— მე მეგონა, უარს მეტყოდით.

— უარს? რატომ? ეს ხომ თქვენი ნებაა. მხოლოდ ისე მოაწყეთ, რომ თქვენთან ადვილად შეიძლებოდეს დაკავშირება, თუ რაიმე გავიგეთ ახალი.

— რასაკვირველია.

— მაინც საით აპირებთ გამგზავრებას?

— იქ, სადაც მზე მცხუნვარეა და ინგლისელები კი ცოტა — ესპანეთში ან მაროკოში!

— ძალიან კარგი. მგონი ეს მოგზაურობა გარგებთ.

— გმადლობთ. ოჰ, რა მადლობელი ვარ ყველაფრისათვის.

ჯესეპი წამოდგა. ქალს გამოწვდილი ხელი ჩამოართვა და მორიგეს უბრძანა, მისის ბეტერტონი გაეცილებინა.

ცოტა ხნის შემდეგ მაიორ გლიდერს სთხოვა შემოსულიყო.

მეორე თავი

— მაიორი გლიდერი ბრძანდებით?

— თქვენ კი მისტერ ჯესეპი, არა?

— დიახ, მისტერ ჯესეპი გახლავართ. მოსულმა ინტერესით შეათვალიერა ჯესეპი.

— ბევრი რამ გამიგონია თქვენზე, — უთხრა მან ბოლოს.

— მართლა? — სხვათა შორის იკითხა ჯესეპმა.

გლიდერი მეტად მშვიდი და თავდაჯერებული კაცი გამოდგა, რაც საკმაოდ უჩვეულო იყო ამ ვითარებაში. აქ მოხვედრილთა უმრავლესობა ფრთხება, ან ნერვიულობს, ღელავს. ამ გაქვავებული სახის კაცს კი შესანიშნავად ეჭირა თავი. ამ ყაიდის ადამიანებმა კარგად იციან თავის საქმე. იმაზე მეტს არასოდეს იტყვიან, რისი თქმაც საჭიროდ მიაჩნიათ.

— რითი შემიძლია გემსახუროთ? — თავაზიანად შეეკითხა ჯესეპი.

— მაინტერესებს, გაქვთ თუ არა რაიმე ცნობა თომას ბეტერტონზე? მოგეხსენებათ, გაზეთებს ყოველთვის ვერ დაუჯერებს კაცი. ვფიქრობ, თქვენგან უფრო შეიძლებოდა საიმედო რაიმეს გაგება.

— სამწუხაროდ, ჯერჯერობით არაფერია გარკვეული.

— ვიფიქრე, იქნებ საიდუმლო დავალებით საზღვარგარეთ გააგზავნეს-მეთქი...

— ძვირფასო სერ! — შესძახა ცოტა არ იყოს შეურაცხყოფილმა ჯესეპმა. —

ბეტერტონი მხოლოდ მეცნიერია და არა დიპლომატი ან საიდუმლო აგენტი!

— ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს, თუმცა ისე, კაცმა რომ თქვას, ეტიკეტი ყოველთვის როდი შეეფარდება შიგთავსს. ახლა მთავარზე გადავიდეთ. ნება მომეცით, აგიხსნათ, თუ რითაა გამოწვეული ჩემი ინტერესი ამ ამბისადმი. ბეტერტონი ჩემი ნათესავია.

— დიახ, ვიცი. თქვენ განსვენებული პროფესორის მანჰეიმის დის შვილი ხართ.

— დიახ, სწორად გცოდნიათ.

— ზოგჯერ გვაწვდიან ხოლმე საჭირო ცნობებს... ახლა აქ ბეტერტონის ცოლი იყო და თქვენი ნათესაური კავშირი იმისაგან გავიგეთ. მართლა, თქვენ მისწერეთ ქალს წერილი?

— დიახ. მივუსამძიმრე და თან დავინტერესდი, ახალი ხომ არაფერი გაგიგიათ-მეთქი.

— სწორად მოქცეულხართ.

— მისტერ ჯესეპ, დედაჩემი პროფესორ მანჰეიმის ერთადერთი და იყო. და-ძმას უსაზღვროდ უყვარდათ ერთმანეთი და მეც უმეტეს დროს მათ სახლში ვატარებდი. მისი ქალიშვილი ელზა ჩემთვის ღვიძლ დასავით იყო. ჩემი მშობლების გარდაცვალების შემდეგ მათთან გადავედი საცხოვრებლად. მათი სახლი ჩემ სახლად იქცა. ეს ყველაზე ბედნიერი ხანა იყო ჩემს ცხოვრებაში. დაიწყო ომი. ამას მოჰყვა ტრაგედიები, საშინელი დღეები... ბიძაჩემი და ელზა შტატებში გაემგზავრნენ. მე პოლონეთში დავრჩი, წინააღმდეგობის იატაკქვეშა ჯგუფში. ომის შემდეგ მოვახერხე შტატებში გამგზავრება ჩემიანების სანახავად. ვაი, რომ ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. ევროპაში სამუშაო რომ დავასრულე, გადავწყვიტე, ბიძაჩემი და ელზა კიდევ მენახა, მაგრამ... — გლიდერმა ხელები გაშალა. — შტატებში გავიგე მათი სიკვდილის ამბავი. ის, ვისაც ჩემი და ქმარს უწოდებდა, ინგლისში გამომგზავრებულიყო და მეორედ ექორწინა. ასე რომ, მეორე ოჯახიც დავკარგე. ახლა თომას ბეტერტონის გაუჩინარება გავიგე და ვიფიქრე, იქნებ რამეში გამოგადგეთ-მეთქი. — გლიდერი გაჩუმდა და ჯესეპს შეხედა. ჯესეპი მოსაუბრის მიღმა იყურებოდა გულგრილად. — როგორ გგონიათ მისტერ ჯესეპ, რამ გააქრო ეს ადამიანი?

— ჩვენც სწორედ ამის გაგება გვსურს, მეტი არაფერი — მიუგო ჯესეპმა.

— იქნებ იცით და არ ამბობთ?

ჯესეპი ოდნავ დაინტერესდა კიდეც ამით, თუ რა ადვილად შეცვალეს როლები მან და გლიდერმა. ამ კაბინეტში, ჩვეულებრივ, ის იძლეოდა კითხვებს, მოსულები კი პასუხობდნენ. ახლა, პირიქით, უცნობი აწარმოებდა დაკითხვას.

— მაპატიეთ, მაგრამ, — დაიწყო ჯესეპმა, — არ მესმის, რატომ ხართ ამ ამბით დაინტერესებული? ბეტერტონი თქვენი ნათესავიც კი არ არის. თანაც, არც კი იცნობდით.

— მართალია, — დაეთანხმა გლიდერი. — მაგრამ, ჩვენთვის, პოლონელებისათვის, ოჯახის ღირსება ყველაზე მაღლა დგას, მერე კიდევ, არსებობს ერთგვარი მოვალეობაც. — ის წამოდგა და თავი დაუკრა. — მაპატიეთ, რომ დრო წაგართვით თავაზიანი მიღებისთვის დიდად გმადლობთ. თუ დაგჭირდით, შეგიძლიათ ამერიკის საელჩოს საშუალებით დამიკავშირდეთ.

სტუმარი რომ გააცილა, ჯესეპმა ყურმილი აიღო.

— პოლკოვნიკ ვარტონს სთხოვეთ.

კაბინეტში შესვლისთანავე ჯესეპმა ვარტონს მიაგება:

— აჰა, როგორც იქნა, ყინული დაიძრა!

— რანაირად?

— მისის ბეტერტონმა საზღვარგარეთ წასვლის სურვილი გამოთქვა. ვარტონმა დაუსტვინა.

— თავის ქმარიკოსთან ხომ არა?

— შეიძლება. ექიმის წერილით გამზადებული გვეახლა. ექიმი თურმე „დაჟინებით

ურჩევს“ გარემოს გამოცვლასა და დასვენებას.

— დიდებული ხერხია!

— იქნებ არც ტყუის, ვინ იცის! — ჯესეპი შეეცადა ამხანაგის აღტაცება ცოტათი მაინც შეენელებინა. — ისე, უნდა გამოვტყდე, მისის ბეტერტონმა თავისი როლი დამაჯერებლად შეასრულა; ყოყმანის კვალიც არ ეტყობოდა.

— ახალი ვერაფერი დასტყუეთ?

— სრულიად უმნიშვნელო რამ. სპიდერზე, აი, ბეტერტონმა ვისთან ერთადაც ისაუზმა „დორსეტში“.

— მერე?

— უარს ამბობს, ჩემთვის არაფერი გაუმხელიაო.

— აჰა, თქვენი აზრით ამას უშუალო კავშირი აქვს საქმესთან?

— ვინ იცის, იქნებ ასეც იყოს. ერთხელ სპიდერი სამძებრო კომისიაში გაიწვიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. მან შეძლო თავის მართლება, თუმცა საკმაოდ შეუბერტყეს ფრთები. იქნებ ეს სწორედ ის პატარა ძაფია, რასაც უნდა ჩავეჭიდოთ თომას ბეტერტონის საქმის თავის გასართმევად. დღეს ჩემთან იყო ბეტერტონის პირველი ცოლის ძმა, მაიორი გლიდერი. საქმის დეტალები აინტერესებდა.

— თქვენ, რა თქმა უნდა, უკვე დაავალებდით ვინმეს, რომ მასზე თვალი ეჭიროთ?

— რა თქმა უნდა, ზარის ღილაკს უკვე ორჯერ დავაჭირე თითი, — ჩაიცინა ჯესეპმა.

— მაინც საით აპირებს ქალბატონი? — დაუბრუნდა ვარტონი ძველ თემას.

— ესპანეთში ან მაროკოში. ეს ის ქვეყნებია სადაც ბეტერტონი არ უნახავთ.

— აჰა, — თქვა ვარტონმა და გაბრაზებით დააკაკუნა თითები საიდუმლო ცნობების საქაღალდეზე. — ამ საქმეს რომ თავი ვერ გავართვათ, ღმერთმა იცის, რა მოხდება.

ჯესეპი სავარძელზე გადაწვა.

— დიდი ხანია, აღარ დამისვენია, — თქვა მან წყნარად, — ამ კანტორამაც თავი მომაბეზრა. რა იქნება, საზღვარგარეთ რომ მეც გავისეირნო?

მეორე თავი

— მაიორი გლიდერი ბრძანდებით?

— თქვენ კი მისტერ ჯესეპი, არა?

— დიახ, მისტერ ჯესეპი გახლავართ. მოსულმა ინტერესით შეათვალიერა ჯესეპი.

— ბევრი რამ გამიგონია თქვენზე, — უთხრა მან ბოლოს.

— მართლა? — სხვათაშორის იკითხა ჯესეპმა.

გლიდერი მეტად მშვიდი და თავდაჯერებული კაცი გამოდგა, რაც საკმაოდ უჩვეულო იყო ამ ვითარებაში. აქ მოხვედრილთა უმრავლესობა ფრთხება, ან ნერვიულობს, ღელავს. ამ გაქვავებული სახის კაცს კი შესანიშნავად ეჭირა თავი. ამ ყაიდის ადამიანებმა კარგად იციან თავის საქმე. იმაზე მეტს არასოდეს

იტყვიან, რისი თქმაც საჭიროდ მიაჩნიათ.

— რითი შემიძლია გემსახუროთ? — თავაზიანად შეეკითხა ჯესეპი.

— მაინტერესებს, გაქვთ თუ არა რაიმე ცნობა თომას ბეტერტონზე? მოგეხსენებათ, გაზეთებს ყოველთვის ვერ დაუჯერებს კაცი. ვფიქრობ, თქვენგან უფრო შეიძლებოდა საიმედო რაიმეს გაგება.

— სამწუხაროდ, ჯერჯერობით არაფერია გარკვეული.

— ვიფიქრე, იქნებ საიდუმლო დავალებით საზღვარგარეთ გააგზავნეს-მეთქი...

— ძვირფასო სერ! — შესძახა ცოტა არ იყოს შეურაცხყოფილმა ჯესეპმა. —

ბეტერტონი მხოლოდ მეცნიერია და არა დიპლომატი ან საიდუმლო აგენტი!

— ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს, თუმცა ისე, კაცმა რომ თქვას, ეტიკეტი ყოველთვის როდი შეეფარდება შიგთავსს. ახლა მთავარზე გადავიდეთ. ნება მომეცით, აგიხსნათ, თუ რითაა გამოწვეული ჩემი ინტერესი ამ ამბისადმი. ბეტერტონი ჩემი ნათესავია.

— დიახ, ვიცი. თქვენ განსვენებული პროფესორის მანჰეიმის დის შვილი ხართ.

— დიახ, სწორად გცოდნიათ.

— ზოგჯერ გვაწვდიან ხოლმე საჭირო ცნობებს... ახლა აქ ბეტერტონის ცოლი იყო და თქვენი ნათესაური კავშირი იმისაგან გავიგეთ. მართლა, თქვენ მისწერეთ ქალს წერილი?

— დიახ. მივუსამძიმრე და თან დავინტერესდი, ახალი ხომ არაფერი გაგიგიათ-მეთქი.

— სწორად მოქცეულხართ.

— მისტერ ჯესეპ, დედაჩემი პროფესორ მანჰეიმის ერთადერთი და იყო. და-ძმას უსაზღვროდ უყვარდათ ერთმანეთი და მეც უმეტეს დროს მათ სახლში ვატარებდი. მისი ქალიშვილი ელზა ჩემთვის ღვიძლ დასავით იყო. ჩემი მშობლების გარდაცვალების შემდეგ მათთან გადავედი საცხოვრებლად. მათი სახლი ჩემ სახლად იქცა. ეს ყველაზე ბედნიერი ხანა იყო ჩემს ცხოვრებაში. დაიწყო ომი. ამას მოჰყვა ტრაგედიები, საშინელი დღეები... ბიძაჩემი და ელზა შტატებში გაემგზავრნენ. მე პოლონეთში დავრჩი, წინააღმდეგობის იატაკქვეშა ჯგუფში. ომის შემდეგ მოვახერხე შტატებში გამგზავრება ჩემიანების სანახავად. ვაი, რომ ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. ევროპაში სამუშაო რომ დავასრულე, გადავწყვიტე, ბიძაჩემი და ელზა კიდევ მენახა, მაგრამ... — გლიდერმა ხელები გაშალა. — შტატებში გავიგე მათი სიკვდილის ამბავი. ის, ვისაც ჩემი და ქმარს უწოდებდა, ინგლისში გამომგზავრებულიყო და მეორედ ექორწინა. ასე რომ, მეორე ოჯახიც დავკარგე. ახლა თომას ბეტერტონის გაუჩინარება გავიგე და ვიფიქრე, იქნებ რამეში გამოგადგეთ-მეთქი. — გლიდერი გაჩუმდა და ჯესეპს შეხედა. ჯესეპი მოსაუბრის მიღმა იყურებოდა გულგრილად. — როგორ გგონიათ მისტერ ჯესეპ, რამ გააქრო ეს ადამიანი?

— ჩვენც სწორედ ამის გაგება გვსურს, მეტი არაფერი — მიუგო ჯესეპმა.

— იქნებ იცით და არ ამბობთ?

ჯესეპი ოდნავ დაინტერესდა კიდეც ამით, თუ რა ადვილად შეცვალეს როლები მან

და გლიდერმა. ამ კაბინეტში, ჩვეულებრივ, ის იძლეოდა კითხვებს, მოსულები კი პასუხობდნენ. ახლა, პირიქით, უცნობი აწარმოებდა დაკითხვას.

— მაპატიეთ, მაგრამ, — დაიწყო ჯესეპმა, — არ მესმის, რატომ ხართ ამ ამბით დაინტერესებული? ბეტერტონი თქვენი ნათესავიც კი არ არის. თანაც, არც კი იცნობდით.

— მართალია, — დაეთანხმა გლიდერი. — მაგრამ, ჩვენთვის, პოლონელებისათვის, ოჯახის ღირსება ყველაზე მაღლა დგას, მერე კიდევ, არსებობს ერთგვარი მოვალეობაც. — ის წამოდგა და თავი დაუკრა. — მაპატიეთ, რომ დრო წაგართვით თავაზიანი მიღებისთვის დიდად გმადლობთ. თუ დაგჭირდით, შეგიძლიათ ამერიკის საელჩოს საშუალებით დამიკავშირდეთ.

სტუმარი რომ გააცილა, ჯესეპმა ყურმილი აიღო.

— პოლკოვნიკ ვარტონს სთხოვეთ.

კაბინეტში შესვლისთანავე ჯესეპმა ვარტონს მიაგება:

— აჰა, როგორც იქნა, ყინული დაიძრა!

— რანაირად?

— მისის ბეტერტონმა საზღვარგარეთ წასვლის სურვილი გამოთქვა. ვარტონმა დაუსტვინა.

— თავის ქმარიკოსთან ხომ არა?

— შეიძლება. ექიმის წერილით გამზადებული გვეახლა. ექიმი თურმე „დაჟინებით ურჩევს“ გარემოს გამოცვლასა და დასვენებას.

— დიდებული ხერხია!

— იქნებ არც ტყუის, ვინ იცის! — ჯესეპი შეეცადა ამხანაგის აღტაცება ცოტათი მაინც შეენელებინა. — ისე, უნდა გამოვტყდე, მისის ბეტერტონმა თავისი როლი დამაჯერებლად შეასრულა; ყოყმანის კვალიც არ ეტყობოდა.

— ახალი ვერაფერი დასტყუეთ?

— სრულიად უმნიშვნელო რამ. სპიდერზე, აი, ბეტერტონმა ვისთან ერთადაც ისაუზმა „დორსეტში“.

— მერე?

— უარს ამბობს, ჩემთვის არაფერი გაუმხელიაო.

— აჰა, თქვენი აზრით ამას უშუალო კავშირი აქვს საქმესთან?

— ვინ იცის, იქნებ ასეც იყოს. ერთხელ სპიდერი სამძებრო კომისიაში გაიწვიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. მან შეძლო თავის მართლება, თუმცა საკმაოდ შეუბერტყეს ფრთები. იქნებ ეს სწორედ ის პატარა ძაფია, რასაც უნდა ჩავეჭიდოთ თომას ბეტერტონის საქმის თავის

გასართმევად. დღეს ჩემთან იყო ბეტერტონის პირველი ცოლის ძმა, მაიორი გლიდერი. საქმის დეტალები აინტერესებდა.

— თქვენ, რა თქმა უნდა, უკვე დაავალებდით ვინმეს, რომ მასზე თვალი ეჭიროთ?

— რა თქმა უნდა, ზარის ღილაკს უკვე ორჯერ დავაჭირე თითი, — ჩაიცინა ჯესეპმა.

— მაინც საით აპირებს ქალბატონი? — დაუბრუნდა ვარტონი ძველ თემას.

— ესპანეთში ან მაროკოში. ეს ის ქვეყნებია სადაც ბეტერტონი არ უნახავთ.

— აჰა, — თქვა ვარტონმა და გაბრაზებით დააკაკუნა თითები საიდუმლო ცნობების საქაღალდეზე. — ამ საქმეს რომ თავი ვერ გავართვათ, ღმერთმა იცის, რა მოხდება.

ჯესეპი სავარძელზე გადაწვა.

— დიდი ხანია, აღარ დამისვენია, — თქვა მან წყნარად, — ამ კანტორამაც თავი მომაბეზრა. რა იქნება, საზღვარგარეთ რომ მეც გავისეირნო?

მესამე თავი

— 108 რეისი. პარიზი, ეა ფრანს. აქეთ მობრძანდით!..

ამ ცნობამ ჰეტ როუს აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში მსხდომნი ააწრიალა. ჰილარი კრეივენმა თავისი ნიანგის ტყავის პატარა ჩემოდანს ხელი დაავლო და სხვებთან ერთად გასასვლელისაკენ გაემართა.

ცივმა ქარმა დაუბერა. ქალი მჭიდროდ გაეხვია ქურქში, ბოლოს, როგორც იქნა, მიატოვებს ამ ნისლს, სიცივეს, უღიმღამო არსებობას და გასწევს მზისკენ, ლურჯი ცისკენ, ახალი ცხოვრებისაკენ, მრავალი თვის შემდეგ, მან პირველად იგრძნო, როგორ ეცლებოდა გულიდან მძიმე ლოდი.

ძრავები აგუგუნდნენ. ჰილარი სავარძელში გადაწვა და თვალები მილულა. უკან რჩებოდა ინგლისი, იქ გადატანილი ტანჯვა-წამება, იმედგაცრუებული სიყვარული და პატარა ნაღვლიანი ბორცვი — ბრენდის უკანასკნელი თავშესაფარი.

ორლის აეროდრომამდე ჰილარის ეძინა. აქ ის კასაბლანკაში მიმავალ თვითმფრინავში გადაჯდა.

კასაბლანკას მინაზე ფეხის დადგმაც ვერ მოასწრო, რომ მოსამსახურე პერსონალიდან ვიღაცამ მიულოცა:

— ბედი გქონიათ, მადამ, რომ წინა თვითმფრინავით არ იმგზავრეთ!

— რატომ, რა მოხდა? — გულგრილად იკითხა ჰილარიმ.

აეროპორტის მოხელემ მიიხედ-მოიხედა, ჰილარისაკენ დაიხარა და ხმადაბლა უთხრა:

— საშინელება დატრიალდა. თვითმფრინავი დაჯდომისას დაიმსხვრა. პილოტი და შტურმანი დაიღუპნენ. სამი მგზავრი მძიმედ დაშავდა და საავადმყოფოში წაიყვანეს.

ჰილარიმ გულში გაივლო, რატომ მეც იქ არ ვიყავიო. ახლა აღარ იქნებოდა არც გამოღრღნილი გული, არც გადატანილი უსიამოვნებები. მოკვდებოდა და ყველაფერი გათავდებოდა.

ჰილარი სასტუმროში მიხვდა, რომ ინგლისიდან გაქცევა სულ არ იყო ხსნა — თავის თავს ხომ ვერსად გაექცეოდა. გაიხსენა ექიმის უცნაური ქცევა, როდესაც მან საძილე წამლის გამოწერა სთხოვა. ექიმმა უარი უთხრა, ალბათ მიხვდა, ამას რა მოჰყვებოდა.

ჰილარი ქუჩაში გავიდა აფთიაქის მოსაძებნად.

...მან ჩანთიდან ოთხი პატარა პაკეტი ამოიღო, რომელიც ძლივს ძლივობით შეაგროვა სხვადასხვა აფთიაქში. გახსნა თუ არა ისინი, კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. გადაწყვიტა, არ გამოპასუხებოდა და უცებ გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა: კარის სახელური ნელ-ნელა გადატრიალდა, კარი გაიღო და ზღურბლზე მამაკაცი გამოჩნდა: ჰილარიმ მაშინვე იცნო ის მამაკაცი. მან სულ ახლახან იყიდა აფთიაქში კბილის პასტა. უცნობმა კარი მიხურა, მივიდა მაგიდასთან, რომელთანაც ჰილარი იჯდა და მის პირდაპირ მოთავსდა.

— ჩემი გვარი ჯესეპია — წარუდგა ის.

გაოცებულ ჰილარის, ცოტა არ იყოს, უადგილოდ ეჩვენა მისი გამოჩენა. აღშფოთებისგან წამოწითლდა კიდეც. თავი ძლივს შეიკავა, რომ არ აფეთქებულიყო და უხეშად ჰკითხა:

— რას აკეთებთ აქ? ჯესეპმა მშვიდად შეხედა.

— უცნაურია, მეც ეგ უნდა მეკითხა თქვენთვის. სწორედ ამისათვის მოვედი აქ, — და ხელი მიუთითა მაგიდაზე დადებულ პატარა პაკეტებზე.

ჰილარი გაჩუმდა. პასუხისათვის სიტყვებს ეძებდა. მერე, რატომღაც ეს ჰკითხა:

— კარი როგორ გააღეთ?

ჯესეპს სახეზე ბავშვურმა ღიმილმა გადაუარა. ამ ღიმილმა თითქოს გააახალგაზრდავა იგი. მან ჯიბიდან რკინის გასაღები ამოიღო.

— აჰა, გასაგებია, სახლებს ტეხავთ, არა? — უკვე მშვიდად ჰკითხა ქალმა.

— არა, მისის კრეივენ. იყავით სამართლიანი. აკი დაგიკაკუნეთ კარზე. ვინც სახლებს ტეხავს, განა კარზე აკაკუნებს? მაგრამ როცა მივხვდი, კარს არ გამიღებს-მეთქი, იძულებული ვიყავი, ამ ინსტრუმენტისათვის მიმემართა.

— მერე, რისთვის დაგჭირდათ ეს ამბავი? ჯესეპის მზერა ისევ პაკეტებს გადასწვდა.

— თქვენს ადგილას ამას არ ჩავიდენდი.

— რა ვქნა, ცხოვრებასთან აღარაფერი მაკავშირებს, — უცბად აღმოხდა ქალს. — ქმარმა, რომელიც მიყვარდა, მიმატოვა. ერთადერთი შვილი მენინგიტით მომიკვდა. არც მეგობრები მყავს, არც მშობლები... არავითარი მოწოდება არ გამაჩნია, არც საშუშაო მაქვს... არაფერი! გასაგებია? იქნებ ინებოთ და ახლა მაინც დამტოვოთ მარტო.

— ჯერ არა. მე მინდა ზოგიერთი რამ დავაზუსტო. გამოდის, რომ ცხოვრება მოგძულებიათ და თავის მოკვლა გადაგიწყვეტიათ. ასეა თუ ისე, სიკვდილზე ფიქრობთ?

— დიახ.

— გასაგებია. ახლა ვგონებ, რამდენადმე ყველაფერი ნათელია. გადავიდეთ სხვა საკითხზე. ამისათვის აუცილებელია საძილე საშუალება?

— რა გაქვთ მხედველობაში?

— საძილე წამლით სიკვდილი სულაც არ არის რომანტიკული, როგორც ეს ერთი

შეხედვით ჩანს. არც ფანჯრიდან გადავარდნაა სასიამოვნო. ადამიანი მაშინვე არ კვდება. მატარებელში ჩავარდნასაც თავისი უარყოფითი მხარეები აქვს. საით ვუმიზნებ? არსებობს სხვა ათასნაირი გზა.

— ვერაფერი გავიგე, რა გინდათ?

— ბუნებრივიცაა! ჯერ ხომ არაფერი მითქვამს. ამისათვის მთელი ისტორიის მოყოლა დამჭირდება, ნებას დამრთავთ?

ჰილარი წინააღმდეგი არ წასულა. ჯესეპმაც თავისებურად, ტკეპნით დაიწყო:

— თქვენ ალბათ იმ ყაიდის ქალი ხართ, რომელიც გაზეთებს კითხულობს და იცის, რა ხდება ქვეყნად. იქნებ გაგიგონიათ, რომ დროდადრო სხვადასხვა ქვეყანაში მეცნიერები იკარგებიან. შარშან ერთი იტალიელი ფიზიკოსი გაქრა უგზოუკვლოდ. ამ ორი კვირის წინ კი ჩვენთან სადღაც დაიკარგა ახალგაზრდა მეცნიერი თომას ბეტერტონი.

ჰილარიმ თავი დაუქნია.

— მახსოვს, წავიკითხე.

— მაგრამ ცხოვრებაში გაცილებით რთული და მეტი რამ ხდება, ვიდრე ამას პრესაში წერენ. მარტო ფიზიკოსები როდი იკარგებიან. ასე ემართებათ ქიმიკოსებს, ექიმებს, ბიოლოგებს. ამ გზას მიჰყვა ერთი ადვოკატიც. ასე ხდება თითქმის ყველა ქვეყანაში. ჩვენ კი ვალდებული ვართ, გამოვიკვლიოთ მათი გაუჩინარების მიზეზები: თავისი ნებით წავიდნენ, თუ ვინმემ დააგანა ძალა? რა ორგანიზაცია მოქმედებს და რა მიზანს ემსახურება ის? მოკლედ, ათასნაირი კითხვა წამოიჭრება და ჩვენც პასუხი უნდა გავცეთ. თქვენ... იქნებ სწორედ თქვენ შეგეძლოთ ამაში დაგვხმარებოდით?

ჰილარი გაოცებული შეჰყურებდა მოსაუბრეს.

— მე? რანაირად? რაღა მაინცდამაინც მე?

— ახლა კონკრეტულ საქმეზე გადავდივარ. — აუღელვებლად განაგრძო ჯესეპმა. — ორი თვის წინ პარიზში დაიკარგა თომას ბეტერტონი. ინგლისში დარჩა საშინლად შეწუხებული ცოლი, ან, ვინ იცის, იქნებ თავს გვაჩვენებს ასე. მისის ბეტერტონი ირწმუნება, რომ წარმოდგენა არა აქვს, სად არის მისი ქმარი. არ ვიცი, მართალს ამბობს, თუ არა.

ზოგიერთებს, და მათ შორის მეც, მგონია, რომ ცრუობს.

ჰილარი ისე უსმენდა, თითქოს შიშობდა, არც ერთი სიტყვა არ გამომრჩესო. ნაამბობმა ძალაუნებურად დააინტერესა.

— მისი ბეტერტონს თვალყურს ვადევნებთ. მან ორი კვირის წინ გამოგვიცხადა, რომ ექიმებმა საზღვარგარეთ წასვლა ურჩიეს, გარემოს გამოსაცვლელად და დასასვენებლად. გუშინ ის ინგლისიდან კასაბლანკაში გაფრინდა.

— გასაგებია... უფრო სწორად, გაუგებარია. მერედა მე რა შუაში ვარ?

— საქმე ეხება თქვენს მშვენიერ თმებს და არა თქვენ.

— როგორ თუ თმებს?

— მისის ბეტერტონის მშვენება მისი თმები იყო. ალბათ გაიგებდით, რომ სამი საათის წინ თვითმფრინავი დაჯდომის დროს დაიმსხვრა. ამ თვითმფრინავში იყო

მისტერ ბეტერტონის ცოლი ოლივია. ის არ მომკვდარა. მძიმედ დაშავებული საავადმყოფოში წაიყვანეს. ექიმები ამბობენ, ხვალამდე ვერ გასტანსო. — ჰილარის თვალებში ჯესეპმა გაოცება ამოიკითხა. — დიახ, სწორედ ასეა. — მტკიცედ თქვა მან

— ახლა ხომ გაიგეთ, რანაირ თვითმკვლელობას გთავაზობთ? მე მინდა, რომ თომას ბეტერტონის მეუღლემ მგზავრობა განაგრძოს. ჩემი წინადადებაა მისი ცოლი გახდეთ.

— ეგ შეუძლებელია! — წამოიძახა ჰილარიმ. — ისინი ხომ მაშინვე მიხვდებიან, რომ მე არა ვარ მისის ბეტერტონი?

ჯესეპმა ფიქრიანად გადახარა გვერდზე თავი.

— ეს, რა თქმა უნდა, იმათზეა დამოკიდებული. მერედა ვინ არიან „ისინი“? არ ვიცით. ჩვენი აზრით, ისინი თავის დაცვის მიზნით პატარ-პატარა ჯგუფებად მუშაობენ. თუ მისის ბეტერტონის მგზავრობა წინასწარ იყო დაგეგმილი, მაშინ ამ მგზავრობის პასუხისმგებლები დანიშნულ დროს, განსაზღვრულ ადგილას უნდა დაკავშირებოდნენ ამ ქალს. აი, ნახეთ მისის ბეტერტონის პასპორტში აღნიშნული გარეგნული ნიშნები: სიმაღლე — ხუთი ფუტი და შვიდი დუიმი, ოქროსფერი თმები, მომწვანო-მოლურჯო თვალები, ჩვეულებრივი პირი, რაიმე განსაკუთრებული ნიშანი არა აქვს. ცუდია?

— მერე, ადგილობრივი ხელისუფლება?.. ისინი... ალბათ... ჯესეპს გაეღიმა.

— ეგ საქმე მოგვარებულია. ფრანგებმა თვითონ დაჰკარგეს რამდენიმე ახალგაზრდა მეცნიერი. ახლა ისინი ჩვენთან თანამშრომლობენ. ყველაფერი ისე ეწყობა, როგორც დავთქვით. ავიაკატასტროფის შედეგად მისის ბეტერტონმა კანტუზია მიიღო და საავადმყოფოში წაიყვანეს. მეორე მგზავრს ჰილარი კრეივენსაც ათავსებენ საავადმყოფოში. ორიოდე დღის შემდეგ მისის კრეივენი გარდაიცვლება, მისი ბეტერტონი კი გამოჯანმრთელდება. მას, რა თქმა უნდა დარჩება კონტუზიის უსიამოვნო ნაკვალევი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მგზავრობის გაგრძელებას მაინც შეძლებს. კატასტროფა ნამდვილად მოხდა. კანტუზიის დიაგნოზს ექიმები დასვამენ. სხვათა შორის, კონტუზიით ზოგიერთი შეუსაბამობის ახსნა შეიძლება, მაგალითად, მეხსიერების დაქვეითება, უცნაური ქცევა, თუკი ვთქვათ, ასე მოეჩვენება ვინმეს მისის ბეტერტონის საქციელი.

— წმინდა წყლის ბოდვაა! — წამოიძახა ჰილარიმ.

— რა გაეწყობა, შორიდან ასე ჩანს. — დაეთანხმა ჯესეპი — თუ ჩვენი ეჭვი დადასტურდა, მაშინ ხომ გაიგებთ, რა გულახდილი ვარ თქვენთან. გატყობთ, თვითონაც მზადა ხართ, ამხილოთ ისინი. მითხარით, თანახმა ხართ, ამ საქმეს ხელი მოკიდოთ, მისის კრეივენ?

— არ ვიცი, ვცდი.

— მაშინ, — თქვა ჯესეპმა და წამოხტა. მან ერთბაშად ენერგიის დიდი მოზღვავება იგრძნო, — არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლება.

მეოთხე თავი

საავადმყოფოს ერთ-ერთ საწოლთან, რომელშიც თავზე დოლბანდშემოხვეული მისის ოლივია ბეტერტონი იწვა, რკინის მაგარ სკამზე იჯდა ჰილარი კრეივენი. პალატაში მედდა და ჯესეპიც იყვნენ.

— თუ ცნობიერება დაუბრუნდა, — ჩუმად უთხრა ჯესეპმა ჰილარის, — მისგან აუცილებლად უნდა გავიგოთ პაროლი ანდა რაიმე ცნობა, პირობითი ნიშანი, რაც დათქმული ექნებათ... ამას თქვენ უფრო გეტყვით, ვიდრე მე.

— მისტერ ჯესეპ, გავაგებინოთ, რომ კვდება?

— არ ვიცი, მოვიფიქრებ.

ჰილარიმ თავი დაუქნია. ახალგაზრდა მომაკვდავი ქალი მას ძალიან შეებრალა. ის უნდა შეხვედროდა მამაკაცს, რომელიც უყვარდა. იქნებ ასე არ არის? ეგებ აქ იმიტომ ჩამოვიდა, რომ გული გადაეყოლებინა და ქმარზე რაღაც ცნობას დალოდებოდა...

ჰილარი ფიქრებიდან მომვლელი ქალის გულგრილმა ხმამ გამოარკვია:

— მადამ, მგონი კვდება. წავალ ექიმს დავუძახებ. — ამ სიტყვებით ის პალატიდან გავიდა. ჯესეპი კუთხეში დადგა, რომ ოლივიას არ დაენახა.

ავადმყოფს ღია ფერის წამწამები უცებ შეერხა. მომწვანო-მოლურჯო ფერის თვალები დაკვირვებით შეაჩერდნენ ჰილარის სახეს.

— სად ვარ?

პალატაში უცებ შემოვარდა ექიმი. მან ავადმყოფის ხელი აიღო და პულსის თვლა დაიწყო.

— საავადმყოფოში ხართ, მადამ, — უთხრა მან. — თქვენი თვითმფრინავი დაიმსხვრა.

— თვითმფრინავი?.. — ოლივიას ხმა ოდნავ ისმოდა. უსისხლო ტუჩებს ძლივს ამოძრავებდა.

— აქ, კასაბლანკაში ხომ არავის ნახვა გინდოდათ? იქნებ ვინმესთვის რამე უნდა გეცნობებინათ?

მომაკვდავის თვალები ექიმს მიაჩერდა.

— არა, — მერე უცბათ ჰილარი დაინახა. — ვინ... ვინა ხართ თქვენ?

— მეც ინგლისიდან ვარ. თვითმფრინავით ჩამოვფრინდი, — დაბნეულად უპასუხა ჰილარიმ. — თუ რითიმე შემიძლია დაგეხმაროთ, მითხარით...

— არა, არაფრით... არაფრით...

— მომისმინეთ, — უთხრა ჰილარიმ. — მე შემიძლია მოვახერხო თქვენი ქმრის ნახვა, რა გადავცე?

— გადაეცით... უთხარით... რომ ფრთხილად იყოს... ბორის... ბორის... ეს საშიში...

— დამეხმარეთ, რომ თქვენს ქმარს დავუკავშირდე.

— თოვლი...

— რა? თოვლი?.. — გაიმეორა თავგზააბნეულმა ჰილარიმ.

ჰილარი დაიხარა და ოლივიას ძლივს გასაგონ ჩურჩულს მიუგდო ყური:

— ჰო, თოვლი... მიწაზე დაეცა... — და ოლივია ბეტერტონი გათავდა.

მომდევნო ხუთი დღე ჰილარი კრეივენისათვის ძალზე დაძაბული გამოდგა. ის მოათავსეს საავადმყოფოს სპეციალურ პალატაში, სადაც ჰილარი შეუდგა

მუშაობას, მას უნდა დაეზეპირებინა ოლივია ბეტერტონის ცხოვრების ყოველი დეტალი, რისი გაგებაც კი მოახერხეს: როგორ სახლში ცხოვრობდა, როგორ იყო ის მოწყობილი, შინამოსამსახურეების გარეგნობა და მათი სახელები, ნათესავების სახელები, საყვარელი ძაღლების შერქმეული სახელები და თუთიყუშის სახელიც კი არ უნდა გამორჩენოდა. უნდა დაეზეპირებინა აგრეთვე ექვსი თვის მანძილზე ოლივიას და თომასის ერთად ცხოვრების ყველა წვრილმანი: ქორწილი, მიწვეულ სტუმართა ტუალეტი... ოლივიას გემოვნება დროსტარება, მეგობრები, ნაცნობები, საყვარელი საჭმელები და სასმელები. ეს ყველაფერი უნდა შერწყმოდა ოლივიას მთლიან პიროვნებას.

ერთხელ ჰილარი ჯესეპს შეეკითხა:

— მერე, ესენი გამომადგება?

— შეიძლება გამოგადგეთ, შეიძლება არა, — მშვიდად მიუგო ჯესეპმა.

ჰილარის და ოლივიას აღწერილობა პასპორტის მიხედვით საკვლევით ემთხვეოდა ერთმანეთს. ოლივიაზე იტყოდით, არა უშავს კარგი ქალიაო, მაგრამ, რაც შეეხება ჰილარის, ჯერ მარტო მისი თვალები რად ღირდა — ისინი მის გონიერებაზე მეტყველებდნენ. ნიკაპის არაჩვეულებრივი ოვალი მტკიცე ხასიათზე მიუთითებდა. მისი სახე მოქანდაკეს, ალბათ, დააინტერესებდა.

— აი, თქვენ ამბობთ, — კვლავ დაუბრუნდა ჰილარი ადრინდელ საუბარს, — არავის

არ შეეპარება ეჭვი, რომ ოლივია ბეტერტონი ვარ. თქვენ გგონიათ, რომ იმ ქალს არ იცნობდნენ? რის საფუძველზე ამტკიცებთ ამას?

ჯესეპმა მხრები აიჩეჩა.

— აბსოლუტურად დარწმუნებული ვერაფერში ვერ იქნები. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ რაღაც საერთაშორისო ორგანიზაციები უნდა არსებობდეს, რომლებიც, ბოროტებას სჩადიან. ვფიქრობთ, რომ კავშირი მათ შორის მტკიცე არ უნდა იყოს. აქედან იმას ვასკვნით, რომ ცალკეული რგოლების მოღვაწეობაში ცუდად უნდა ერკვეოდნენ. თითოეულმა მხოლოდ თავისი უბანი იცის. ოლივია ბეტერტონი, როგორც პიროვნება, არავის არ აინტერესებს. ის მხოლოდ პაიკია ამ დიდ თამაშში. როგორც ჩანს, მათი მიზანი იყო, ცოლი ქმრისათვის მიეგვარათ. რატომ და რა მიზნით, ამას შეიძლება ბუნდოვნად მიხვდეთ. შესაძლოა ქმარმა მოითხოვა ცოლი გვერდით ჰყოლოდა. ანდა უბრალოდ იქაური ადმინისტრაცია ამას საჭიროდ თვლის. არ დაგავიწყდეთ, რომ ოლივიას სხვა პიროვნებით შეცვლის იდეა უეცრად წამოიჭრა. ამის მიზეზი ავიაკატასტროფაა. ჩვენ ვფიქრობდით, ოლივია ბეტერტონზე თვალყური გვედევნებინა. გვაინტერესებდა, სად და როგორ წავიდოდა, გზაში ვის შეხვდებოდა და სხვა.

— გამოდის, რომ ახლა მე დამიწყებთ თვალთვალს?

— ბუნებრივია. მაგრამ თქვენ ვითომ არაფერი იცით. ასე სჯობია. რაც არ იცით, ვის რას მოუყვებით. თქვენ არაფერი მოგივათ, ჰილარი, საკმაოდ ნიჭიერი მონაფე ხართ!..

— კეთილი, მაგრამ მოგზაურობის საბოლოო მიზანს რომ მივაღწევ, მაშინ რაღა მომივა?

— ვერ გავიგე?

— აი, იმ მომენტზე გეუბნებით, თომას ბეტერტონს რომ შევხვდები.

ჯესეპი გაჩუმდა.

— აბა, რა გითხრათ, მართლაც რომ საშიში მომენტია, — უთხრა მან ბოლოს და დასძინა: — ერთადერთი, რაც ახლა შემიძლია გითხრათ, ეს არის: თუ საქმე კარგად წავიდა, იმ შემთხვევაში, თქვენ დაგიცავენ, თუ ჩვენი განზრახვის მიხედვით წარიმართა ყოველივე... გახსოვთ, მე თავიდანვე გაგაფრთხილეთ, რომ დავალება საკმაოდ სახიფათოა და თქვენი გადარჩენა არც ისე იოლია.

— გასაგებია. — მერე ჰილარი საქმის პრაქტიკულ მხარეს დაუბრუნდა. — ვაი თუ ვინმემ მიცნოს?

— არა მგონია. თქვენ ოლივია ბეტერტონის სახელით იცხოვრებთ. ისეთსავე თმის ვარცხნილობას გაგიკეთებთ და ტანისამოსიც ისეთივე გეცმევათ. ამის გარდა თქვენს გარეგნობას ორიოდე პლასტირის დაკვრა შეცვლის. ექიმები ადგილობრივ ანესთეზიას გაგიკეთებენ, თქვენს სახეზე ცოტას წაიმუშავებენ; მტკივნეული არ იქნება. კატასტროფის ნამდვილი კვალი ხომ უნდა გაჩნდეთ.

— ყველაფერი მართლა კარგად გაგითვალისწინებიათ, — თქვა ჰილარიმ და ჩაფიქრდა. — მისტერ ჯესეპ, რატომ არ მეკითხებით, რა თქვა ოლივიამ სიკვდილის წინ?

— ვიცოდი, რომ ამას თქვენ თვითონ მეტყოდით.

— დაახლოებით ასე თქვა: „გადაეცით, რომ ეშინოდეს და უფრთხილდეს ბორისს...“

— აჰა, ეს არის ის თავაზიანი უცხოელი, მაიორი გლიდერი.

— ისე მომეჩვენა, თითქოს ოლივია რაღაცნაირი შიშით ლაპარაკობდა მასზე. ამიწერეთ გლიდერი, რომ რაღაც შემთხვევის დროს ვიცნო.

— სიამოვნებით. იქნება გამოგადგეთ კიდეც: ის ექვსი ფუტის სიმაღლეა, ას სამოც გირვანქას იწონის, ფართო მხრები და ღია ფერის თმა აქვს. გულგრილი გამომეტყველება, ღია ფერის თვალები, დახვეწილი ქცევა, ლაპარაკობს კარგი ინგლისურით, მაგრამ ოდნავ აქცენტით, წელში მხედრულად გამართულია. მასზე თვალყურის დევნამ არავითარი შედეგი არ მოგვცა. გლიდერი ჩვენთან ამერიკის საელჩოს სარეკომენდაციო წერილით მოვიდა. ის მაშინვე საელჩოში დაბრუნდა. ვინ იცის, იქნებ ოლივია მართალი იყო და მაიორი გლიდერი საშიში პიროვნებაა.

მეხუთე თავი

კატასტროფიდან ხუთი დღის შემდეგ ექიმებმა ოლივია ბეტერტონს საავადმყოფოდან გასვლის ნება დართეს. სანიტარულმა მანქანამ ის სან-ლუის სასტუმროში მიიყვანა. გაფითრებულმა, სახეზე სალბუნდაწებებულმა და თავშეხვეულმა ქალმა სასტუმროს უფროსის ღრმა თანაგრძნობა გამოიწვია. მან თვითონ მიაცილა ქალი მისთვის განკუთვნილ ნომერში.

— ო, რა საშინელებაა, რა საშინელებაა, მადამ! — წამდაუწუმ იმეორებდა ის.

ჰილარი ისე მოერგო თავის როლს, რომ მთელს ტანში მართლაც სისუსტეს გრძნობდა. გეგონებოდათ, საავადმყოფოში ნამდვილად მძიმე ავადმყოფობა გადაუტანიაო.

დილით ჰილარიმ გადაწყვიტა, თუ ახლავე არ იქნებოდა რაიმე ცნობა, მაშინვე შეეკვეთა ბილეთები ფეცსა და მარაკეშში. არც წერილი იყო, არც დეპეშა. არც ტელეფონით დაურეკავს ვინმეს. ჰილარი კუკის სააგენტოსაკენ გაეშურა. ბევრი ხალხი იყო და დიდხანს მოუხდა ლოდინი. როცა მისი ჯერი დადგა, კლერკმა სათვალის ზემოდან გადმოხედა და გაოცებით უთხრა:

— მადამ ბეტერტონი ბრძანდებით? ყველაფერი რიგზეა. თქვენი ბილეთები უკვე შეკვეთილია.

— ეს კარგა ხნით ადრე იქნებოდა. ვადები გასული იქნება. მე საავადმყოფოში ვიწექი...

— ყველაფერი ვიცი, მადამ. ნება მომეცით, ასე იოლად გადარჩენა მოგილოცოთ. თქვენი ბილეთები ხელახლა შეგვიკვეთეს ტელეფონით.

ჰილარიმ იგრძნო, როგორ ძალუმად აუძგერდა გული. მაშასადამე, ვიღაცამ წინდახედულად იზრუნა, რომ ოლივია ბეტერტონმა მოგზაურობა გააგრძელოს.

— მე მეგონა, დააგვიწყდებოდათ, — ბოლოს გამოსავალი იპოვა ჰილარიმ.

— ნუ ღელავთ, მადამ, ყველაფერი რიგზეა. ახლავე გიჩვენებთ ბილეთებს.

მეორე დღეს ჰილარიმ რაღაც-რაღაცეები იყიდა, მერე მატარებელში ჩაჯდა და ფეცისაკენ გაემგზავრა.

* * *

მშვენიერი მზიანი ამინდი იდგა. ჰილარი სიამოვნებით იყურებოდა ფანჯარაში. კუპეში ერთი ტანდაბალი ფრანგი იჯდა. შესახედავად კომივოიაჟერს[1] ჰგავდა. ქალს სიგარეტისთვის ცეცხლი შესთავაზა და თან გამოესაუბრა. უამბობდა იმ ადგილებზე, რომლებსაც გადიოდნენ.

[1] კომივოიაჟერი - პროდუქციის გასაღების სპეციალისტი, რომელიც კლიენტის (გამყიდველის) დავალებით გადაადგილდება ბაზარზე, ასრულებს შუამავლის როლს და კლიენტის დავალებებს.

საკმაოდ გონიერი და კარგი მოსაუბრე გამოდგა.

— თქვენ აუცილებლად უნდა მოინახულოთ რაბათიც. — ურჩია მან. — თუ იქ არ შეივლით დიდ რამეს მოიკლებთ.

— ვეცდები, მაგრამ ძალიან ცოტა დრო მაქვს. გარდა ამისა, — ჰილარის გაეცინა, —

არც იმდენი ფული მაქვს. საზღვარგარეთ ადამიანს განსაზღვრული თანხა მიაქვს.

— მაგას მოევლება, თუ აქ მეგობრები გყავთ.

— მაროკოში არავინ მყავს.

— როცა სხვა დროს ჩამობრძანდებით, წინასწარ მაცნობეთ, ყველაფერს მოგიხერხებთ. ივლისში ხშირად დავდივარ და მაშინ დამიბრუნებთ ფულს. ეს მეტად იოლი საქმეა.

— გმადლობთ თავაზიანობისთვის.

— რა სასიამოვნოა ინგლისის სიცივეებისა და ნისლის შემდეგ ასეთი მზიანი ამინდი, არა? იქ, ალბათ, არც ისეთი სიმყუდროვეა? — არ ცხრებოდა მგზავრი.

— დიახ, რა შედარებაა.

— როგორი ამინდი იყო, ინგლისიდან რომ წამოხვედით?

— ნისლიანი.

— სწორია, ახლა მართლაც ნისლის დროა. თოვლი? წელს თოვლი იყო?

— არა, — მექანიკურად მიუგო ჰილარიმ. — თოვლი არა ყოფილა. „უცნაურია, ეს ფრანგი ნამდვილ ინგლისურ თემაზე ლაპარაკობს!“

ფეცში მხოლოდ დაბინდებისას ჩავიდნენ. ამ მყვირალა ბრბოში მოხვედრილი ჰილარი შეცბუნებული იდგა. ყოველი დამხვდური ჩამოსულს რაღაცას სთავაზობდა. ვიღაცის ხელები დასწვდა კიდეც მის ჩემოდნებს. ამიტომ ჰილარიმ კმაყოფილებით მიიღო თავისი თანამგზავრის მზრუნველობა.

— თქვენ სასტუმრო პალას-ჯამაიში მიბრძანდებით? მიგიხვდით, ხომ? სასტუმრო ძველ

ქალაქშია, აქედან რვა კილომეტრით არის დაშორებული. ახლავე ჩაგსვამთ ტაქსში. — მერე არაბულ ენაზე რაღაც დაიძახა და რამდენიმე წუთის შემდეგ ჰილარი თავისი ჩემოდნებიანად ტაქსში იჯდა.

— თქვენ ძალიან კეთილი ბრძანდებით, — მიუბრუნდა ის ფრანგს.

— აი, ჩემი ბარათი, მადამ, თუ რამეში დაგჭირდეთ, გეთაყვა, მაცნობეთ. ამ ოთხ დღეს გრანდ ოტელში ვიქნები, — მერე ქუდი მოიხადა და წავიდა. ბარათზე ეწერა:

„მუსიე ანრი ლორიე“.

ეს მუსიე ლორიე იმ ორგანიზაციის წარმომადგენელი ხომ არ იყო, რომელმაც აიძულა თომას ბეტერტონი მიეტოვებინა თავისი სახლი, სამუშაო, ცოლი?.. ჰილარი ტაქსის კუთხეში მიიყუჟა.

აი, როგორც იქნა, მოვიდნენ პალას-ჯამაიში. სასტუმროს მოსამსახურემ აცნობა, რომ სადილი 19:30 იწყებოდა. ჰილარიმ თავი მოიწესრიგა, ტანსაცმელი გამოიცვალა და ქვემოთ ჩავიდა. რესტორანში ხალხის სულ ახალ-ახალი ნაკადი შედიოდა, მაგრამ ჰილარი ისე იყო დაქანცული, მათი თვალიერების თავი არა ჰქონდა. თუმცა ერთმა მამაკაცმა უნებლიედ მაინც მიიქცია მისი ყურადღება. ხანშიშესულ, ყვითელ სახიან თხისწვერა მამაკაცს ოფიციანტები ზედ ევლებოდნენ, წამდაუწუმ თეფშებს უცვლიდნენ და მისი თავის დაქნევაზე უმალ ალაგებდნენ. საკმარისი იყო, წარბი ოდნავ აეწია, რომ ოფიციანტი მისკენ შურდულივით მიჰქროდა.

— მითხარით, ვინ არის ის ხანშიშესული მამაკაცი, აი, იქ, კედელთან რომ ზის? — ჰკითხა ჰილარიმ თავის ოფიციანტს.

— ოო! — მიუგო ოფიციანტმა. — ეს ბატონო არისტიდისია! ამბობენ, ზღაპრული სიმდიდრის პატრონიაო.

— ეს გაფშეკილი მუმია? ადამიანის მსგავსი არსება?

არისტიდისმა თავი ასწია, დაკვირვებით შეხედა ჰილარის და მაშინვე შებრუნდა. გამოხედვა ცოცხალი და ჭკვიანური ჰქონდა...

მეექვსე თავი

— ახლა კი, ძვირფასო მეგობრებო, — მოსაბეზრებლად ჯიჯღინებდა გიდი, — მე გიჩვენებთ ერთ საინტერესო დაწესებულებას.

ეს იყო აღმოსავლურ სტილზე ნაგები ცალკე მდგარი პატარა სახლი. ჰილარი სხვა ტურისტებთან ერთად სასტუმრო ოთახში შეიყვანეს და ყავის მაგიდასთან დასვეს. მალე მასთან გიდი მივიდა და ოდნავ შეცბუნებულმა უთხრა:

— აი, ეს გოგონა მიგაცილებთ ქალთა ოთახში...

— გთხოვთ, მადამ, — მიმართა მას ქალიშვილმა. — აქ ჩვენ საუცხოოდ მოწყობილი ქალთა ოთახი გვაქვს, სწორედ ისეთი, როგორიც სასტუმრო „რიცშია“, ანდა, ვთქვათ, ნიუ-იორკში ან ჩიკაგოში. აი, ნახავთ.

ჰილარი ღიმილით გაჰყვა მას. ქალთა ოთახში მან თვალი მოჰკრა მამაკაცს, რომელიც დაბალ დივანზე იჯდა და ეწეოდა. ეს იყო ტანმორჩილი ფრანგი, ბატონი ანრი ლორიე, რომელთანაც ჰილარიმ იმგზავრა. ლორიეს თავი არ შეუწუხებია ფეხზე წამოდგომით და მისალმებით, მხოლოდ ცივი ხმით მიმართა:

— დილა მშვიდობისა, მისის ბეტერტონ.

ჰილარი ერთხანს გაოცებისაგან გონს ვერ მოეგო. „აბა, ახლა ისე მოიქეცი, — გაამხნევა მან საკუთარი თავი, — როგორც ოლივია მოიქცეოდა“, — და ის მტკიცე ნაბიჯებით მიუახლოვდა ლორიეს.

— ახალი ამბავი ხომ არაფერი გაქვთ ჩემთვის? დასახმარებლად მოხვედით? დამხვდურმა თავი გააქნია და საყვედურით მიმართა:

— მატარებელში, მადამ, მე მგონი, საკმაოდ დაბნეული იყავით, ან იქნებ მიჩვეული ხართ ამინდზე ლაპარაკს?

— ამინდზე? — ჰილარი ფართოდ გაღებული თვალებით შეჰყურებდა. — „ჰო, მატარებელში რაღაცას მელაპარაკებოდა ამინდზე... სიცივეზე? თოვლზე? ნისლზე? ჰო, ჰო, თოვლი. სწორედ ეს სიტყვა წარმოთქვა ოლივიამ სიკვდილის წინ“. — გაიხსენა ჰილარიმ. — დიახ, თოვლი დაეცა მიწაზე... — ხმამაღლა თქვა ოლივიამ.

— დიახ, ახლა სწორია. მაშინ ბრძანებისამებრ რატომ არ იქცეოდით?

— თქვენთვის გაუგებარია რატომ? კატასტროფის შემდეგ ხომ ვიავადმყოფე და კონტუზიანი ვიწექი. ზოგჯერ მეხსიერება მღალატობს. ხანდახან ისე ვითიშები... ქალს ხმა ბუნებრივად აუთრთოლდა. ჰილარიმ თითები საფეთქლებზე მიიჭირა.

— ჰო, საჰაერო კატასტროფამ ხელი შეგვიშალა. — კვლავ ცივი ხმით და მშრალად გამოეპასუხა ლორიე. — გამძლეობა და მოთმინება უნდა იქონიოთ და მგზავრობა უნდა გააგრძელოთ.

— რასაკვირველია! — წამოიძახა ჰილარიმ. — გზას გავაგრძელებ. ჩემი ქმარი... — ქალს ხმა ჩაუწყდა.

მამაკაცს ორჭოფულად გაეღიმა. ეს დიალოგი კატა-თაგვობანას თამაშს ჰგავდა.

— იმედია, თქვენი მეუღლე მოუთმენლად გელით.

— ოჰ, ვერ წარმოიდგენთ, რა განვიცადე მისი წასვლის შემდეგ!

— როგორ გგონიათ, ინგლისის მთავრობას წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ რა იცით თქვენ ამ საქმის თაობაზე და რა არა?

ჰილარიმ ხელები გაშალა:

— რა მოგახსენოთ. მე მეგონა, ისინი მიღებული პასუხებით დაკმაყოფილდნენ, თუმცა, იცით, სულ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვიღაცა მითვალთვალებს, ვინმე კონკრეტულ პიროვნებას ვერ დავასახელებ, მაგრამ ეს გრძნობა ინგლისიდან გამომგზავრების შემდეგ არ მშორდება.

— სწორია, სხვანაირად ჩვენ არც მოველოდით. ახლა კი, მადამ, დაიმახსოვრეთ შემდეგი ინსტრუქციები.

— დიახ, გისმენთ.

— ზეგ მარაკეშში გაემგზავრებით. ერთი დღის შემდეგ თქვენ ინგლისიდან დეპეშას

მიიღებთ. მისი შინაარსი არ ვიცი, მაგრამ მაშინვე შეუდგებით ინგლისისაკენ

გამგზავრების საშზადისს.

— როგორ, შინ უნდა დავბრუნდე?

— მოითმინეთ, თუ შეიძლება ნუ მაწყვეტინებთ. შეუკვეთავთ ბილეთს თვითმფრინავზე, რომელიც მეორე დღეს კასაბლანკიდან უნდა გაფრინდეს.

— ყველა ბილეთი რომ გაყიდული აღმოჩნდეს და ვეღარ ვიშოვო?

— თქვენთვის დატოვებულია ერთი ადგილი. ყველაფერი წინასწარ არის გათვალისწინებული. ინსტრუქცია გასაგებია?

— დიახ.

— ახლა დარბაზში დაბრუნდით. გიდი გელოდებათ. ქალთა ოთახში საკმაოდ დიდხანს დაჰყავით. გზაში, სხვათა შორის, თქვენ ერთი ამერიკელი ქალი გაიცანით — კელვინ ბეიკერი.

— მერე რა? წინდაუხედავად მოვიქეცი?

— არა. ეს ერთი მხრივ კარგიც არის. კეთილად ბრძანდებოდეთ, მადამ. საეჭვოა რომ ჩვენ ერთმანეთს ოდესმე შევხვდეთ. — მისი ხმა გულგრილად ჟღერდა.

— მშვიდობით მუსიე ლორიე.

* * *

ჰილარი სადილის მოლოდინში პალას-ჯამაიში იჯდა. ჩაფიქრებული და მის წინ მდგარ ლამფას შეჰყურებდა. ყველაფერი უცნაურია, რაც მის გარშემო ხდება: აი, ის უკვე მაროკოშია, ზის რესტორანში... ამ ლამფას რომ ხელი ახლოს, ალბათ ზღაპრული ჯინიც კი ამოვა აქედან. მის უცნაურ ფიქრებს თითქოს ფრთა შეესხაო, უეცრად ლამფის უკნიდან ნაოჭიანმა, თხისწვერა ყვითელმა სახემ გამოიხედა.

— შეიძლება, მადამ, — მოესმა ხმა და მის მაგიდას არისტიდისი მიუჯდა. — გავიგე, რომ კასაბლანკაში საჰაერო კატასტროფაში მოხვედრილხართ.

— დიახ...

— მშურს თქვენი, მადამ. ჰილარიმ გაოცებით შეხედა.

— დიახ, დიახ, ნამდვილად შესაშურია. თქვენ ხომ არაჩვეულებრივი რამ გადაგხდათ თავს. ოჰ, როგორ ვისურვებდი, რომ მსგავსი რამ მეც გადამხდენოდა. ასე ახლოს იყავით სიკვდილთან და ხელიდან გაუსხლტით მას. ახლა ალბათ ისეთი შეგრძნება გაქვთ, თითქოს სხვანაირი ადამიანი გახდით... არა?

— დიახ, ოღონდ უფრო ცუდი გრძნობა დამრჩა, — ჩაეცინა ჰილარის, — კონტუზიის გამო ხშირად მაწუხებს თავის ტკივილი...

— ეგ არაფერია, — ხელი ჩაიქნია არისტიდისმა, — არც ისე საშიში გახლავთ. სამაგიეროდ სულიერი გამოცდა გაიარეთ.

— დიახ, — მოკლედ დაეთანხმა ჰილარი. — გავუძელი ამ სულიერ გამოცდას. — ახლა ის მხოლოდ სამყურას ფხვნილსა და ჭიქა წყალზე ოცნებობდა.

— მე კი ცხოვრებაში ისეთი არაფერი შემმთხვევია, — გაისმა უკმაყოფილება

მოსაუბრის ხმაში, — ცხოვრებაში რაღა არ გადამხდენია, მაგრამ ასეთი რამ არასოდეს. კარგად ბრძანდებოდეთ, მადამ, — გამოეთხოვა ქალს და წავიდა.

მეშვიდე თავი

„როგორ გვანან ეს აეროდრომები ერთმანეთს“, — გაიფიქრა ჰილარიმ. მას უნდა ეფრინა კელვინ ბეიკერთან ერთად, რომელსაც იგივე მარშრუტი აერჩია.

თვითმფრინავში მისის ბეიკერი გაუთავებლად ყბედობდა და ვერც კი ამჩნევდა, რომ ჰილარი მექანიკურად პასუხობდა. მალე ამერიკელმა ქალმა გვერდზე მჯდომ სხვა მგზავრებზე გადაიტანა ყურადღება. ესენი ქერათმიანი ახალგაზრდა მამაკაცები იყვნენ: ერთი — გულღია, მხიარულად მომღიმარე ამერიკელი, მეორე კი უფრო თავშეკავებული, ნორვეგიელი, ან შესაძლოა დანიელი...

ამერიკელი მამაკაცი თანამემამულე ქალის დანახვაზე სიხარულს ვერ ფარავდა. მალე მისის ბეიკერმა ჰილარის წარუდგინა ორივე.

— ენდრიუ პიტერსი, მეგობრები უბრალოდ ენდის მეძახიან, — თქვა მან და გაიღიმა. მეორე წამოიწია და ოდნავ გაბღენძილმა დაუკრა თავი:

— ტორკვილ ერიქსონი.

— ჩვენ უკვე ყველანი ვიცნობთ ერთმანეთს, — თქვა სიხარულისაგან სახეგაბრწყინებულმა მისის ბეიკერმა. — და ყველას მარაკეშისაკენ გვიჭირავს გეზი, არა? ჩემი მეგობარი პირველად მიფრინავს იმ მხარეს.

— მეც არასოდეს ვყოფილვარ იქ, — თქვა ერიქსონმა.

— არც მე, — ჩაურთო ამერიკელმა.

ამათ გარდა თვითმფრინავში კიდევ ორი მგზავრი იყო: გამხდარი ფრანგი და ერთი ქალი.

— მგონი ჯდება ჩვენი თვითმფრინავი! — გაისმა მისის ბეიკერის მხიარული წამოძახილი.

თვითმფრინავი ირაოს აკეთებდა და დაბლა ეშვებოდა. ქვემოთ ნამდვილი უდაბნო გადაჭიმულიყო. სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა იქაურობას: არც სოფელი ჩანდა, არც სახლები. თვითმფრინავი გაურკვეველ ადგილას დაეშვა. „ალბათ რაღაც დაემართა მოტორს“. — გაიფიქრა ჰილარიმ.

სალონში ახალგაზრდა ფერადკანიანი პილოტი შემოვიდა.

— გთხოვთ, გადმობრძანდეთ, — მიმართა მან მგზავრებს ღიმილით. მერე კარი გააღო, პატარა ტრაპი ჩაუშვა და გასასვლელთან დადგა.

ერთად შეჯგუფებული გაოგნებული მგზავრები ცივი ქარის დაბერვისაგან აკანკალდნენ. ისინი მთებით გარშემორტყმულ გიგანტურ ქვაბურში მოხვდნენ. მთის წვერებს თეთრი საბურველი ეხურათ.

ყველაზე ბოლოს პილოტი გადმოხტა.

— ყველანი აქა ხართ? — მიმართა მან მგზავრებს ფრანგულ ენაზე. — ბოდიშს ვიხდი, მაგრამ აქ უნდა მოიცადოთ. სულ რამდენიმე წუთი, მეტი არა. აი, ისიც მოდის! — მან სადღაც შორს მიუთითა. იქ ოდნავ შესამჩნევი წერტილი მოძრაობდა.

— გამაგებინეთ, აქ რატომ დავჯექით? — იკითხა ჰილარიმ აკანკალებული ხმით. —

კიდევ დიდხანს ვიქნებით? მაინც რა მოხდა? მოტორი გაფუჭდა?

— არა, რას ბრძანებთ! მოტორი წესრიგშია! — ენდი გამამხნევებლად იღიმებოდა. —

თუმცა ამის მსგავსი რამ შეიძლება მოახდინონ.

გაოგნებული და ძალაგამოცლილი ჰილარი დუმდა. მათ სწრაფად უახლოვდებოდა საბარგო მანქანა. მანქანიდან მძღოლი გადმოვიდა და მფრინავთან მიირბინა. მფრინავი მოსულს ლანძღვით დაატყდა თავს — ალბათ, დაგვიანებას თუ საყვედურობდა.

ჰილარის გასაოცრად საუბარში მისის ბეიკერი ჩაერია.

— დროს ტყუილად ნუ ვკარგავთ, — გაისმა მისი მბრძანებლური ხმა. — თქვენი დავა არაფერს სარგებლობას არ მოგვიტანს. რაც შეიძლება მალე უნდა მოვცილდეთ აქაურობას.

მძღოლმა უხმოდ აიჩეჩა მხრები, მანქანისკენ წავიდა და საბარგული გახსნა. შიგ იდო მეტისმეტად გრძელი ყუთი. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რა დიდის ვაივაგლახით გადმოიღო იქიდან ის ოთხმა მამაკაცმა, ადვილი წარმოსადგენია, რა მძიმე უნდა ყოფილიყო.

როდესაც მფრინავმა და მძღოლმა თავსახურის ახდა დაიწყეს, მისის ბეიკერმა ხელი დაადო ჰილარის.

— ჩემო კარგო, ნუ შეხედავთ, შემზარავი დასანახია, — უთხრა მას და ჰილარი განზე გაიყვანა. ფრანგი მამაკაცი და პიტერიც მათთან მივიდნენ.

— რას აკეთებენ? — დაინტერესდა ფრანგი.

— დოქტორ ბარონ, ეს თქვენა ხართ? — შეაწყვეტინა მას მისის ბეიკერმა. ფრანგმა თავი დაუქნია.

— თქვენი ნახვა გამეხარდა, — უთხრა ქალმა მას და მასპინძელივით გაუწოდა ხელი.

— არაფერი მესმის, რა არის ამ ყუთში? რატომ არ უნდა შევხედო? — გაისმა ჰილარის დაბნეული ხმა.

ენდი პიტერსმა ყურადღებით შეხედა ქალს.

„ამ კაცს სასიამოვნო სახე აქვს. პატიოსანი და დამოუკიდებელი ხასიათისა ჩანს“.

— გაუელვა თავში ჰილარის.

— მე ვიცი, იქ რაც არის, — თქვა პიტერსმა, — პილოტმა მითხრა. კეთილი საქმე არ უნდა იყოს, მაგრამ, როგორც ჩანს, აუცილებელია. მაგ ყუთში გვამებია, — მშვიდად დაუმატა მან.

— გვამები? — თვალები დააჭყიტა თავზარდაცემულმა ჰილარიმ.

— ნუ შეგეშინდებათ, ისინი არავის არ მოუკლავს. ამის მსგავსი რამ არ მომხდარა, — უთხრა ენდიმ და დასამშვიდებლად გაუღიმა. — გვამები საკმაოდ ლეგალური გზით იშოვეს, ისე, როგორც სამედიცინო კვლევისათვის შოულობენ ხოლმე...

— არაფერი მესმის, — ჩაიჩურჩულა ჰილარიმ, თან მოსაუბრისათვის თვალი არ მოუშორებია.

— მისის ბეტერტონ, ჩვენი მოგზაურობა აქ მთავრდება, მე ვგულისხმობ პირველ ეტაპს.

— მთავრდება?

— დიახ, პილოტი ამ გვამებს შეიტანს თვითმფრინავში და რაც საჭიროა, ყველაფერს გააკეთებს. როცა ჩვენი მანქანა აქაურობას საკმაოდ გაშორდება, მაშინ გავხდებით დიდი აფეთქების მოწმენი. დაჯდომისას კიდევ ერთი თვითმფრინავი დაიღუპება და არავინ გადარჩება!

— მერე, რისთვის არის ეს საჭირო? რაღაც ფანტასტიკური ამბავია!

— თქვენ იცით, სად მივყავართ? — ჩაერია საუბარში დოქტორი ბარონი.

— რასაკვირველია, იცის, — ჩაიცინა მისის ბეიკერმა. — მხოლოდ არ ელოდა, რომ ასე მალე იქნებოდა.

ელდანაკრავი ჰილარი დუმდა. ძლივს აღწევდა თავს გაოგნებას.

— მერე, ვინც აქ არის, ყველა იქ წავა? — იკითხა ჰილარიმ და სათითაოდ მოავლო თვალი ყველა თანამგზავრს.

— დიახ, ჩვენც თქვენი თანამგზავრები ვართ, — გამოეპასუხა პიტერსი. ერიქსონმა

დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

მერვე თავი

— დროა გაემგზავროთ, — უთხრა თავის ყოფილ მგზავრებს პილოტმა, — და თან რაც შეიძლება მალე. აქ ბევრი რამ არის გასაკეთებელი და ჩვენ გრაფიკიდან ვვარდებით.

ჰილარი შეკრთა და აკანკალებული ხელები ყელზე მიიჭირა. უცებ მარგალიტის მძივი გაუწყდა. ძლივს მოასწრო ხელის შეშველება, რომ რამდენიმე ცალი მაინც დაეჭირა. მარგალიტები ჯიბეში ჩაიდო.

მგზავრები ერთმანეთის მიყოლებით ჩასხდნენ მანქანაში. ჰილარის მარჯვნივ, გრძელ დასაჯდომზე, მისის ბეიკერი მოთავსდა, მარცხნივ — პიტერსი.

ჰილარი ამერიკელ ქალს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— თქვენ... თქვენ... კავშირის ოფიცერი ხართ, მისის ბეიკერ?

— დიახ, ასე ვთქვათ, ეს იქნება ჩემი პროფესიის ყველაზე ზუსტი განსაზღვრა. საკუთარ თავზე ლაპარაკი, მართალია, უხერხულია, მაგრამ მე მაღალი რანგის ოფიცერი ვარ, ისე კი, მოგზაური ამერიკელი ქალი გახლავართ, ეს არავის გააკვირვებს.

მისის ბეიკერი ძველებურად იღიმებოდა. მაგრამ ჰილარი გრძნობდა, რომ მასში რაღაც ცვლილება მოხდა. თავაზიანი ქცევა და მოჩვენებითი ზრდილობა სადღაც გაქრა. ახლა ჰილარის წინ იჯდა საქმიანი და ალბათ სასტიკი დედაკაცი.

— წარმომიდგენია, ამ ამბავს გაზეთები როგორ აიტაცებენ! აი, სენსაციაც ამას ჰქვია! — რაღაც უცნაური ქირქილით ჩაილაპარაკა მისის ბეიკერმა. — მე თქვენზე ვამბობ, ჩემო ძვირფასო. „საცოდავს უიღბლობა სულ თან სდევდა. კასაბლანკას კატასტროფას ძლივს გადაურჩა და მაინც დაიღუპა!“ როგორ მოგწონთ?

მხოლოდ ახლა მიხვდა ჰილარი, რა ოსტატურად იყო მთელი ეს გეგმა მოფიქრებული.

— ნეტავ, ჩვენი თანამგზავრები მართლა ის ხალხია, როგორც თავი წარმოგვიდგინეს? — წაიდუდღუნა ჰილარიმ.

— ვითომ რატომ არა? დოქტორი ბარონი, მე მგონი, ბაქტერიოლოგია, მისტერ ერიქსონი ძალზე ნიჭიერი ახალგაზრდა ფიზიკოსია, მისტერ პიტერსი ქიმიის დარგში მუშაობს გამოკვლევებზე, ფროილაინ ნიდჰეიმი, — მან თანამგზავრ ქალზე მიუთითა, რომელსაც მონაზვნის სამოსი ეცვა და მთელი გზა დუმდა, — ენდოკრინოლოგია. მე, როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, კავშირის ოფიცერი ვარ. ამ სამეცნიერო-კვლევით გროვას არ ვეკუთვნი, — და მან კვლავ ჩაიქირქილა.

მანქანა მთელი სისწრაფით მიჰქროდა უდაბნოში. ჰილარიმ პატარა სარკმელში გაიხედა და უკან ვეებერთელა ალი დაინახა. ცოტა ხნის შემდეგ მანქანის მოტორითა და მანძილით დახშული აფეთქების ხმაც გაიგონა.

პიტერსს გაეცინა.

— მაშ ასე. მარაკეშის მიმართულებით თვითმფრინავს ავარია მოუხდა და ექვსი კაცი დაიღუპა!

— გეთაყვა... ეს ხომ ძალიან საშიშია... — სუნთქვა ეკვროდა ჰილარის.

— გზა იდუმალებისაკენ? არა? — გაისმა პიტერსის ხმა. ამჯერად ის სერიოზულად ლაპარაკობდა. — დიახ, სწორედ ასეა. მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის. ჩვენ ვემშვიდობებით წარსულს და ვეგებებით მომავალს. თავიდან მოვიცილეთ წარსულის უგუნურების საშინელი სამყარო, მთელი ეს მოსყიდული მთავრობები, ომის გამჩაღებლები და შევდივართ ახალ სამყაროში, — მეცნიერების სამყაროში, სადაც არ იქნება შური და ღვარძლი.

ჰილარიმ ღრმად ამოიოხრა.

— სწორედ ამ სიტყვების თქმა უყვარდა ჩემს ქმარს, — ფრთხილად ჩაილაპარაკა ჰილარიმ.

— თქვენს ქმარს? ჰოო, თომას ბეტერტონზე ამბობთ? ჰილარიმ თავი დაუქნია.

— ის, რაც მან გააკეთა, დიდებულია, — თქვა პიტერსმა. — შტატებში მე ვერ შევხვდი მას. „ZE“ - ს გახლეჩა საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენაა. მე ქედს ვიხრი მისტერ ბეტერტონის წინაშე. ის მგონი მოხუც მანჰეიმთან მუშაობდა, თუ არ ვცდები?

— დიახ.

— ამბობენ, ცოლად მანჰეიმის ქალიშვილი ჰყავდაო, მართალია? თუმცა, თქვენ, რა თქმა უნდა...

— მე მეორე ცოლი ვარ, — ამ სიტყვებმა ჰილარის სიწითლე მოჰგვარა. — ელზა ამერიკაში გარდაიცვალა.

— დიახ, მახსენდება, მისტერ ბეტერტონი შემდეგ ინგლისში წავიდა და იქ მუშაობდა, მალე მან ყველა გააცა თავისი გაუჩინარებით, — თქვა პიტერსმა და მოულოდნელად გადაიხარხარა. — პარიზის კონფერენციის შემდეგ უგზოუკვლოდ გაქრა. — მერე ცოტა ხანს იყუჩა და ჩაიდუდღუნა: — დალახვროს ეშმაკმა! წუნს ვერ დასდებ, ყველაფერი კარგად იყო მოჭახრაკებული!

ჰილარი სავსებით ეთანხმებოდა. მასავით არავინ იცოდა, რა მარჯვედ იყო ყოველივე ორგანიზებული და ამის შეგრძნება მწვავე, ცივი ტკივილით მსჭვალავდა მას. გეგმები, კოდები, ნიშნები, ყველაფერი, რაც ასე გულმოდგინედ იყო მომზადებული, ახლა ზედმეტად და უსარგებლოდ იქცა. ის მოწყდა ქვეყანას და ვერავის დაუკავშირდებოდა. ამ საბედისწერო მოგზაურობის ყველა მონაწილე უცნობი დანიშნულების ადგილას მიდიოდა, იქ, სადაც ადრე თომას ბეტერტონი წავიდა და არავითარი ნაკვალევი აღარ დარჩებოდა, არავითარი. მხოლოდ დამწვარი თვითმფრინავი და დანახშირებული გვამები.

ნეტა ჯესეპი და მისი ხალხი მიხვდებიან, რომ ჰილარი ამ გვამებს შორის არ არის? ძნელი სათქმელია... ეს ინსცენირება ხომ ასე ჭკვიანურად და დამაჯერებლად მოაწყვეს.

— ნეტა სად მივდივართ? — ისევ პიტერსმა წამოიწყო საუბარი.

მის ხმაში ბავშვური აღტაცება ისმოდა. როგორც ჩანდა, ამ ახალგაზრდას არავითარი ეჭვები არ აწუხებდა და წარსულისაკენ მიხედვაც კი არ უნდოდა. ივი მხოლოდ იმას ესწრაფვოდა, რაც წინ ელოდა.

„თუ გამოძიებს შეუდგებიან, — ფიქრობდა ჰილარი, — უთუოდ მოიძებნება ვინმე, რომელიც შეამჩნევდა ექვს მგზავრიან მანქანას, კატასტროფაში მოყოლილებს რომ ჰგავდნენ...“

ჰილარი მისის ბეიკერს მიუბრუნდა და შეეცადა თავისი ხმისათვის მიეცა ის ბავშვური

ჟღერადობა, რომელიც ახალგაზრდა ამერიკელის ხმაში ისმოდა:

— მართლა, ახლა საით მივდივართ? მერე რაღა იქნება?

— ნახავთ. — მოკლედ მოუჭრა მისის ბეიკერმა.

ისინი კი გაუთავებლად მიდიოდნენ და მიდიოდნენ. ღამე ჩამოწვა. საზიზღარი გზა იყო. ეტყობოდა მძღოლი განგებ არიდებდა თავს მთავარ გზებს. ჯანჯღარით სიარულმა თავისი გაიტანა და ჰილარის ჩაეძინა.

ხელზე ფრთხილი შეხებით ის პიტერსმა გამოაღვიძა.

— გაიღვიძეთ, მგონი სადღაც მოვედით.

მგზავრები მანქანიდან გადმოვიდნენ. ყველა დაქანცული და ძალაგამოლეული ჩანდა. სიბნელეში გამოიკვეთა პალმებით გარშემორტყმული პატარა სახლი. შორს, აქა-იქ მოჩანდა მბჟუტავი სინათლეები. იქ სოფელი უნდა ყოფილიყო. გზა გააშუქეს და ფარნის სინათლეზე მგზავრებს სახლში შეუძღვნენ. ორი დამხვდური ქალი ჩაციებით ათვალიერებდა ჰილარისა და მისის ბეიკერს. მოლოზნის სამოსიანი ფროილაინ ნიდჰეიმი მათ არ აინტერესებდათ.

ქალები მანსარდის პატარა ოთახში აიყვანეს. იატაკზე სამი ლეიბი ეგო, გვერდზე საბნებიც ელაგა.

— მთელი სხეული გამიხევდა — განაცხადა მისის ბეიკერმა, — ხუმრობაა, ასეთი გზის გავლა!

— ამ სიძნელეს რა მნიშვნელობა აქვს, — გამოეხმაურა მოლოზანი ჩახლეჩილი ხმით. მას გამომწვევი ტონი ჰქონდა.

— რას ვიზამთ, თქვენ ამისთანებს მიჩვეული ხართ, — გესლიანი ღიმილით უთხრა

მისის ბეიკერმა. — მონასტერშიც ასეთივე წარმომიდგენიხართ — ქვის იატაკზე დაჩოქილი დილის ოთხ საათზე.

ნიდჰეიმს ზვიადად ჩაეცინა.

— ქრისტიანულ რელიგიას ქალი გამოთაყვანებამდე მიჰყავს, — თქვა მან. —

წარმართებს კი ძლიერი ქალები ჰყავთ! მათ შეუძლიათ ტკბობის ძლიერი განცდა და სხვისი დაპყრობაც. მიზნის მისაღწევად ყოველგვარი უხერხულობის ატანა შეიძლება. მერე უკვე აღარავითარი სიძნელე აღარაა საშიში.

— მე კი, — გაიზმორა მისის ბეიკერი, — სიამოვნებით დავიძინებდი ჩემს ლოგინში, ფეცში, პალას-ჯამაიში. თქვენ რას იტყვით, მისის ბეტერტონ? დაგენაძლევებით, რომ ასეთი ჯაჯგურის მერე, არც თქვენ იქნებით კარგად.

— არა, არა მიშავს, — მიუგო ჰილარიმ.

— ახლა საუზმეს მოგვიტანენ და მერე ასპირინის ფხვნილს მოგცემთ. ეცადეთ, რაც შეიძლება, მალე დაიძინოთ.

მეორე დღეს დიდხანს ეძინათ, რადგან მისის ბეიკერმა გააფრთხილა, მგზავრობას საღამოს გავაგრძელებთო. ბოლოს, როცა ყველამ გაიღვიძა, მისის ბეიკერმა მიუთითა ტანსაცმლის გროვაზე, რომელიც მზრუნველობით მოეტანა ვიღაცას და მათ კარებთან დაედო.

— შემდეგი ეტაპი ასეთია: — განაცხადა მისის ბეიკერმა — ჩავიცვამთ ადგილობრივ მკვიდრთა ტანსაცმელს, ჩვენსას კი აი, აქ დავტოვებთ.

ამერიკელი ქალის ლამაზი კოსტიუმი, ჰილარის ტვიდის პალტო და მონაზვნის სამოსი მალე ერთ ფუთად შეიკრა. ჰილარის რაღაც იდუმალ შიშს გვრიდა ყველაფერი, რაც აქ ხდებოდა. გერმანელი ქალის მიმართ იგი თანდათან უსიმპათიოდ განეწყო. ქალი ახალგაზრდა იყო, ალბათ ჰილარიზე უმცროსი: ფერმკრთალი სახე ჰქონდა, მსხვილთითებიანი ხელები და მოკლე მკლავები, გადმოკარკლული ცივი თვალები, რომლებიც დროდადრო რაღაცნაირი ცეცხლით ინთებოდნენ, და ზვიადი, შეუვალი ტონი. ჰილარის და მისის ბეიკერს, როგორც თავისი წრისათვის შეუფერებელ ადამიანებს, აშკარა უპატივცემულობით ეპყრობოდა. მისი ქცევა აღაშფოთებდა ჰილარის. მისის ბეიკერი კი თითქოს ვერაფერს ამჩნევდა. ჰილარისათვის მისის ბეიკერი სულ უფრო და უფრო გამოუცნობი ხდებოდა. რა შედარება იყო სასტიკ გერმანელ ქალსა და მას შორის. მისის ბეიკერი არც წყალი იყო, არც ღვინო. მაღალი წრის ქალისათვის დამახასიათებელი მისი ქცევები თანდათან უფრო მექანიკური ხდებოდა და დაპროგრამებულ რობოტს ემსგავსებოდა. მისი აზრები ძალზე ჩვეულებრივი იყო და ყოველდღიურობის ჩარჩოებს არ სცილდებოდა. ჰილარის სულ უფრო და უფრო უძლიერდებოდა ეჭვი, რომ ყველაფერი ეს მოჩვენებითი იყო და მას ალბათ არაერთხელ მიუღია მონაწილეობა მსგავს ამბებში, რომ მისის ბეიკერის

ახლანდელი როლი შორს იყო სინამდვილისაგან.

„მაინც ვინ არის ეს ქალი? — მალიმალ იმეორებდა ჰილარი თავის გულში. — იქნებ ესეც ფანატიკოსია და ახალი სამყაროს შექმნაზე ოცნებობს? იქნებ კაპიტალისტური სისტემის აქტიური მტერია და ნორმალური, ადამიანური ცხოვრება თავის პოლიტიკურ მრწამსს შესწირა? მაგრამ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა აგრერიგად ადვილი როდი იყო.

გზა გვიან ღამე განაგრძეს. ახლა ისინი ტურისტული ტიპის ღია მანქანაში ჩასხეს.

ყველას ბერბერების ეროვნული სამოსი ეცვა.

— თავს როგორ გრძნობთ, მისის ბეტერტონ? — ღიმილით ჰკითხა ენდი პიტერსმა.

— ასე მგონია, სიზმარში ვარ-მეთქი, — მიუგო ჰილარიმ.

— მართლაც, ყოველივე ამაში არის რაღაც ფანტასტიკური.

— მაინც სადა ვართ ახლა? ენდი პიტერსმა მხრები აიჩეჩა.

— ეს მისის ბეიკერის გარდა არავინ იცის.

— რა გაუდაბურებული ქვეყანაა!

— დიახ, ეს არის ნამდვილი უდაბნო... ასეც იყო ჩაფიქრებული...

— ნაკვალევი რომ არ დარჩენილიყო?

— რა თქმა უნდა. ყველაფერი ეს დიდი სიფრთხილით არის დამუშავებული. ჩვენი მოგზაურობის არც ერთი ეტაპი არ უნდა იყოს დაკავშირებული მეორესთან. თვითმფრინავი განადგურებულია, დაიწვა. ეს ძველი, დიდი საბარგო მანქანა ღამის საფარქვეშ მიიწევს წინ. ვინმემ კიდეც რომ დაინახოს, იფიქრებს, არქეოლოგიური ექსპედიცია არისო. ამ მხარეს ასეთი ექსპედიციები არ აკლია. მომდევნო დღეებში ბერბერებით სავსე მანქანა გამოჩნდება, რაც ამ გზაზე ჩვეულებრივი ამბავია. მერე კი, — თქვა მან და მხრები აიჩეჩა, — ვინ იცის, ამას რა მოჰყვება. — ენდი პიტერსმა თავი გააქნია. — შეკითხვა სრული უაზრობაა. თვითონ ვნახავთ... მართლა, რომელ ოთხ თავისუფლებაზეა თქვენს ქვეყანაში ლაპარაკი? თავისუფლება სიღარიბისგან, შიშისგან... — პიტერსს აშკარად უნდოდა თემის შეცვლა.

— სულელებისაგან განთავისუფლება, — მწარედ დასძინა ამ დროს დოქტორ ბარონმა და მათ მიუჯდა. — მე კი, აი, რა მჭირდება კვლევისათვის: განთავისუფლება ყოველგვარი შეზღუდვისაგან, ბიუროკრატიზმისაგან, რომელიც მუშაობაში გვიშლის ხელს!

— თქვენ ბაქტერიოლოგი ხართ, დოქტორ ბარონ, არა?

— დიახ, ბაქტერიოლოგი ვარ. თქვენ, მეგობარო, წარმოდგენაც კი არა გაქვთ, სხვა მეცნიერებათა შორის ეს რა შესანიშნავი მეცნიერებაა! მართალია, აქ მოთმინება მართებს კაცს, ცდები და კიდევ ცდებია საჭირო და, რასაკვირველია, ფული, ბევრი ფული. ხელსაწყოებისა, თანაშემწეებისა და მასალის გარეშე ვერაფერს გააკეთებ და თუ ყველაფერი აუცილებელი გაქვს, არ არსებობს მწვერვალი, რომელსაც ვერ დაიპყრობ.

— მაგალითად, ბედნიერებას? — ჰკითხა ჰილარიმ ბარონმა გულთბილად გაუღიმა.

— თქვენ ნამდვილი ქალი ხართ, მადამ, მხოლოდ ქალს შეუძლია ყოველგვარ პირობებში ბედნიერებაზე ილაპარაკოს.

— თუმცა იშვიათად ჰპოვებს, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ჰილარიმ. ბარონმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— შესაძლოა ასეც იყოს.

— რა ფასი აქვს მარტო პირად ბედნიერებას, — დაიწყო პიტერსმა სერიოზულად. — აუცილებელია იზრუნო საყოველთაო ბედნიერებაზე, სულის ერთიანობაზე. შეკავშირებული და თავისუფალი ადამიანები, რომელთა ხელში იქნება წარმოების საშუალებები! ხალხი უნდა განთავისუფლდეს ომის გამჩაღებლებისაგან, ხარბი და გაუმაძღარი ადამიანებისაგან, რომლებსაც ყველაფერი თავიანთ ხელში ჩაუგდიათ. მეცნიერება საყოველთაო საკუთრება უნდა იყოს და სახელმწიფოთა შორის არავითარი ეჭვი არ უნდა არსებობდეს!

— გეთანხმებით! — გამოეხმაურა აღტაცებული ერიქსონი. — მეცნიერებმა უნდა იბატონონ. მათ უნდა მართონ და აკონტროლონ სახელმწიფო. მხოლოდ ისინი არიან სუპერმენები. რაც შეეხება მონებს, მათ მოთმინებით უნდა მოექცე. ისინი ხომ მხოლოდ მონები არიან!

გამთენიისას, როცა მზე ამოიწვერა, მძღოლმა მანქანა გააჩერა და მგზავრებს მუხლის გაშლის ნება მისცა.

— თქვენ რაღაც გაოცებული სახე გაქვთ, — უჩურჩულა ენდიმ ჰილარის.

— დოქტორი ბარონი მართალია, მე მხოლოდ ქალი ვარ. არასოდეს არავითარი კვლევა—ძიება არ ჩამიტარებია. ვგონებ, არც ბრწყინვალე ნიჭი და რაიმე მონაცემები გამაჩნია და როგორც ყველა სულელი ქალი, მხოლოდ ბედნიერებას ვეძებ.

— მერე, ამაში ცუდი რა არის? — ჰკითხა პიტერსმა.

— ამ საზოგადოებაში თავს უცხოდ ვგრძნობ. მე ის ქალი ვარ, რომელიც მხოლოდ ქმართან შეხვედრას ელტვის.

— ეს სრულიად საკმარისია, — მიუგო მოსაუბრემ, — საქმის არსი თქვენ სწორად გამოხატეთ.

— ძალიან მიხარია, რომ თქვენ ყველაფერი ეს გესმით...

— დიახ, მართალია. ერთი ეს მითხარით, — პიტერსმა ხმას დაუწია: — ქმრის ბედი ძალიან გაღელვებთ?

— ასე რომ არ ყოფილიყო, განა აქ ვიქნებოდი? — კითხვითვე მიუგო ჰილარიმ.

— ვფიქრობ, არა. მის აზრებს იზიარებთ?

ჰილარი შეეცადა პირდაპირი პასუხისთვის თავი აერიდებინა.

— ასე მგონია ჩვენ პატარა ჯგუფში პოლიტიკურ შეხედულებებზე საუბარი ცოტა კურიოზულიცაა.

— მართალი ბრძანდებით, — თქვა პიტერსმა და ჩაფიქრდა: — თუმცა ამ ხალხთან სიახლოვემ ცოტაოდენი რამ გვასწავლა...

— არა მგონია, რომ დოქტორ ბარონს საერთოდ რამე პოლიტიკური რწმენა გააჩნდეს, — თქვა ჰილარიმ. — მისი ერთადერთი სურვილია, მეცნიერული ექსპერიმენტებისათვის ვინმე აფინანსებდეს და მეტი არაფერი. აი, ფროილაინ ნიდჰეიმი ნამდვილი ფაშისტია, რაც შეეხება ერიქსონს...

— საინტერესოა, ერიქსონზე რას იტყვით?

— მასში რაღაც უსიამოვნოა. ასეთები ძალზე სახიფათონი არიან. აიკვიატებენ

ხოლმე ერთ რაიმე იდეას და... რომელიღაც კინოფილმის შეშლილ მეცნიერს მაგონებს...

— რატომ? მაგალითად, ხალხთა მეგობრობა მეც მწამს. თქვენ იქ დაიკავებთ მოყვარული ცოლის ადგილს, მისის ბეიკერი კი... ჰმ, მას რა ადგილს მიუჩენთ?

— არ ვიცი, ეს პიროვნება ყველაზე ძნელი გამოსაცნობია.

— არა მგონია. ყველაფერი უფრო უბრალოდ არის.

— მაინც?

— ჩემი აზრით, მაგისი ღმერთი ფულია. ამ დიდ მექანიზმში ეს ქალი ერთი პატარა ჭანჭიკია, რომელსაც კარგად უხდიან.

— მართალი გითხრათ, რაღაცით მაშინებს ის, — გამოტყდა ჰილარი.

— მაინც რითი, საინტერესოა? შეშლილი მეცნიერის ნამდვილად არაფერი სცხია.

— აი, სწორედ თავისი ჩვეულებრიობით, ისევე, როგორც ათასობით სხვა. ამავე დროს ამ საქმეში სწორედ ეგ ქალი იღებს მონაწილეობას.

— უფროსები საქმეს რეალურად უყურებენ. ამ სამუშაოზე არჩევენ როგორც საუკეთესო მამაკაცებს, ასევე საუკეთესო ქალებს, — პიტერსის ხმას სიმკაცრე დაეტყო.

— განა საუკეთესოდ ჩაითვლება ის პიროვნება, რომლისთვისაც მთავარი ფულია? ასეთები ხომ ადვილად გადავლენ სხვის მხარეზე?

— ეს ძალიან სარისკო საქმე იქნებოდა, — მშვიდად თქვა პიტერსმა. — მისის ბეიკერი გონიერი ქალია. რაში სჭირდება ასეთი რისკი?

ჰილარი უცებ შეკრთა.

— რა მოგივიდათ, შეგცივდათ?

— დიახ, ცოტათი.

— მოდით, გავიაროთ.

მათ ბოლთის ცემა დაიწყეს. პიტერსი დაიხარა და დაბლიდან რაღაც აიღო.

— შეხედეთ, ეს თქვენ დაგივარდათ? ჰილარიმ ხელი გაუწოდა.

— დიახ, ჩემი მარგალიტია. გუშინ თუ გუშინწინ მძივი გამიწყდა. ასე მგონია, მას შემდეგ მთელი საუკუნე გავიდა-მეთქი.

— ეს ნამდვილი მარგალიტია?

— ოჰ, არა, — გაეღიმა ჰილარის.

— აი, ინებეთ.

ჰილარიმ პიტერსის მიერ შეთავაზებული სიგარეტი აიღო.

— რა უცნაური პორტსიგარი გაქვთ, რა მძიმეა!

— ეს ომის პერიოდის სახსოვარია. იმ ჭურვის ნატეხისგან არის გაკეთებული, რომელმაც ვერ მომკლა.

— ომში იყავით?

— დიახ, მე ერთი იმათგანი ვარ საიდუმლო განყოფილებაში რომ მუშაობენ და კულისებიდან ადევნებენ თვალს, წარმოდგენა რომ არ ჩაიშალოს. მაგრამ, მოდით, ომზე ნუღარ ვილაპარაკებთ.

— მაინც სად მივდივართ? — კვლავ ძველ თემას დაუბრუნდა ჰილარი. — მე არავინ არაფერს მეუბნება. ჩვენ მაინც უნდა...

პიტერსმა შეაწყვეტინა:

— თავისუფალი აზროვნება აქ არ მოსწონთ. თქვენ წახვალთ იქ და გააკეთებთ იმას, რასაც გიბრძანებენ.

— მერე, მოგწონთ სხვის ნებაზე სიარული, ბრძანების ბრმად შესრულება, როცა საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებაც კი არა გაქვთ? — აღშფოთდა ჰილარი.

— თუკი ეს საჭიროა, მზად ვარ დავემორჩილო. ახლა კი სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ. ჩვენ საყოველთაო მშვიდობას, საერთაშორისო დისციპლინას და საერთაშორისო წესრიგს უნდა მივაღწიოთ.

— მერე, ეს შესაძლებელია? შეიძლება ამას მიაღწიოთ?

— იმ უწესრიგობას, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით, ყველაფერი სჯობია. განა თქვენ არ მეთანხმებით?

მარტოობისა და დაღლილობის გრძნობამ, აქაური განთიადის უცნაურმა სილამაზემ კინაღამ ხმამაღლა ათქმევინა ჰილარის „არაო“. მას უნდოდა ეთქვა:

„რატომ გმობთ იმ სამყაროს, რომელშიც ცხოვრობდით? იქ ხომ კარგი ადამიანებიც არიან. სუპერმენ-რობოტებს, რომელთაც არ იციან შებრალება, ერთგულება და თანაგრძნობა, მე ვამჯობინებდი კეთილი ადამიანების ქვეყანას, ადამიანებისა, რომელთაც რაღაც ნაკლიც აქვთ“, — მაგრამ ჰილარიმ დროზე შეიკავა თავი.

— ოჰ, რასაკვირველია, თქვენ მართალი ხართ! მე უბრალოდ დავიღალე, — ჩაილაპარაკა მან. — ჩვენ მართლაც უნდა დავემორჩილოთ მათ და გზა განვაგრძოთ.

— აი, ასე სჯობია, — ჩაეცინა პიტერსს.

მეცხრე თავი

„თითქოს სიზმარში ვმოგზაურობ,“ — ასე გრძნობდა თავს ჰილარი და ყოველი მომდევნო დღე უფრო და უფრო ემსგავსებოდა სიზმარს. ეჩვენებოდა, თითქოს მთელი სიცოცხლე ამ უცნაურად შერჩეულ ადამიანებთან ერთად მოგზაურობდა, რომელთაც ჩვეულებრივი ცხოვრებიდან გადაეხვიათ, რათა გამოუცნობი სამყაროსთვის მიეცათ თავი.

„ამათ გამოქცეულებსაც ვერ დაარქმევ, — ფიქრობდა ჰილარი, — თითქმის ყველა თავისი ნებით მიდის“. რამდენადაც ჰილარიმ იცოდა, არც ერთ მათგანს არ ჩაუდენია რაიმე დანაშაული, არც პოლიციისგან იყვნენ დევნილები. მაგრამ ამავე დროს დიდი მონდომებით ცდილობდნენ ყოველგვარი კვალის დაფარვას. ჰილარი თავს იმტვრევდა ამ გამოცანაზე. ყველაფერი ისე ხდებოდა თითქოს ეს ადამიანები გამუდმებით იცვლებოდნენ. თვითონ მასაც სწორედ ასე

ემართებოდა. ინგლისიდან ჰილარი კრეივენად წამოსული, ივი ოლივია ბეტერტონად იქცა. შეიძლება ამიტომაც სდევდა მუდამ არარეალურობის შეგრძნება. ჰილარი უფრო და უფრო მშვიდად ეკიდებოდა თანამგზავრების მძაფრ პოლიტიკურ ლოზუნგებს. გრძნობდა, რომ თანდათან სერიოზული და თავდაჭერილი ხდებოდა. თავის თავში პოულობდა ძალას, რომ მათი გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყო.

თუმცა ჰილარიმ სწორედ ახლა შეიგრძნო, რომ მათი ეშინოდა. ადრე ის არასოდეს შეხვედრია მაღალნიჭიერ ადამიანებს. აქ კი პირისპირ შეეფეთა თვით გენიალობას, რაც თითქოს სცილდებოდა ნორმის საზღვარს და ადამიანურ გონებასა და გრძნობებზე ბატონობდა.

ხუთივე თანამგზავრი ბევრი რამით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. დოქტორ ბარონის უდიდესი სურვილი იყო განეახლებინა ლაბორატორიული კვლევა-ძიება და ემუშავა, ოღონდ ცდებისათვის არ მოკლებოდა არც ფული და არც ხელსაწყოები. მერედა, რისთვის იყო საჭირო ეს შრომები? ჰილარი ეჭვობდა, რომ ბაქტერიოლოგს თავისთვის დაესვა ეს კითხვა. ერთხელ, საუბარში, მან რაღაც ძალა ახსენა, რომელსაც თურმე შეეძლო უზარმაზარ კონტინენტს დასტყდომოდა თავს. თანაც დასძინა, ეს უზარმაზარი, საშიში ძალა ერთ პატარა ამპულაში თავსდებაო.

— მერე, ამის ჩადენა შეგიძლიათ?! ამ ძალას მართლა ასე გამოიყენებდით? —

შეძრწუნდა ჰილარი.

დოქტორ ბარონმა ქალს გაოცებით შეხედა და უყოყმანოდ დაუქნია თავი.

— რასაკვირველია, — უთხრა მან. — თუკი ეს საჭიროა.

ეს სიტყვები მან ერთგვარი დაუდევრობით წარმოთქვა. მერე იქვე განაგრძო თავისი აზრების განვითარება:

— იცით, ალბათ, ძალზე საინტერესო იქნებოდა პრაქტიკულად ამის ნახვა. — მერე ღრმად ამოიოხრა და დაუმატა: — კიდევ რამდენი რამის აღმოჩენაა საჭირო, რამდენი რამის გაგება...

მაშინ მიხვდა ჰილარი, რა აწუხებდა ამ ახირებული იდეით გაგიჟებულ კაცს. მისი მიზანი იყო მეცნიერული აღმოჩენა, ხოლო რას მოუტანდა ეს აღმოჩენა კაცობრიობას, მილიონობით

ადამიანს, ამას მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ასეთი იყო დოქტორ ბარონის მისწრაფებები და ამაში ივი ცუდს ვერაფერს ხედავდა.

ფროილაინ ნიდჰეიმის მიმართ ჰილარი კიდევ უფრო უსიამოვნოდ იყო განწყობილი. ჰილარი აღშფოთებული იყო ამ ქალის ყოყლოჩინა, ქედმაღლური დამოკიდებულებით ირგვლივ მყოფთადმი. რაც შეეხება პიტერსს, მას სიმპატიით უყურებდა, თუმცა ზოგჯერ მის თვალებში გამომკრთალი ფანატიზმიც აფრთხობდა.

ერთხელ ჰილარიმ უთხრა პიტერსს:

— ასე მგონია, თქვენ სულაც არ ესწრაფვით ახალი სამყაროს შექმნას. მხოლოდ ძველის განადგურება გაგახარებდათ.

— რას ამბობთ, ოლივია, თქვენ ცდებით!

— არა, არ ვცდები. თქვენში რაღაცნაირი სიძულვილი ჩაბუდებულა. მე ამას ვგრძნობ, დიახ, სიძულვილი და ნგრევისაკენ ლტოლვა.

მისთვის ერიქსონიც სრულიად გამოუცნობი პიროვნება იყო. ჰილარი მას მეოცნებედ თვლიდა და ეჩვენებოდა, რომ ივი უფრო შორს იყო სინამდვილისაგან, ვიდრე ფრანგი, რომელსაც პიტერსივით ნგრევის ესოდენ დიდი სურვილი როდი ჰქონდა. ეტყობა ეს ერთი უცნაური ფანატიკოსი იდეალისტი გახლდათ.

— ჩვენ მთელი სამყარო უნდა დავიპყროთ, — ამბობდა ის. — მაშინ ჩვენ ვიბატონებთ.

— ვინ ჩვენ? — ჰკითხა ჰილარიმ.

მან თავი დახარა, თვალებში ცივი გადაწყვეტილება ჩადგომოდა.

— ჩვენ, მშვენიერი უმცირესობა, ტვინიანთა ტრესტი. ამაშია მთელი არსი.

„ნეტავ, საით მივდივართ? — ფიქრობდა ჰილარი, — სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ყოველივე ამან? ესენი ყველანი გიჟები არიან, თავისებური ოფოფები ჰყავთ.. თითოეულს საკუთარი მიზანი ამოძრავებს, თავისი მოჩვენებების სამყარო, დიახ, დიახ, მოჩვენებების“. ჰილარის ფიქრი კვლავ მისის ბეიკერს გადასწვდა. მას არც ფანტაზია გააჩნდა და არც სიძულვილი, არც რაიმე გამოკვეთილი მიზანი, არც ქედმაღლობა, არც არავითარი მისწრაფება. „ამ ქალს, — ფიქრობდა ჰილარი, — არც გული აქვს, არც სინდისი. ის უბრალოდ

რაღაც ვეებერთელა ძალის იარაღია“.

დასასრულს უახლოვდებოდა მესამე დღის მგზავრობა. ჩავიდნენ ერთ ციცქნა ქალაქში და იქაურ სასტუმროში გაჩერდნენ. აქ გაირკვა, რომ მათ კვლავ ევროპული ტანისამოსი უნდა ჩაეცვათ. იმ ღამეს ჰილარის ერთი ბეწო, უავეჯო, მაგრამ სუფთად, თეთრად შეფეთქილ ოთახში ეძინა; იქაურობა სენაკს აგონებდა. ოდნავ ირიჟრაჟა თუ არა, ჰილარი მისის ბეიკერმა გააღვიძა.

— ახლავე უნდა გავემგზავროთ, თვითმფრინავი გველოდება.

— თვითმფრინავი?

— რასაკვირველია, ძვირფასო. მადლობა ღმერთს, ცივილიზებულ ტრანსპორტს ვუბრუნდებით.

მანქანით ერთი საათის მგზავრობის შემდეგ ისინი მიადგნენ ერთ პატარა ასაფრენ მოედანს. აქ მათ თვითმფრინავი ელოდებოდათ. როგორც ჩანდა, ეს რაღაც მიტოვებული სამხედრო აეროდრომი იყო.

პილოტმა ფრანგულ ენაზე გამოაცხადა, რომ ისინი მთების თავზე იფრენდნენ.

შუადღისას თვითმფრინავი სადღაც მთებში დასაჯდომად მოწყობილ მოედანზე დაეშვა. შორიახლო თეთრი შენობა მოჩანდა.

მისის ბეიკერი აუჩქარებლად გაეშურა იქით. შენობასთან ორი მანქანა იდგა. როგორც ჩანდა, ეს საგანგებო დანიშნულების კერძო აეროდრომი უნდა ყოფილიყო, რადგან არავითარი მომსახურე პერსონალი არ ჩანდა.

— ამრიგად, — მხნედ წარმოთქვა მისის ბეიკერმა, — ჩვენი მგზავრობა დასრულდა. ახლა ყველანი წავალთ, დავიბანთ და გავსუფთავდებით. მერე ეს მანქანები საჭირო ადგილას წაგიყვანთ.

— აკი მგზავრობა დასრულდაო? — გაიოცა ჰილარიმ. — ჩვენ ხომ არც ერთი ზღვა არ გადაგვისერავს?

— თქვენ მაგას ელოდით? — ჰილარის შენიშვნამ მისის ბეიკერი გაამხიარულა. ჰილარი შეცბუნდა.

— დიახ, საერთოდ მე მეგონა... — ჰილარი გაჩუმდა. მისის ბეიკერმა თავი გააქნია.

— სხვათა შორის, უმრავლესობა ასე ფიქრობს. ათასნაირ სისულელეს ამბობენ რაღაც რკინის ფარდაზე. ჩემი აზრით კი რკინის ფარდის ჩამოფარება ყველგან შეიძლება, სადაც მოგესურვებათ. ხალხს რატომღაც არ ესმის ეს.

მგზავრებს ორი არაბი მოემსახურათ. შემოიტანეს სენდვიჩები, ბისკვიტები და ყავა. მალე მისის ბეიკერმა საათს დახედა და განაცხადა:

— მაშ, ასე, ჩვენი მოგზაურობა დამთავრდა და მეც გემშვიდობებით.

— მაროკოში ბრუნდებით? — გაიკვირვა ჰილარიმ.

— არა, ეგ ჩემთვის, „ავიაციის კატასტროფაში დაღუპულისათვის“, შესაფერისი ადგილი აღარ არის. ახლა სხვა სახის სამუშაო მექნება.

— მერე, ვინმემ რომ გიცნოთ? — არ ცხრებოდა ჰილარი, — მე იმათზე გეუბნებით, ვინც კასაბლანკასა და ფეცის სასტუმროებში გხვდებოდნენ...

— შეიძლება, მაგრამ ისინი შეცდებიან და საქმეც ამით დამთავრდება. ახლა სხვა პასპორტი მაქვს. გარდა ამისა, სარწმუნო ვერსიაა, რომ საჰაერო კატასტროფის დროს მე კი არა, ჩემი და — მისის კელვინ ბეიკერი დაიღუპა, რომელიც ძალიან მგავდა. სასტუმროს ხშირი სტუმრებისათვის, რომლებითაც იქაურობა გადავსებულია, შუახნის მოგზაური ამერიკელი ქალები სულ ერთნაირები არიან.

„მართალია, — გაიფიქრა ჰილარიმ. — სწორედ რომ ასეა. გარეგნობით მისის ბეიკერი არაფრით არ გამოირჩევა მასისაგან: სადად იცვამს, წელში გამართული დადის, ჭაღარა კულულები კოხტად აქვს დაწყობილი. რაც შეეხება მის შინაგან სამყაროს ან ძალიან ოსტატურად ინიღბება, ანდა, უბრალოდ, გამოფიტული სულის პატრონია“.

— ბოლოს და ბოლოს, მისის ბეიკერ, ვინა ხართ? — მოუთმენლად ჰკითხა ჰილარიმ.

— რაში გჭირდებათ ამის გაგება?

— ეგეც მართალია, რაში მჭირდება!.. მაგრამ ჩვენ ხომ რთულ პირობებში ერთად გავიარეთ ეს გრძელი გზა. ამიტომაც უცნაურად მეჩვენება, რომ თქვენზე არაფერი ვიცი. მე თქვენს „მეს ვგულისხმობ; რას ფიქრობთ, რას გრძნობთ, რა არის თქვენთვის არსებითი.

— არ მეგონა, თუ თქვენ გამომძიებლობისაკენ გქონდათ მიდრეკილება, ძვირფასო,

— ჩაიდუდღუნა მისის ბეიკერმა. — ჩემს რჩევას დაუგდეთ ყური და ეგ აზრები თავიდან მოიშორეთ.

— ისიც კი არ ვიცი, შტატების რომელი კუთხიდან ხართ? — განაგრძობდა ჰილარი დაჟინებით.

— არც ამასა აქვს რაიმე მნიშვნელობა; დიდი ხანია ჩემს ქვეყანასთან კავშირი გავწყვიტე. არსებობს მიზეზები, რომლის გამო იქ აღარასოდეს დავბრუნდები. რომ შემეძლოს, ამერიკას სიამოვნებით გავუსწორდებოდი იმ ტანჯვისათვის,

რომელიც მან მომაყენა.

მისის ბეიკერის სახეზე ერთ წამს სიძულვილმა გაიელვა, მაგრამ უმალ მოთოკა თავი და მისთვის ჩვეულ მხნე ტონზე გადავიდა.

— აბა, გემშვიდობებით, მისის ბეტერტონ! იმედი მაქვს მალე შეხვდებით თქვენს მეუღლეს.

ამაზე ჰილარიმ ნაღვლიანად უპასუხა:

— წარმოდგენა არა მაქვს, სადა ვარ, ქვეყნის რომელ კუთხეში გადმომისროლეთ.

— ეს იოლი საქმეა. საიდუმლოს შენახვას ახლა აზრი აღარა აქვს. ატლასზე ქვეყნის კიდეში აღნიშნულია ერთი პატარა წერტილი. ის მდებარეობს... — მისის ბეიკერმა ფრაზა აღარ დაამთავრა და უცბათ გაშორდა ჰილარის. პილოტი ტრაპთან ელოდებოდა.

ჰილარი უცებ შეშინდა. ასე თუ ისე, ეს ამერიკელი ქალი მას გარე სამყაროსთან აკავშირებდა. ჰილარის გვერდით მდგომი პიტერსი ეტყობა გრძნობდა, რას განიცდიდა ქალი.

— ეს ის ქვეყანაა, საიდანაც უკან აღარასოდეს ბრუნდებიან, — ხმადაბლა უთხრა მან. — ვფიქრობ, ჩვენ სწორედ იქ მოვხვდით.

ქალს მოეჩვენა, თითქოს დოქტორ ბარონის ხმა საიდანღაც შორიდან მოესმა:

— გამაგრდით, მადამ. ან იქნებ გინდათ, თქვენ ამერიკელ მეგობარს გაეკიდოთ? ნუთუ

ოცნებობთ, ჩაჯდეთ თვითმფრინავში და დაბრუნდეთ იმ სამყაროში, საიდანაც წამოხვედით?

— რომ მომენდომებინა, ვითომ შემეძლო დავბრუნებულიყავი? ფრანგმა მხრები აიჩეჩა:

— ვინ იცის!

— ხომ არ დავუძახოთ მისის ბეიკერს, სანამ გვიან არ არის? — შესთავაზა პიტერსმა.

— არა, რა თქმა უნდა! — მკვახედ მიუგო ჰილარიმ.

— სუსტი ნერვების ადამიანის ადგილი აქ არ არის, — ზიზღით შენიშნა მუდამ პირმოკუმულმა ფროილაინ ნიდჰეიმმა.

— რას ბრძანებთ! მისის ბეტერტონზე ამის თქმა არ შეიძლება, — თავაზიანად ჩაურთო ბარონმა. — უბრალოდ, როგორც ყველა მოაზროვნე ქალი, ისიც ეკითხება თავისთავს. — მან სიტყვა „მოაზროვნეზე“ დასვა მახვილი, რომ ამით ჰილარი გერმანელი ქალისათვის დაეპირისპირებინა. მაგრამ ნიდჰეიმზე ბარონის ტონს სულაც არ უმოქმედია. მას ყველა ფრანგი სძულდა და მხოლოდ საკუთარი პიროვნებით იყო აღტაცებული.

ამ დროს გაისმა ერიქსონის მაღალი, ნერვიული ხმა:

— როგორ შეიძლება თავისუფლებას მიღწეულმა ადამიანმა იყოყმანოს — უკან გავბრუნდე, თუ არაო!

— რა თავისუფლებაა, თუ დაბრუნება არ შეიძლება და არჩევანი არ არსებობს! —

წამოიძახა აღშფოთებულმა ჰილარიმ.

მოკამათე მგზავრებს ამ დროს ერთ-ერთი მსახური მიუახლოვდა:

— ბატონებო, გთხოვთ, მანქანები გველოდება!

მართლაც მათ ორი „კადილაკი“ ელოდებოდათ. ჰილარიმ მძღოლთან დაჯდომა ისურვა. მან ეს თხოვნა იმით ახსნა, რომ მანქანით დიდი ხნით მგზავრობის დროს გულისრევა მეწყება ხოლმეო. ამ განმარტებას არავისში ეჭვი არ გამოუწვევია. გზაში ჰილარი დროდადრო შეკითხვებს აძლევდა მძღოლს: ხან ამინდით იყო აღტაცებული, ხან „კადილაკს“ უქებდა. ფრანგულ ენაზე საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა და მძღოლიც სიამოვნებით პასუხობდა.

— კიდევ დიდხანს ვივლით? — ჰკითხა ჰილარიმ.

— აეროდრომიდან საავადმყოფომდე ორი საათის სავალია, მადამ.

„საავადმყოფო?!“ ეს რაღაც ახალი იყო, ჰილარიმ იგრძნო, რომ მას ახალი ხიფათი ელოდა. მან შენიშნა, რომ ფროილაინ ნიდჰეიმმა ბოლო გაჩერებაზე ისეთი კაბა გადაიცვა, როგორიც მედიცინის დებს აცვიათ ხოლმე. ადრე ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ ახლა მძღოლის ნათქვამი ენიშნა.

— მიამბეთ რამე თქვენს საავადმყოფოზე, — სთხოვა ჰილარიმ საკმაოდ გულგრილად.

მძღოლი მის თხოვნაზე სიამოვნებით დათანხმდა.

— ოო, მადამ, ჩვენი საავადმყოფო დიდებული რამ არის! თავისი თანამედროვე დანადგარებით იგი ნამდვილად სრულყოფილია! აქ მსოფლიოს ყველა კუთხიდან საუკეთესო ექიმები ჩამოდიან და განცვიფრებას და აღტაცებას ვერ ფარავენ. ყველაფერი ეს უაღრესად ადამიანური მიზნებისთვის არის განკუთვნილი.

— დიახ, დიახ, ეს ასეც უნდა იყოს, — მექანიკურად დაუდასტურა ჰილარიმ.

— ამ უბედურებს უწინ ალბათ სადმე უკაცრიელ კუნძულზე გადასვამდნენ და ისინიც ნელი სიკვდილით დაიხოცებოდნენ. აქ კი ექიმ კოლინის ახალი პრეპარატებით მკურნალობენ და მათი უმრავლესობა იკურნება. წარმოიდგინეთ, ისინიც კი, ვისაც დიდი ხანია მორეული აქვს სენი.

— საავადმყოფოსთვის ეს ძალზე მიყრუებული ადგილია, — ერთი სუსტი სვლა სცადა ჰილარიმ.

— სწორედ ეს არის საჭირო, ამას მოითხოვს ხელისუფლება. აქ სწორედ მშვენიერი სამკურნალო ჰავაა. გაიხედეთ, მადამ, უკვე გამოჩნდა ის ადგილი, სადაც ჩვენ მივდივართ.

ისინი პატარა მთაგრეხილს უახლოვდებოდნენ, რომელიც ქვაბურას ქმნიდა. სიღრმეში მოთავსებული იყო ძალიან გრძელი თეთრად მოელვარე შენობა.

— ბრწყინვალე მიღწევაა! — აღტაცებას ვერ ფარავდა მძღოლი. — ასეთ შენობას აგება არ უნდა! ზღაპრული თანხებია დახარჯული. იცით, მადამ, ჩვენ ძალიან დავალებული ვართ ამ ქვეყნის მდიდარი ფილანტროპებისაგან. ეს მთავრობის რაღაც საცოდავი ღონისძიება კი

არ გეგონოთ — აქ ფული ნიაღვარივით მოდიოდა. ამბობენ, რომ ჩვენი მფარველი, მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესიაო. მან ააშენა ეს დიდებული დაწესებულება, რომლის მიზანია ადამიანური ტანჯვის შემსუბუქება!

მალე მანქანები ჭიშკრიდან ცოტა მოშორებით, რკინის მაღალ მესერთან შეჩერდნენ.

— აქ ჩამოხვალთ, მადამ, — მოესმა ჰილარის. — ჭიშკარში შესვლის უფლება არა გვაქვს. ჩვენი გარაჟები კი ერთი კილომეტრითაა დაშორებული.

მგზავრები მანქანებიდან გადმოვიდნენ. ჭიშკარზე უზარმაზარი კლიტე ეკიდა. ჩამოსულთაგან მისთვის ვერავინ მოასწრო ხელის ხლება, — ის თვითონ გაიღო. თეთრსამოსიანმა შავკანიანმა მამაკაცმა მოსულებს ღიმილით დაუკრა თავი და ანიშნა, შემოდითო. ისინი ნელ-ნელა შევიდნენ ჭიშკარში, რომელიც მაშინვე დაიკეტა. პირველი, რაც მათ თვალში მოხვდათ, მავთულის ხლართით შემოღობილი ეზოს ნაწილი იყო. იქ ვიღაცეები ბოლთას სცემდნენ. შემდეგ ერთად შეჯგუფდნენ და ახალმოსულებს ცნობისმოყვარეობით დაუწყეს ყურება. შეძრწუნებულ ჰილარის უეცრად აღმოხდა:

— შეხედეთ! ესენი კეთროვანები არიან! კეთროვანები! — თავზარდაცემულ ქალს ტუჩები უთრთოდა.

მეათე თავი

მგზავრების უკან ჭრიალით დაიხურა რკინის ჭიშკარი და ისინი ლეპროზორიუმში აღმოჩნდნენ. „აქ შემომსვლელო, გადაიწურე ყველა იმედი...“ — გაიხსენა ჰილარიმ.

დიახ, ეს აღსასრულია, აქ ესმება წერტილი ყოველივეს, გაიფიქრა მან. ამის მერე რა გაქცევაზე შეიძლება ლაპარაკი?! თამაში დამთავრდა... მან აშკარად წააგო ჰილარის თვალწინ წარმოუდგა მისთვის უცნობი ბეტერტონი, რომელიც ალბათ იტყვის: „ვინ არის ეს. სადაური ჩემი ცოლია?“ მაშინ რაღა ქნას, ხომ მიხვდებიან, ვინ შეაღწია მათ სამყაროში. იქნებ სჯობია, ბეტერტონს თვითონ დაასწროს და, ვიდრე ის შეეკითხებოდეს, „ვინა ხარო“, განაცხადოს: „თქვენ არა ხართ ჩემი ქმარიო“. აღშფოთდეს და პირიქით, ისინი დააეჭვოს, მართლა ბეტერტონია ეს კაცი, თუ შევცდითო. ეგებ ბეტერტონის მაგივრად აქ სულ სხვა მეცნიერია, ანდა სულაც ვიღაც ჯაშუშიო? ბეტერტონს ჯაშუში არ ეთქმის, ეს უსინდისობა იქნება, მაგრამ ის ხომ მაინც თავისი ქვეყნის საიდუმლოს გამყიდველია?!

მოსულებს მიეგება მაღალი, ლამაზი მამაკაცი.

— მოხარული ვარ, ძვირფასო დოქტორო! — ფრანგულ ენაზე მიმართა მან ბარონს. მერე ჰილარის მიუბრუნდა და ინგლისურად გამოელაპარაკა:

— ოჰ, მისის ბეტერტონ, თქვენი მობრძანებით ძალიან გაგვახარეთ. ძალზე გრძელი და მომქანცველი გზა გამოიარეთ. თქვენი მეუღლე თავს კარგად გრძნობს და ბუნებრივია, მოუთმენლად გელით, — და ქალს ოდნავ გაუღიმა, თუმცა თვალებში კვლავინდებურად სიცივე გამოკრთოდა.

ჰილარის თავბრუ დაეხვა. იქვე მდგომმა პიტერსმა ხელი შეაშველა.

— იქნებ არ იცით, რომ მისის ბეტერტონი კასაბლანკაში საავიაციო კატასტროფაში მოყვა. ახლა ეს გაუთავებელი გზა... — უთხრა პიტერსმა დამხვდურს.

ჰილარიმ მოსაუბრის ხმაში სითბო შენიშნა და გაოცდა. თავბრუსხვევა არ უჩერდებოდა. უნდოდა ცთუნებას აჰყოლოდა და გული წასვლოდა, რომ ამით ცოტაოდენი დრო მოეგო. მაგრამ ბეტერტონი თვითონ რომ მოსულიყო აქ... ყველა

ქმარი ასე მოიქცეოდა... ჰილარი შეცადა გამაგრებულიყო.

რას იზამ, თუ ეს აღსასრულია, დეე, ღირსეულად შეხვდეს მას. რაც არის, არის, მვა ბეტერტონთან. როცა ის უარყოფს, მაშინ უკანასკნელ შანსს მიმართავს — უშიშრად და დამაჯერებლად ეტყვის:

— მართალი ხართ. მე თქვენი ცოლი არა ვარ. სამწუხაროა, მაგრამ თქვენი ცოლი.. მაპატიეთ, ასეთი შემზარავი ცნობისათვის... გარდაიცვალა. ის იმავე საავადმყოფოში იწვა, რომელშიც მე ვიყავი. ფიცი მივეცი, რომ მოგძებნიდით და მის უკანასკნელ სიტყვებს გადმოგცემდით. მთელი გულით მოვისწრაფოდი თქვენსკენ, რომ მისი უკანასკნელი სურვილი შემესრულებინა. მე თანავუგრძნობ თქვენს საქმიანობას და თქვენს პოლიტიკურ შეხედულებებს და მინდოდა რამეში გამოგდგომოდით...

მაგრამ, არა, არ არის დამაჯერებელი!..

— არა, არა! მე უნდა ვნახო თომასი! — მტკიცედ განაცხადა მან. — ახლავე უნდა წავიდე მასთან. თუ შეიძლება, ამ წუთშივე!

— გასაგებია, მისის ბეტერტონ, სავსებით გასაგებია თქვენი მდგომარეობა. აი, მის ჯენსონიც!

ოთახში სათვალიანი გამხდარი ქალიშვილი შემოვიდა და იქვე შედგა.

— გაიცანით, მის ჯენსონ! ეს მისის ბეტერტონია, ფროილაინ ნიდჰეიმი, დოქტორ ბარონი, მისტერ პიტერსი, დოქტორ ერიქსონი. გეთაყვა, რეგისტრატურაში მიაცილეთ. ჯერ რაიმე დასალევი შესთავაზეთ და მალე შემოგიერთდებით. მე მისის ბეტერტონს ქმართან მივიყვან. გამომყევით მისის, გთხოვთ!

მისის ბეტერტონმა დერეფნის მოსახვევში ერთი მიიხედა უკან. პიტერსს თვალი გამოეყოლებინა და ძალიან დაბნეული და ნაწყენი ჩანდა. ჰილარიმ გაიფიქრა, შესაძლოა უკანასკნელად ვხედავო და პიტერსს ხელი დაუქნია.

ქალის გამყოლი გაუთავებლად ლაპარაკობდა.

— აქეთ, მისის ბეტერტონ. ჩვენს შენობაში გზის გაგნება პირველ ხანებში გაგიჭირდებათ. აქ უამრავი დერეფანია და ყველა ერთმანეთს ჰგავს...

„ასე მგონია ცუდ სიზმარს ვხედავ, — ფიქრობდა ჰილარი, — გრძელი, თეთრი ლაბირინთები რომ დაგესიზმრება და უკან გასასვლელ გზას ვერ პოულობ...“

— ვერ გავიგე, სადა ვართ? — ჰკითხა მან გამყოლს. — ეს რა, საავადმყოფოა?

— რა თქმა უნდა, არა! გეტყობათ, ვერაფერს ხვდებით. როგორც ამბობენ, თქვენ

„ბრმა ფრენით“ იფრინეთ... ჰო, მართლა, მე პოლ ჰეიდემი მქვია, პოლ ვან ჰეიდემი.

— რაღაც უცნაურია... თან საშიში, — ძლივს ამოთქვა ჰილარიმ. — ის კეთროვნები...

— ჰო, გეთანხმებით, სასიამოვნო სანახავი არ არის, თავისი მოულოდნელობით გაფრთხობთ. საერთოდ ახალმოსულებზე ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ ეს პირველად, მერე მიეჩვევით. დიახ, დიახ, თანდათან მიეჩვევით.

ვან ჰეიდემი რომელიღაც კართან შედგა და დააკაკუნა. მერე ცოტა შეიცადა და გააღო.

— ჰეი, ბეტერტონ! როგორც იქნა მოვედით. აი, ცოლი მოგიყვანეთ! — და მერე, ცოტა

არ იყოს თეატრალური ჟესტით უკან დაიხია.

ჰილარი ოთახში შევიდა. იგი ყოველგვარი მოსალოდნელობისათვის მზად იყო. მან დაინახა ფანჯარასთან ზურგით მდგარი მამაკაცი. გაოცდა, როცა თვალის შევლებისთანავე ლამაზი ვაჟკაცი მოხვდა თვალში. თომას ბეტერტონი ასეთი სულაც არ წარმოედგინა. ჯესეპის ფოტოს სულაც არ ჰგავდა...

ჰილარი თომასს მიუახლოვდა, მაგრამ მაშინვე უკან დაიხია კარისაკენ. გაისმა მისი შიშნარევი დამფრთხალი ხმა:

— ეს თომასი არ არის! ეს სულაც არ არის ჩემი ქმარი! — ჰილარი გრძნობდა, რომ ეს ბუნებრივად ჟღერდა. დრამატიზმი ერთია, მაგრამ გადამეტება საშიში იყო. მერე მან ვან ჰეიდემს პირდაპირ თვალებში შეხედა. მისი გამომეტყველება კითხვას გამოხატავდა.

მაშინ გაისმა ხმამაღალი სიცილი. თომას ბეტერტონი იცინოდა, მშვიდად, მხიარულად და ერთგვარი თვითკმაყოფილებით.

— აი, ეს კი მესმის, საკუთარი ცოლიც კი ვერა მცნობს. ის სწრაფად მიუახლოვდა ჰილარის და ხელი მოხვია.

— ოლივია, ძვირფასო, ვეღარა მცნობ? მე ხომ შენი თომასი ვარ. ოღონდ ახლა სხვანაირი სახე მაქვს.

ბეტერტონი მაგრად ეხვეოდა ქალს და თან ტუჩებით მის ყურს ეხებოდა, უცებ ქალმა გაიგონა:

— ღვთის გულისათვის, თამაშს ნუ ჩაშლით, ირგვლივ საშიშროებაა. მან მკლავები გაშალა, სახეში ჩახედა და ისევ მოეფერა:

— გენაცვალე, ასე მგონია, წლები გვაშორებს-მეთქი. მაგრამ, აი, როგორც იქნა, ჩემთანა ხარ!

ჰილარი გრძნობდა, როგორ უჭერდა მამაკაცის თითები მკლავებზე — ეს გაფრთხილებას ნიშნავდა.

ჰილარის არაფერი ესმოდა, ვერაფერს მიმხვდარიყო. მაგრამ რაც ხდებოდა, თითქოს განგების ძალით იყო მოწყობილი. ამიტომ მან ახლა უფრო დამაჯერებლად განაგრძო თავისი

როლი.

— თომას! — შესძახა ჰილარიმ. — მითხარი, რა დაგემართა...

— ისეთი არაფერი, პლასტიკური ოპერაცია გავიკეთე. ვენიდან ჩამოსულმა ექიმმა ჰერცმა გამიკეთა. ის აქ ცხოვრობს და მუშაობს. არაჩვეულებრივი კაცია! ძალიან გთხოვ, არ მითხრა, რომ გენანება ჩემი ძველი გატეხილი ცხვირი.

— დრო ისე ნელა გადიოდა, — ჩაილაპარაკა ჰილარიმ. — მე სულ... — მერე ერთი წაბარბაცდა. — შეიძლება დავჯდე?

ბეტერტონმა სწრაფად ჩასვა სავარძელში.

— რასაკვირველია, გენაცვალე. ახლა ყველაფერი წარსულს ჩაბარდა: შენი მტანჯველი მოგზაურობა, ეს კატასტროფა. ღმერთო ჩემო, რა ბედნიერებაა, რომ გადარჩი!

— მაგრამ, შემოგევლე, ამან ჩემზე ძალიან იმოქმედა. — ჰილარის ტუჩებზე

დამნაშავის ღიმილი აუთამაშდა. — ჩემი საბრალო თავი... ახლა ხშირად მავიწყდება ზოგი რამ, ერთმანეთში მერევა, ზოგჯერ აუტანელი თავის ტკივილი მაქვს. აი, ახლა გნახე, მაგრამ შენ რაღაც სხვანაირად გამოიყურები, ასე მგონია, უცნობი კაცია-მეთქი. მაპატიე, გეთაყვა, მე მთლად დავიბენი. არ მინდა, რომ ჩემ გამო ხელი შეგეშალოს.

— შენს გამო? რას ამბობ? არასოდეს! ეცადე, გულთან ახლოს არაფერი მიიტანო. ვან ჰეიდემი ფეხაკრეფით გაემართა კარისაკენ.

— მე დაგტოვებთ, — უთხრა მან. — ბეტერტონ, თქვენი მეუღლე რეგისტრაციაში მიიყვანეთ. — თქვა და გავიდა. ბეტერტონი ჰილარის წინ მუხლებზე დაეცა.

— ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო... — და ჰილარიმ კვლავ იგრძნო მისი გამაფრთხილებელი თითების მოჭერა. — განაგრძეთ, განაგრძეთ, — უჩურჩულა მან. — აქ შეიძლება მიკროფონი იყოს და ვინ იცის, რა შეიძლება...

ჰილარიმ მხრებზე დაადო ხელი და სახეში ჩააცქერდა; ქალს სახეზე ბედნიერების ღიმილი ჰქონდა (სავსებით შესაძლებელი იყო, რომ მათ არა მარტო უსმენდნენ, არამედ უყურებდნენ კიდეც).

ჰილარი მშვიდად და ცივი გონებით სწავლობდა მის წინ მჯდომ მამაკაცს, რომელსაც ლამაზი, მაგრამ ნერვიული სახე ჰქონდა. ასე, ოცდაათი წლისა იქებოდა, როგორც ეტყობოდა, რაღაცით ძალზე დამფრთხალი იყო და ნერვები უკიდურესად ჰქონდა დაჭიმული. ალბათ იმედებით აღსავსე ჩამოვიდა და ამ მდგომარეობამდე მივიდა.

— მითხარი, თომას, აქ კარგია?.. კმაყოფილი ხარ? — ეს კითხვა აუცილებელი იყო. აბა, რომელი ცოლი არ ჰკითხავს ამას ქმარს?

— ჰო, ძალიან. აქ დიდებულია! — ბეტერტონმა მხრები გამართა და თავი ასწია. ტუჩები უღიმოდა, მაგრამ თვალებში შიში და უბედურება ჩაბუდებოდა. — ოჰ, აქ ყოველგვარი საშუალებაა. არავითარ ხარჯს არ ერიდებიან. მუშაობისთვის მშვენიერი პირობებია. ახლა თვითონ ორგანიზაციას აღარ იტყვი! რაღაც გრანდიოზულია!

— თომას, აქ ყველა ისეთნაირი გზით მოდის, როგორც ჩვენ?

— მაპატიე, გენაცვალე, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ არის საჭირო.

— კეთროვნები? აქ მართლა ლეპროზორიუმია?

— ჰო, აქ ექიმთა დიდი ჯგუფი მუშაობს. ეს უბრალოდ ჭკვიანური შენიღბვაა.

— გასაგებია. — ჰილარიმ ირგვლივ მიმოიხედა. — თომას, ეს ჩვენი ბინაა?

— ჰო, ჩვენია. სასტუმრო, საბაზანო, იქით საძინებელია. წამოდი, გიჩვენებ.

ჰილარი წამოდგა და ბეტერტონს გაყვა. ისინი ჯერ ლამაზად მოპირკეთებულ საბაზანოში შევიდნენ, მერე საძინებელში გავიდნენ, სადაც ორი საწოლი იდგა.

— ნეტავი, აქ რა უნდა დავკიდო? — ღიმილით თქვა ქალმა და ტანსაცმლის დიდ კარადაზე მიუთითა. — მთელი ჩემი ქონება ზედ მაცვია.

— აქ ყველაფერი შეიძლება შეკერო, რასაც მოისურვებ. მოდების სპეციალური განყოფილება გვაქვს, ქალებისათვის კოსმეტიკაც, თანაც ყველაზე საუკეთესო

ხარისხისა, რაც კი ამ ქვეყანაზეა.

კარგად მოწყობილი გალიაა... საინტერესოა, ამ სრულიად სხვადასხვა შეხედულების

ადამიანებმა რისთვის დატოვეს თავისი სამშობლო, ახლობლები, ცხოვრების ჩვეულებრივი წესი! დოქტორი ბარონი, ენდი პიტერსი, ერიქსონი თავისი მთვლემარე სახით, ეს ქედმაღალი ნიდჰეიმი! ნეტავ, თუ იცოდა ამ ხალხმა, რას იპოვიდა აქ და რომ სცოდნოდათ, მაშინაც დათანხმდებოდნენ? მიიღებენ კი იმას, რისთვისაც მიისწრაფვიან?

— რეგისტრატურაში წასვლის დროა, — მორიდებით უთხრა ბეტერტონმა.

— ეგ რაღაა?

— ყველა ჩამოსული იქ უნდა გატარდეს. ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას აღნიშნავენ: სისხლის წნევას, ჯგუფს, კბილების მდგომარეობას, ფსიქიურ რეაქციას, გემოვნებას, ალერგიულობას და სხვა.

— ეს, ეტყობა, რაღაც სამხედრო თუ უფრო სამედიცინო ორგანიზაციაა?

— ერთიც და მეორეც, — მიუგო ბეტერტონმა, — ორივე ერთად. ეს ორგანიზაცია... ოოჰ შესანიშნავი რამ არის!

— ასეც ვფიქრობდი, — ჰილარი ცდილობდა დიდი ენთუზიაზმით წარმოეთქვა ეს სიტყვები.

— აქ ჯერ კიდევ ბევრ რამეში დაგჭირდება გარკვევა. — დინჯად თქვა ბეტერტონმა. —

გირჩევ, ერთბაშად ყველაფრის გაგებას ნუ შეეცდები.

მან ისევ აკოცა ჰილარის. შორიდან ეს კოცნა ნაზი და ვნებიანი მოგეჩვენებოდათ, სინამდვილეში კი ივი ცივი იყო.

მეთერთმეტე თავი

რეგისტრატურაში მხოლოდ ერთი ქალი იყო; თავისი გარეგნობით იგი მკაცრ გადიას უფრო წააგავდა.

— კეთილი! — თქვა მან და პენსნეს შუშები გამამხნევებლად მიანათა მისკენ მიმავალ ბეტერტონებს. — მხოლოდ თქვენ დარჩით მისის ბეტერტონ.

ინგლისურად უშეცდომოდ ლაპარაკობდა, მაგრამ იმდენად სწორად და საგანგებოდ დახვეწილად, რომ ჰილარიმ მაშინვე შეიცნო მასში უცხოელი. ის მართლაც შვედი აღმოჩნდა. მან ჰილარის სკამზე მიუთითა, მერე იქვე გვერდით კარადა გამოაღო, ანკეტების მთელი დასტა გამოიღო და გამალებით შეუდგა რაღაცის წერას.

— ოლივია, მე ცოტა ხნით დაგტოვებ, — უთხრა შემცბარმა ბეტერტონმა.

— კეთილი, დოქტორ ბეტერტონ, ჩვენ გვირჩევნია, რაც შეიძლება მალე მოვრჩეთ ეს ფორმალობა.

თომასი გავიდა და კარი ფრთხილად გაიხურა. რობოტმა კი, როგორც ჰილარიმ შეარქვა ქალს, წერა განაგრძო.

— მაშ, დავიწყოთ, — მიუბრუნდა ის ჰილარის გადაჭარბებული სერიოზულობით. —

გთხოვთ, მითხარით თქვენი სახელი და გვარი სრულად, ასაკი, დაბადების

ადგილი, მშობლების სახელები, რა და რა მძიმე დაავადებები გადაგიტანიათ, გიტაცებთ თუ არა რაიმე, ან თქვენი გემოვნების შესახებ მითხარით. ჩამომითვალეთ, სად და რა თანამდებობაზე გიმუშავიათ. უნივერსიტეტში რა ხარისხი მიიღეთ, სასმელ-საჭმელიდან რა უფრო გიყვართ.

გეგონებოდათ, ამ კითხვებს ბოლო არ ექნებოდა. ჰილარი თითქმის დაუფიქრებლად პასუხობდა, ძალადაუტანებლად. ახლა კმაყოფილებით იგონებდა ჯესეპისაგან მიღებულ გაკვეთილებს. როდესაც ბოლო პუნქტი დაამთავრეს, რობოტმა კმაყოფილებით თქვა:

— კეთილი, ჩემთან ყველაფერი მოთავებულია. თქვენს თავს ახლა დოქტორ შვარცს გადავცემ, რომელიც თავის მხრივ, სამედიცინო გამოკვლევას ჩაგიტარებთ.

— მართლა? — დაფრთხა ქალი. — ვითომ აუცილებელია? რა სისულელეა!

— ოჰ, მისის ბეტერტონ, ჩვენ გვიყვარს, როდესაც ანკეტაში ყველაფერია აღნიშნული. გარწმუნებთ, დოქტორი შვარცი ძალიან მოგეწონებათ. იქიდან დოქტორ რაბეკთან მიხვალთ.

ექიმი შვარცი ქერათმიანი სანდომიანი ქალი აღმოჩნდა. მან ჰილარი გასინჯა და დოქტორ რებეკთან გაგზავნა.

— ვინ არის დოქტორ რაბეკი? — იკითხა ჰილარიმ. — ისიც თერაპევტია?

— არა, სხვა სპეციალობისაა, ის ფსიქიატრი გახლავთ.

— მერე, რაში მჭირდება ფსიქიატრი, მე არ მიყვარს ფსიქიატრები!

— მისის ბეტერტონ, გუნებას ნუ იფუჭებთ. არავინ გაიძულებთ მკურნალობას. გონებრივი მონაცემებისათვის რაიმე ტესტს მოგცემენ, ეგ არის, მეტი არაფერი.

მაღალი, მელანქოლიური შესახედაობის ორმოციოდე წლის ექიმი რაბეკი თავაზიანად მიესალმა ჰილარის, მერე შვარცის მიერ გადაცემულ ფურცელს დახედა და თავი კმაყოფილებით დააქნია.

— კარგია, რომ ჯანმრთელი ყოფილხართ. თქვენ ახლახან საავიაციო კატასტროფაში მოხვდით, არა?

— დიახ, — დაუდასტურა ჰილარიმ. — კასაბლანკას საავადმყოფოში ოთხი თუ ხუთი დღე ვიწექი.

— ოთხი-ხუთი დღე საკმარისი არ არის. მკურნალობა უნდა გაგეგრძელებინათ.

— დარჩენა აღარ შეიძლებოდა, მგზავრობა უნდა გამეგრძელებინა.

— დიახ, გასაგებია. მაგრამ ხანგრძლივი დასვენება მაინც გჭირდებათ. შესაძლოა ჯანმრთელი ხართ და თავსაც კარგად გრძნობთ, მაგრამ მოსალოდნელია კონტუზიის შედეგმა თავი მაინც იჩინოს. მაგალითად, ნერვების რეფლექსი, როგორიც უნდა გქონდეთ, ისეთი არა გაქვთ. ეს შეიძლება აიხსნას ნაწილობრივ მძიმე მგზავრობით, ნაწილობრივ კონტუზიით. თავის ტკივილები გაქვთ ხოლმე?

— დიახ, ძალიან ძლიერი. თავბრუსხვევით მეწყება, შემდეგ გონება მეფანტება, ვერ ვიხსენებ, ადრე რა იყო.

ჰილარიმ კარგად იცოდა, რომ აუცილებელი იყო ამ მომენტისათვის ხაზი გაესვა.

— გასაგებია, ეს გაივლის.

ჰილარი დასაწყისში ნერვიულობდა, მაგრამ მერე ნახა, რომ ყველაფერი რიგზე მიდიოდა. ტესტი ძალიან ჩვეულებრივი იყო. ექიმმა რაბეკმა თავის ფურცელზე ფანქრით რაღაც ჩაინიშნა.

— იცით, რა სასიამოვნოა, — თქვა მან ბოლოს, — როდესაც საქმე არა გაქვთ რომელიმე ასპექტის გენიოსთან. იმედია, ქალბატონო, სწორად გამიგებთ და ჩემი სიტყვები არ გეწყინებათ.

ჰილარის გაეცინა.

— რა თქმა უნდა, მე გენიოსებს არ ვეკუთვნი!

— თქვენი ბედი! — ამოიოხრა რაბეკმა. — გარწმუნებთ, თქვენ აქ გაცილებით მშვიდად იქნებით, ვიდრე სხვები. — მერე გაჩუმდა. — იცით, მე ურთიერთობა მაქვს გამოჩენილ პიროვნებებთან. ისინი რეაქტიულები არიან და მალე გამოდიან წონასწორობიდან. რაც შეეხება ემოციურ დატვირთვას, ძალზედ მძიმედ იტანენ მას. მეცნიერი ადამიანი, მადამ, სულაც არ არის მშვიდი, ცივი ინდივიდუმი. მე თუ მკითხავთ, სწორედ მათზე უნდა დაიწეროს რომანები. თუ ემოციურ წონასწორობაზე ვილაპარაკებთ, მაშინ პირველი კლასის ჩოგბურთელსა, ოპერის პრიმადონასა და ატომისტ ფიზიკოსს შორის მცირეოდენ განსხვავებას აღმოვაჩენთ.

— შეიძლება მართალი იყოთ, — მიუგო ჰილარიმ. თან გაიხსენა, რომ რამდენიმე წელია, მეცნიერებთან იყო დაკავშირებული. — დიახ, მეცნიერებისათვის ერთგვარი ტემპერამენტია დამახასიათებელი.

— ალბათ, არ დამიჯერებთ, — ხელები გაშალა ექიმმა, — რა ცხარე კამათი ატყდება ხოლმე: დავა, ეჭვი, ზოგჯერ წყენაც! ჩვენ კი ყოველი საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ ყველანი დავაწყნაროთ. რაც შეგეხებათ თქვენ, მადამ, — და გაუღიმა, — უმნიშვნელო უმცირესობის ჯგუფს მიეკუთვნებით. ეს ბედნიერი ჯგუფია, თუ შეიძლება, ასე ითქვას.

— მე მთლად კარგად ვერ გაგიგეთ, რა უმცირესობაზეა ლაპარაკი? — გაოცდა ჰილარი.

— მეუღლეებზე მოგახსენებთ, — მიუგო ექიმმა რაბეკმა. — აქ ისინი ცოტანი არიან. მხოლოდ ზოგიერთს დართეს ნება ჩამოსულიყვნენ. ის, რაც სხვებს აწუხებთ, მათზე არ მოქმედებს.

— მერე, მეუღლეები აქ რას აკეთებენ? — დაინტერესდა ჰილარი და თან მოიბოდიშა:

— იცით, ჩემთვის ყველაფერი ეს ახალია. მართალი გითხრათ, ჯერ ვერაფერში გავრკვეულვარ.

— თქვენი არცოდნა ბუნებრივია, სავსებით ბუნებრივი. ეს განსაკუთრებული შემთხვევაა... შეგიძლიათ აირჩიოთ თქვენთვის რაიმე ჰობი, რაღაც საქმიანობა რომ გაერთოთ, საჭირო განათლების კურსიც კი გაიაროთ. აქ ადამიანს მოღვაწეობის ფართო ასპარეზი აქვს. იმედი მაქვს, აქაურ ცხოვრებას სავსებით შეეწყობით.

— თქვენთვის კი მისაღებია აქაური ცხოვრება?

ამ უაღრესად კადნიერმა კითხვამ თვითონ ჰილარი დააეჭვა: გონივრული იყო ამისი შეკითხვა?

ექიმი რაბეკი ამ კითხვამ რაღაცნაირად გაამხიარულა.

— რა თქმა უნდა, მადამ, — უთხრა მან. — ჩემი ცხოვრება აქ მეტად საინტერესოა.

— მითხარით, ექიმო, შვეიცარიიდან წამოსვლას არ ნანობთ?

— არა, სახლზე არ ვნაღვლობ, სრულიად არა. ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ადრე ძალიან ცუდ პირობებში ვცხოვრობდი. მყავდა ცოლი და შვიდი შვილი. მე კი, მადამ, ოჯახური ცხოვრებისათვის არა ვარ გაჩენილი. ახლა ჩემთვის ცხოვრება უაღრესად საინტერესო გახდა. ნიჭიერი ადამიანების ფსიქიკის შესასწავლად განუსაზღვრელი შესაძლებლობა მაქვს. მე მათზე წიგნსა ვწერ. ოჯახური საქმიანობისაგან თავისუფალი ვარ. არავინ მაწუხებს, არავინ მიშლის ხელს. ეს სავსებით მაკმაყოფილებს.

— ახლა სად წავიდე? — ჰკითხა ჰილარიმ, როდესაც რაბეკი წამოდგა და მეგობრულად ჩამოართვა ხელი.

— ახლა მადმუაზელ ლაროშთან. ის მოდების განყოფილებაში მიგაცილებთ. იქ მისვლით მე ვგონებ ძალზე კმაყოფილი დარჩებით.

მკაცრი მდედრობითი სქესის რობოტების შემდეგ მადმუაზელ ლაროშმა სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.

— ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანით, — თავაზიანად გაუღიმა მან. — იმედი მაქვს, რამეში გამოგადგებით. ახალი ჩამოსული ხართ და ალბათ დაღლილი იქნებით. აგარჩევინებთ ყველაზე აუცილებელს. ხვალ გაეცნობით ყველაფერს და შეუკვეთავთ, რაც მოგესურვებათ. თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, თეთრეულს ახლავე შემოგთავაზებთ, აგრეთვე გამოსასვლელ კაბასა და კოსტიუმს.

— ძალიან კარგი! — შესძახა ჰილარიმ. — ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელებაა, კბილის ჯაგრისის გარდა რომ არაფერი გაბადია!

მადმუაზელ ლაროშმა მხიარულად გაიცინა. შემდეგ ჰილარი შეიყვანა ვეებერთელა ოთახში, რომლის კედლების კარადებში ნაირნაირი ფასონის, ზომისა და დანიშნულების ტანსაცმელი ეკიდა. ჰილარიმ ყველაზე აუცილებელი აირჩია. მერე ლაროშმა კოსმეტიკის კაბინეტში წაიყვანა, სადაც ნაირ-ნაირი მალამოები და ტუალეტის ნივთები იყო. ყველაფერი, რაც ჰილარიმ აირჩია, ლაროშის თანაშემწეს, მუქკანიან გოგონას გადასცეს და უბრძანეს, რომ ბეტერტონის ბინაში მიეტანა.

— იმედი მაქვს, მალე შევხვდებით ერთმანეთს, — მიმართა მას მადმუაზელ ლაროშმა გულღიად. — დიდი სიამოვნებით დაგეხმარებით ტუალეტის არჩევაში. ჩვენს შორის დარჩეს და ჩემი საქმიანობა მხოლოდ უსიამოვნებას მგვრის. ეს მეცნიერი ქალები ტანსაცმელს მცირე ყურადღებას უთმობენ. ნახევარი საათის წინ ჩემთან იყო თქვენი თანამგზავრი ქალი...

— ფროილაინ ნიდჰეიმი?

— დიახ, მგონი ეგ არის. ცოტათი რომ თავს მიხედოს, საფრთხობელას აღარ ემსგავსება. ეგ ერთ-ერთი იმათგანია, კაცი მეორედ რომ ვეღარ შეხედავს.

ამ დროს სალონში შემოვიდა მის ჯენსონი, სათვალიანი გამხდარი ქალიშვილი, რომელიც ჰეიდემთან ერთად შეხვდა მგზავრებს.

— მისის ბეტერტონ, აქ საქმიანობა უკვე დაამთავრეთ? — ჰკითხა მან.

— დიახ.

— მაშ, გთხოვთ, გამომყვეთ. თქვენი ნახვა დირექტორის მოადგილეს უნდა, დოქტორ ნელსონს.

ჰილარი მადმუაზელ ლაროშს გამოემშვიდობა და ენერგიულად მიმავალ ჯენსონს გაყვა.

— მისტერ ნელსონი რა დარგში მუშაობს? ექიმია თუ ფიზიკოსი? — ჰკითხა ჰილარიმ.

— მისის ბეტერტონ, ის არც ექიმია და არც ფიზიკოსი. ის არის ჩვენი დაწესებულების მთავარი ადმინისტრატორი. ყოველგვარი საჩივარი მასთან მიდის. გარდა დღევანდელი შეხვედრისა, თუ რაიმე გამონაკლისი შემთხვევა არ მოხდა. მას, ალბათ, ვეღარ შეხვდებით.

— გასაგებია, — მოკლედ გამოეპასუხა ჰილარი. მის ჯენსონის უკმეხმა ქცევამ —

თავისი ადგილი მიეჩინა მისთვის, ჰილარი გაამხიარულა.

ნელსონთან მოსახვედრად ორი ოთახის გავლა იყო საჭირო. იქ სტენოგრაფისტები მუშაობდნენ. ბოლოს ჰილარი და მისი თანმხლები ქალი კაბინეტში შევიდნენ. დოქტორი ნელსონი უზარმაზარ მაგიდასთან მოკალათებულიყო. ეს იყო მსხვილი, ღაჟღაჟა მამაკაცი. სასიამოვნო ქცევა ჰქონდა. მეტყველებაზე ეტყობოდა, რომ შტატების მკვიდრი უნდა ყოფილიყო.

— მობრძანდით! — შეეგება ნელსონი ჰილარის და წინ წამოვიდა. — მოხარული ვარ, მისის ბეტერტონ, რომ ჩვენთან გხედავთ! იმედი მაქვს, რომ აქაურობა მოგეწონებათ. კატასტროფის ამბებს გითანაგრძნობთ. პირდაპირ ბედნიერებაა, რომ ყველაფერი ასე კარგად დაგვირგვინდა. თქვენი მეუღლე მოუთმენლად მოგელოდათ. ჩვენთან ალბათ რიგიანად მოეწყობით და თავსაც ბედნიერად იგრძნობთ.

— გმადლობთ, დოქტორ ნელსონ.

ჰილარი ნელსონის შეთავაზებულ სკამზე დაჯდა.

— ხომ არაფერს შემეკითხებით? — დოქტორი ნელსონი წინ გადმოიხარა და მთლად სმენად იქცა.

— იმდენი რამ მაინტერესებს, რომ აღარ ვიცი, საიდან დავიწყო.

— მესმის თქვენი. მაგრამ, გირჩევთ, ჯერჯერობით ნურაფერს მკითხავთ, უბრალოდ შეეჩვიეთ აქაურობას, მიიხედ-მოიხედეთ, დამიჯერეთ, ეს ყველაზე უფრო კარგი იქნება...

— აქ ყველაფერი ისე მოულოდნელია... — ჩაილაპარაკა ჰილარიმ.

— თავის დროზე ჩემთვისაც ასევე მოულოდნელი იყო... როგორც ხედავთ, თავიდან ცოტას ვლაპარაკობთ და ამას შეგნებულად ჩავდივართ. ადვილი მოსალოდნელია, გაუფრთხილებლობით კაცმა რაღაც წამოაყრანტალოს, ჩვენი ორგანიზაციისთვის კი კეთილგანწყობილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მისის ბეტერტონ, შეეჩვევით აქაურობას და მოგეწონებათ. აი, დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები. რასაც მოისურვებთ, ყველაფერს მიიღებთ. თქვენ ოღონდ შეუკვეთეთ, თუ ხელოვნების დარგიდან რაიმე გნებავთ, ვთქვათ, ქანდაკება, ფერწერა, მუსიკა,

ამისათვის სპეციალურ სამხატვრო განყოფილებას მიმართეთ.

— არა მგონია, ამ დარგში რაიმე ნიჭი გამაჩნდეს.

— მაშინ სხვა რაიმე აირჩიეთ: სპორტი, თუ გნებავთ, ჩოგბურთის მშვენიერი კორტები გვაქვს. გარწმუნებთ, ორი კვირაც არ გაივლის, რომ უკვე რაღაც გექნებათ არჩეული. ახალ ჩამოსულებს ასე ემართებათ, განსაკუთრებით მეუღლეებს. თქვენი ქმარი მეცნიერებაშია ჩაფლული და თქვენ ამიტომ სხვა ქალებს დაუახლოვდით. ისინი შორს არიან მეცნიერებისაგან. გამიგეთ?

— ერთი ეს მითხარით, ჩვენ სულ აქ უნდა ვიყოთ?

— როგორ თუ აქ? მისის ბეტერტონ, მაპატიეთ, მაგრამ ვერ გაგიგეთ.

— მე გეკითხებით, აქ უნდა დავრჩეთ თუ სხვაგან წავალთ სადმე? — ჩააცივდა ჰილარი.

დოქტორ ნელსონს თითქოს სხვაგან გაექცა ფიქრი.

— აჰა! — გამოეპასუხა ბოლოს. — ეს თქვენს ქმარზეა დამოკიდებული. დიახ, დიახ, სწორედ მასზეა დამოკიდებული. საერთოდ სხვადასხვანაირი შესაძლებლობაა, მე ვიტყოდი, მაგრამ ჯერჯერობით უკეთესია საქმეს დაწვრილებით ნუ შევეხებით.

— ესე იგი, აქედან გასვლა შეიძლება?

— გასვლა?

— მე რკინის მაღალი კედლის იქით, ჭიშკრის გარეთ გასვლას ვგულისხმობ.

— ეს სავსებით ბუნებრივი შეკითხვაა, — თქვა მან და ჩაფიქრდა. მისი მხიარული განწყობილება ერთი ხელის მოსმით გაქრა. — იცით რა, ჩვენი ორგანიზაციის არსებობის ერთ-ერთი პირობაა მისი იზოლაცია. ის, რაც ალაყაფს შიგნითაა, ჩვენ სამყაროს შეადგენს, გარეთ მხოლოდ უდაბნოა და მეტი არაფერი. ჯერჯერობით, მე არ გსაყვედურობთ, მისის ბეტერტონ, ჩამოსულების უმრავლესობას ასეთივე განცდა აქვს. ეს კლაუსტროფობიას ჰგავს — ჩაკეტილი სივრცის შიშს. ყოველ შემთხვევაში, ასე ხსნის დოქტორი რაბეკი. მაგრამ, გარწმუნებთ, ყველაფერი გაივლის. ეს გრძნობა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, თქვენს მიერ დატოვებული სამყაროს მემკვიდრეობაა. მისის ბეტერტონ, ერთი ეს მითხარით, ოდესმე ჭიანჭველების სადგომს დაკვირვებიხართ? ძალზე საინტერესო სანახავია და, მე ვიტყოდი, ჭკუის სასწავლებელიც. ათასობით შავი ფერის მწერი სხვადასხვა მიმართულებით მიიჩქარის. ისინი ჩაფლულნი არიან თავიანთ საქმეში და ამას ძალზე დაჟინებით აკეთებენ — მათ გარკვეული მიზანი ამოძრავებთ, მაგრამ საერთოდ ყოველივე ეს დიდ უწესრიგობას ქმნის. აი, ეს გახლავთ მოდელი იმ ძველი, საზიზღარი სამყაროსი, რომელიც თქვენ მიატოვეთ. აქ კი დარწმუნდებით, რომ ჩვენთან თავისუფალი დრო და გარკვეული მიზანია. გეუბნებით, ეს არის სამოთხე დედამიწაზე, — გაიღიმა მან.

მეთორმეტე თავი

ჰილარი ბეტერტონის ბინაში დაბრუნდა; ახლა ეს მისი ბინაც იყო. მის მიერ არჩეული ნივთები უკვე მოეტანათ და საწოლ ოთახში დაეწყოთ.

ჰილარისათვის ფანტასტიკური კოშმარი გრძელდებოდა. რა უნდა აქ? როგორ უნდა იყოს უცნობ მამაკაცთან ერთ ჭერქვეშ? გაურკვევლობისა და შიშის გრძნობა

არ შორდებოდა ჰილარის.

— იცი, რა, — მიუბრუნდა მას ბეტერტონი. — ჩვენ ხელახლა უნდა შევეჩვიოთ ერთმანეთს. მოდი, ისე მოვიქცეთ, თითქოს ჩვენს სახლში ვიყოთ.

ეს ჭკვიანური წინადადება იყო და ჰილარიმ უმალ გაიზიარა.

ამ ამბების არარეალურობის შეგრძნება ერთხანს კიდევ გამყვება, — ფიქრობდა ჰილარი. ახლა არ იყო იმის დრო, რომ გაერკვია, რატომ დატოვა ბეტერტონმა ინგლისი, რა იმედები ჰქონდა და როგორ გაუცრუვდა ისინი. ახლა ორივე საკუთარ როლს თამაშობდა და ორივეს საფრთხე ემუქრებოდა.

— იცი, ათასნაირი ფორმალობის შესრულება მომიხდა — სამედიცინო შემოწმება და კიდევ რა არა. — ჰილარი ამ წუთში ბუნებრიობის განსახიერება იყო.

— ჰო, აქ ჩვეულებრივ ასეთი წესია. მე ვფიქრობ, ეს აუცილებელია, — გამოეპასუხა თომასი.

— შენც გაიარე ეს ყველაფერი?

— ჰო, მეტნაკლებად, — გაურკვევლად მიუგო მამაკაცმა.

— მერე მიმიყვანეს იმასთან... ისა... რა ჰქვია... ჰო, დირექტორის მოადგილესთან.

— ჰოო, ის ძალიან ნიჭიერი კაცია ბრწყინვალე ორგანიზატორი. მას წმინდა ადმინისტრაციული ფუნქციები აკისრია.

— მაგაზე უფროსი კიდევ არის ვინმე?

— მაშ! თვითონ დირექტორი!

— მე ვნახავ მას?

— ნახავ, როცა იქნება. ის აქ იშვიათად მოდის. დროდადრო სიტყვით გამოდის არაჩვეულებრივი პიროვნებაა.

ბეტერტონი აღფრთოვანებული ლაპარაკობდა, მაგრამ სახეზე ნაღვლიანი გამომეტყველება ჰქონდა, ამიტომ ჰილარიმ გადაწყვიტა, თემა შეეცვალა.

თომასმა ცოტა ხნის შემდეგ საათს დახედა.

— აქ ოც საათზე ვსადილობთ. თუ მზადა ხარ დაბლა ჩავიდეთ, — მამაკაცი ისე ლაპარაკობდა, თითქოს სასტუმროში იყვნენ.

ჰილარიმ ახალი კაბა გადაიცვა. მისი მონაცრისფრო-მომწვანო ფერი მშვენივრად

ეხამებოდა მის ოქროსფერ თმას. ქალის ტუალეტს ავსებდა მძივი. ისინი კიბეზე დაეშვნენ, მერე რომელიღაც დერეფნები გაიარეს და ბოლოს დიდ სასადილო ოთახში აღმოჩნდნენ.

მათ მის ჯენსონი შეეგება.

— თქვენთვის, ბატონო, დიდი მაგიდა შევუკვეთე, — მიმართა მან ბეტერტონს. — თქვენთან ერთად ისადილებენ ქალბატონის თანამგზავრები და, რა თქმა უნდა, ცოლ-ქმარი მერჩისონები.

ისინი გაემართნენ ნაჩვენებ მაგიდისაკენ. იქ უკვე ისხდნენ ენდრიუ პიტერსი და ერიქსონი, რომლებიც ჰილარის და ტომასს ფეხზე წამოდგომით მიეგებნენ. ჰილარის ისღა დარჩენოდა, რომ „ქმარი“ წარედგინა მათთვის. მალე მათ ერთი

წყვილიც შემოუერთდა. თომასმა სუფრის წევრებს გააცნო დოქტორი მერჩისონი და მისი მეუღლე.

— მე და სიმონი ერთ ლაბორატორიაში ვმუშაობთ, — განაცხადა ბეტერტონმა.

სიმონ მერჩისონი ოცდახუთი წლის გამხდარი, ანემიური შესახედაობის მამაკაცი იყო. ცოლი იტალიელი ჰყავდა, სახელად ბიანკა.

— თუ გნებავთ, ხვალ გიდობას გაგიწევთ, — უთხრა ბიანკამ ჰილარის. — იმედია სწავლულთა რიცხვს არ ეკუთვნით.

— ნამდვილად არა, — გაუღიმა ჰილარიმ. — სწავლულისათვის საკმარისი ცოდნა არა მაქვს. გათხოვებამდე მდივნად ვმუშაობდი.

— ბიანკა ეკონომიკასა და საგაჭრო სამართალს სწავლობდა. ზოგჯერ ლექციებს კითხულობს ამ საკითხებზე. მაგრამ მაინც ბევრი თავისუფალი დრო რჩება, — განაცხადა დოქტორ მერჩისონმა.

ბიანკამ ჭირვეულად შეარხია მხრები.

— ბოლოს და ბოლოს აქ იმიტომ ჩამოვედი, სიმონ, რომ შენს გვერდით ვიყო. ჩემი აზრით აქ ზოგი რამ უკეთ უნდა იყოს ორგანიზებული. ეგებ ამაში მისის ბეტერტონი დამეხმაროს, რადგან სამეცნიერო მუშაობით არ იქნება დაკავებული?

ჰილარი უმალვე დაეთანხმა.

— ჩვენთან კვლევისათვის მშვენიერი პირობებია, — მიუბრუნდა სიმონი პიტერსს. —

არავინ ხელს არ გვიშლის და, რაც მთავარია, უახლესი დანადგარები გვაქვს.

— თქვენ რაზე მუშაობთ? — დაინტერესდა პიტერსი.

გაიბა მეცნიერული ტერმინოლოგიით დამძიმებული საუბარი, ჰილარის ყურადღება გადაეღალა. ის ერიქსონს მიუბრუნდა, რომელიც ჩუმად იჯდა და გამოცრიატებული თვალებით სადღაც იყურებოდა.

— რაზე ჩაფიქრებულხართ? სახლი ხომ არ მოგენატრათ? ერიქსონი გამოფხიზლდა და ჰილარის გაოცებით შეხედა.

— მე სახლი არ მჭირდება, — ნელა და დამარცვლით წარმოთქვა მან. — სახლი, მშობლები, შვილები — სისულელეა, ხელის შემლაა და მეტი არაფერი. ნაყოფიერი მუშაობისთვის ადამიანი აბსოლუტურად თავისუფალი უნდა იყოს.

— თქვენი აზრით აქ თავისუფალი იქნებით?

— ამის თქმა ჯერ ნაადრევია, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ.

— ნასადილევს, — ჰილარის ბიანკას ხმა მოესმა. — ჩვენ შეგვიძლია რაღაცით გავერთოთ, არჩევანის დიდი საშუალება გვაქვს: ბრიჯისათვის სპეციალური ოთახებია, კინოთეატრია, კვირაში სამჯერ თეატრალური წარმოდგენებია, ხოლო ცეკვები — თითქმის ყოველდღე.

ერიქსონმა უკმაყოფილოდ შეჭმუხნა წარბები.

— ყველაფერი ეს სრულიად ზედმეტია. გართობა იმათი საქმეა, ვისაც აზროვნების თავი არა აქვთ.

— ეს ქალებს არ შეეხება. ჩვენ გართობა ჰაერივით გვჭირდება, — განაცხადა ბიანკამ.

ერიქსონს პასუხი არ გაუცია, მაგრამ მის მზერაში ბიანკასადმი აშკარა არაკეთილგანწყობა იხატებოდა.

— არა მგონია, რომ დღეს კინოფილმს ვუყურო, ან ბრიჯის თამაში შევძლო, —

გაიღიმა ჰილარიმ. — ადრე მინდა დავწვე.

— ჰოო, რა თქმა უნდა, გენაცვალე, — მაშინვე მიაგება თომასმა, — შენთვის დასვენება აუცილებელია.

სასადილოდან გამოსვლისას თომასმა ჰილარის უთხრა:

— საღამოობით აქ კარგი ჰაერია. ნასადილევს ბანზე ვსეირნობთ ხოლმე, იქ ბაღი გვაქვს, თუ გინდა, ახლავე წავიდეთ.

ისინი ლიფტში ჩასხდნენ. ლიფტს შესანიშნავი გარეგნობის მუქკანიანი ქალიშვილი ემსახურებოდა.

ჰილარი გააოცა ბანზე გაშენებული ბაღის არაჩვეულებრივმა სილამაზემ, რომლის მოწყობაზეც, ეტყობოდა უამრავი ფული დაეხარჯათ. თავი „ათას ერთი“ ღამის ჯადოსნურ ზღაპარში გეგონებოდათ: ისმოდა წყლის დგაფუნი, აქვე იყო პალმებისა და ბანანების მაღალი ხეები, ნაირნაირი ტროპიკული მცენარეები; ბილიკებზე, რომლის გასწვრივაც სპარსული ყვავილები ყვაოდა, ფერადი აგურის ფხვნილი მოეყარათ.

— რა ზღაპრული სანახაობაა! — წამოიძახა შთაბეჭდილებით გაბრუებულმა ჰილარიმ. — მერედა სად? შიგ შუაგულ უდაბნოში!

მათ მერჩისონებმა ჩაუარეს. ბეტერტონმა ნაზად მოჰკიდა ჰილარის ხელი და მოაჯირთან მიიყვანა. ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ. უდაბნოს ჰაერი გრილი იყო, რაღაცნაირი მაცოცხლებელი და გამამხნევებელი ძალა ჰქონდა.

ისინი სრულიად მარტონი იყვნენ.

ჰილარი ჩამოჯდა, ბეტერტონი მის წინ დადგა.

— ახლა... — დაიწყო მან ყრუ ხმით, რომელშიც ნერვიული დაძაბულობა იგრძნობოდა. — ეშმაკმა დალახვროს, გამაგებინეთ, ვინა ხართ?

ჰილარი რამდენიმე წამს ჩუმად მისჩერებოდა. ვიდრე კითხვაზე პასუხს გასცემდა, ზოგი რამის გაგება თვითონაც აინტერესებდა.

— თქვენ თვითონ რატომ შემხვდით ნამდვილი ქმარივით? — ჰკითხა მან.

ისინი უსიტყვოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს. პირველად პასუხის გაცემას ორივე გაურბოდა. ეს ორი ადამიანის ორთა ბრძოლას უფრო წააგავდა. როგორც ჩანდა ჰილარი უფრო ძლიერი აღმოჩნდა. პირველად თომასი ალაპარაკდა.

— ეს იყო... ეს იმპულსი იყო. ალბათ ნამდვილი ჩერჩეტი ვარ. უცებ წარმოვიდგინე რომ ჩემს დასახსნელად გამოგაგზავნეს...

— ესე იგი, თქვენ აქედან თავის დაღწევა გინდათ?

— ღმერთო ჩემო, ამას კიდევ კითხვა უნდა?

— პარიზიდან აქ როგორ მოხვდით? თომასმა უგულოდ ჩაიცინა.

— მოტაცებით არავის მოვუტაცებივარ, არავითარი ამის მსგავსი. ენთუზიაზმითა და მუშაობის სურვილით აღსავსე, ჩემი ნებით წამოვედი.

— მერე, იცოდით საღ მოდიოდით?

— მე სხვანაირად მეუბნებოდნენ. რას ვიფიქრებდი, თუ აფრიკაში ამოვყოფდი თავს. ჩვეულებრივი საგყუარა მომიგდეს: მშვიდობა დედამიწაზე, საიდუმლო მეცნიერული ინფორმაციის თავისუფალი განაწილება მსოფლიოს საუკეთესო სწავლულთა შორის, კაპიტალისტებისა და იმის გამჩაღებლების განადგურება — აი, ნაცნობი ფრაზები. თქვენთან ერთად წამოსული ყმაწვილი კაციც — პიტერსიც ამ ანკესზეა წამოგებული.

— მერე? ეს ყველაფერი სიცრუე გამოდგა?

— თვითონვე დარწმუნდებით. — მწარედ გაეცინა თომასს. — ჩემი მოლოდინი არ გამართლდა. მთავარი, რაც მინდოდა, — თავისუფლება ვერ მივიღე!

თომასი გვერდით მიუჯდა ქალს:

— იცით, შინ რა მტანჯავდა? იმის შეგრძნება, რომ გამუდმებით მითვალთვალებდნენ. ყველაფერში შეზღუდული ვიყავი: მოქმედებაში, მეგობრების არჩევაში. მეცნიერის უსაფრთხოებისათვის ასეთი ზომების მიღება საჭიროა, მაგრამ ადამიანს ეს ძალიან მძიმედ აწვება... და როცა ამ დროს ერთი შეხედვით საინტერესოს შემოგთავაზებენ, როცა გგონია,

რომ გამუდმებული ზვერვისაგან თავს დაიხსნი, მაშინ... მაგრამ აი, რა გამოვიდა, როგორ დასრულდა ყველაფერი.

— გამოდის, რომ ისეთსავე პირობებში ჩავარდით, რომლიდანაც გამოიქეცით! აქაც გითვალთვალებენ, ჯაშუშობენ, როგორც იქ, არა? — ჰილარი ნელა გამოთქვამდა სიტყვებს და თომასის სახეს უკვირდებოდა.

თომასმა ნერვიულად გადაიწია შუბლიდან თმა.

— დანამდვილებით არ ვიცი, შეიძლება ეს ჩემი ფანტაზიაა. არ ვიცი, მითვალთვალებენ თუ არა. კაცმა რომ თქვას, რაში სჭირდებათ ეს? ფაქტიურად ციხეში ვარ?

— მაინც რატომ დაგებადათ ასეთი აზრი?

— რა ვიცი, უცნაურია. სამუშაო პირობები აქ შესანიშნავია. ყველანაირი აპარატურა აქვთ. შეგიძლია დღეები გადააბა და ისე იმუშაო. შეგიძლია, ლაბორატორიაში სულაც არ შეხვიდე. აქ ყველაფერია: კვება, ტანისამოსი, გართობა, მაგრამ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს პატიმარი ვიყო.

— მესმის თქვენი. არასოდეს დამავიწყდება ის საშინელი განცდა, როდესაც ჩვენს უკან რკინის ვეებერთელა ჭიშკარი მოიხურა — და ჰილარის გააჟრჟოლა.

— კარგით. — ეტყობა ბეტერტონი ცდილობდა მორეოდა თავს. — მე გიპასუხეთ კითხვებზე. რად მოხვდით აქ ოლივიას სახელით?

— ოლივია... — ჰილარი გაჩუმდა, შესაფერის სიტყვებს არჩევდა...

— რა მოუვიდა ოლივიას? რა მოხდა? მითხარით!

ჰილარიმ სიბრალულით შეხედა თომასის აღელვებულ და ნერვიულ სახეს.

— თქმას ვერ ვბედავ...

— რამე დაემართა?

— ძალიან ვწუხვარ, ძალიან, მაგრამ თქვენი მეუღლე... გარდაიცვალა. თქვენსკენ მოისწრაფვოდა, მაგრამ თვითმფრინავი აფეთქდა. ის მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს

საავადმყოფოში და ორი დღის მერე გარდაიცვალა.

თომასი სადღაც განზე იყურებოდა. სახე თითქოს გაუქვავდა.

— მაშ, ოლივია მოკვდა?

მძიმე სიჩუმე ჩამოწვა. ბოლოს ბეტერტონი ჰილარის მიუბრუნდა.

— განაგრძეთ, თქვენ დაიკავეთ მისი ადგილი და ჩემთან წამოხვედით. რატომ?

ჰილარის ამის პასუხი დიდი ხანია მზად ჰქონდა. მაგრამ გარემოება ერთგვარად შეიცვალა. ბეტერტონს ეგონა, ეს ქალი იმისათვის გამოგზავნეს, რომ აქედან

„გამოეხსნათ“ იგი. ამას ხომ ანგარიშის გაწევა უნდოდა. აშკარა იყო, ამ ადამიანს ნერვები დაწყვეტაზე ჰქონდა და შეიძლება ყოველ წუთას ეღალატა მისთვის. ახლა მასთან გულახდილი საუბარი დიდი სისულელე იქნებოდა.

— თქვენი ცოლი სულს რომ ლევდა, მეც იმ საავადმყოფოში ვიწექი. მას ძალიან უნდოდა რაღაცის გადმოცემა თქვენთვის. შევპირდი, რომ მის მაგივრად გამოვემგზავრებოდი და შეგხვდებოდით.

თომასი მოიღუშა.

— რასაკვირველია... — ჰილარი კვლავ სწრაფად ალაპარაკდა, რომ ბეტერტონი ამ არგუმენტის სისუსტეში არ გარკვეულიყო. — არც ისე დაუჯერებელია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მე ძალიან ვუთანაგრძნობ ამ იდეებს. თქვენ ისე კარგად ლაპარაკობდით: მეცნიერული საიდუმლოების გადაცემა ერთი ქვეყნიდან მეორისათვის, ახალი საყოველთაო წესრიგი — ეს მეც ძალიან მიტაცებს. მერე კიდევ... ჩემი თმა. რადგან აქ ელოდებოდნენ ოლივიასთანა თმიან ქალს, ჩემივე ასაკის, გადავწყვიტე, თქვენამდე რამენაირად მომეღწია. მაგრამ იმას რას წარმოვიდგენდი, თუ ასე გავებმეოდი.

— დიახ, სწორედ ოლივიასთანა თმები გაქვთ, — თომასს თვალი ქალის თმისკენ გაექცა.

— თქვენმა ცოლმა დაჟინებით გთხოვათ, რომ...

— რომ რაო? რა გადმოგცათ?

— რომ ფრთხილად ყოფილიყავით... ძალიან ფრთხილად... საშიშროება მოგველით. ბორისისაგან.

— ბორისისაგან? ბორის გლიდერისაგან?

— დიახ. თქვენ იცნობთ მას? თომასმა თავი გააქნია.

— არასოდეს არ შევხვედრილვარ. მარტო გვარით ვიცნობ. ჩემი პირველი ცოლის ნათესავია... მხოლოდ გამიგონია.

— რად არის საშიში?

— რაო?

თომასს აზრი სადღაც გაექცა. ჰილარიმ კითხვა გაუმეორა.

— ჰო! მართალი გითხრათ, არ ვიცი, რითი შეიძლება ჩემთვის საშიში იყოს. საერთოდ ამბობენ, საშიში კაციაო... ის იდეალისტების ისეთ ტიპს ეკუთვნის რომელთაც შეუძლიათ კაცობრიობის ნახევარი გაწყვიტონ, თუ ამას მოითხოვს საჭიროება, რომლის მიზნებიც მხოლოდ მათ იციან.

— ვხვდები, როგორ ადამიანებზე ლაპარაკობთ.

— ოლივიამ თვითონ ნახა ის? მერე, რა უთხრა?

— ამის მეტი არაფერი ვიცი. მხოლოდ ეს უნდა გადმომეცა. ჰო, კიდევ აი, რა მითხრა: „ამას მე ვერ დავიჯერებ“

— რას ვერ დავიჯერებო?

— არ ვიცი, — ჰილარი ერთ წუთს შეყოყმანდა და მერე დაუმატა: — ის სულს ლევდა.

— გასაგებია, გასაგები... დრო გაივლის და ალბათ შევეგუები ამ ამბავს, — სულიერმა ტკივილმა სახე დაუმანჭა თომასს. — ვერაფრით ვერ შემიგნია... მაგრამ ბორისს რაღა უნდა? რა საშიშროება უნდა მომელოდეს, როცა მე აქა ვარ, ის კი ლონდონშია? მე მგონი, მან ოლივია ნახა ლონდონში.

— დიახ.

— დასწყევლოს ღმერთმა, ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს ეს? ცხოვრობ ამ ოხერ ორგანიზაციაში, რობოტებით გარშემორტყმული და...

— ჰო, მეც სწორედ ასეთებად მეჩვენებიან ყველანი...

— აქედან გაღწევა შეუძლებელია, — მან მუშტები შეკრა. — შეუძლებელი!

— არა, შესაძლებელია!

ბეტერტონმა გაოცებით შეხედა ქალს.

— დალახვროს ეშმაკმა, რას ამბობთ?

— ამ მდგომარეობიდან გამოსავალი უნდა ვიპოვოთ, — მშვიდად და დამაჯერებლად თქვა ჰილარიმ.

— ჩემო ძვირფასო გოგონავ, — მოსმა ჰილარის თომასის დამცინავი ხმა. — იოტისოდენა წარმოდგენაც კი არა გაქვთ, რანაირი ძალის წინააღმდეგ მოგიხდებათ ბრძოლა.

— ომის დროს ხალხი ამაზე უფრო საშინელი ადგილიდან ახერხებდა გაქცევას. — ჰილარის ხმაში შეუპოვრობა ისმოდა. ის სულაც არ აპირებდა სასოწარკვეთაში ჩავარდნას. — ვთქვათ, მიწის ქვეშა გვირაბით, ან რაიმე სხვათი.

— ციცაბო კლდეში რანაირად გინდათ გვირაბის გათხრა? მერე, სად? ირგვლივ უდაბნოა. იმ წუთში დაგიჭერენ.

— მაშინ სხვა რამე უნდა გამოიძებნოს.

— რა არაჩვეულებრივი ქალი ხართ! საკუთარი ძალების რა რწმენა გაქვთ!

— გამოსავალს ყოველთვის ნახავს კაცი, მაგრამ ალბათ ამას დიდი დრო დასჭირდება.

ბეტერტონს ისევ დაუნაღვლიანდა სახე.

— დრო, — თქვა მან უცნაური ხმით. — ეს არის სწორედ ის, რაც არ გამაჩნია.

— რატომ? — გაუკვირდა ჰილარის.

— არ ვიცი, როგორ აგიხსნათ. არც მუშაობა შემიძლია, არც ფიქრი. ჩემი სამუშაო არაჩვეულებრივი გულისყურს მოითხოვს. ეს შემოქმედებითი პროცესია. მე კი თითქოს სტიმული დავკარგე. რასაც ვაკეთებ, რიგითი ინჟინერიც გააკეთებს. ჩემგან ამას კი არ მოელიან. მათ მეცნიერული აღმოჩენები უნდათ, მე არაფრის თავი აღარა მაქვს. რაც უფრო მეტს ვნერვიულობ, მით უფრო ნაკლებ ნაყოფიერი ვარ. გამიგეთ?

ახლა მართლა გასაგები იყო. ჰილარიმ გაიხსენა რაბეკთან პრიმადონებსა და მეცნიერებზე საუბარი.

— იცით, რა მოხდება, საჭიროებისამებრ რომ არ ვიმუშაო? გამანადგურებენ!

— არა, ეს შეუძლებელია!

— გამანადგურებენ! აქ სენტიმენტალობისათვის არა სცალიათ. პლასტიკურმა ოპერაციამ დროებით შემასვენა. ამ პერიოდში შედეგიანად მუშაობა არ შეიძლებოდა. მაგრამ ახლა? ახლა ამას ბოლო მოეღო.

— საერთოდ რად გაიკეთეთ ოპერაცია?

— ოპერაცია? საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ჩემს პირად უსაფრთხოებას ვგულისხმობ. ეს იმ შემთხვევაშია საჭირო, როდესაც კაცს პოლიცია სდევს.

— მაშ, თქვენ პოლიცია გეძებთ?

— არ იცით? რა თქმა უნდა, ამაზე გაზეთებში არ წერდნენ, შესაძლოა არც ოლივიამ იცოდა. დიახ, მე მეძებენ.

— განა ასეთი რა ჩაიდინეთ? ატომის საიდუმლოება გაყიდეთ? ბეტერტონმა განზე გაიხედა.

— მე არაფერი გამიყიდია. უბრალოდ, ზოგი რამ დამცდა ალალად. ეს, ასე ვთქვათ, ორგანიზაციის ერთ-ერთი პირობაა — სამეცნიერო ცოდნის ერთად თავმოყრა. მითხარით, თქვენ მაინც გესმით ჩემი?

ჰილარიმ გაიგო, ენდი პიტერსიც ამას ამბობდა. მას გაახსენდა ანთებულ თვალებიანი ერიქსონი, რომელმაც გულწრფელი ენთუზიაზმით გაყიდა საკუთარი სამშობლო და ჰილარის გული დაწყდა, როცა გაიგო, რომ ბეტერტონიც ასე მოქცეულა.

ბეტერტონმა ნერვიულად მიმოიხედა და ჰილარის მიმართა:

— ყველა წავიდა, ხომ არ სჯობდა... ჰილარი წამოდგა.

— წავიდეთ. ისე კი, არავის გაუკვირდება. სრულიად ბუნებრივია, დიდი ხნის უნახავები ვიყავით და დავყოვნდით. ყველა ასე იფიქრებს.

— იცით რა! — თომასი უხერხულად გრძნობდა თავს. — ჩვენ უნდა განვაგრძოთ ცოლ-ქმრად ყოფნა.

— რასაკვირველია, სხვაგვარად არც შეიძლება.

— ჩვენ ხომ ერთი ბინა გვაქვს, ერთი საწოლი ოთახი... მაგრამ მე მინდა დაგამშვიდოთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. თქვენ ერთი წუთით არ შეწუხდეთ. მე არ...

„რა ლამაზია, — გაიფიქრა ჰილარიმ, — მაგრამ ჩემს გულს არ ეკარება“.

— მე მგონი, ყველაფერი მოგვარდება, — იმედიანად უთხრა ჰილარიმ, — მთავარია, ცოცხლები გავიდეთ აქედან.

მეცამეტე თავი

მარაკეშში, სასტუმრო „მამაუნიას“ ერთ-ერთ ნომერში, ჯესეპი მის გეზერინგტონს ესაუბრებოდა. ახლა ის საკმაოდ განსხვავდებოდა იმ გეზერინგტონისაგან, რომელიც კასაბლანკაში და ფეცაში ჰილარისთან ერთად ცხოვრობდა: ეს იყო ცოცხალი, ჭკვიანი ქალი. ის თავის ასაკზე უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა. მესამე იყო მკვრივი აგებულების, შავთმიანი მამაკაცი, გვარად ლებლანკი.

— ...და როგორც იცით, — განაგრძო ჯესეპმა, — ისინი ერთადერთნი არიან, რომელთაც ჰილარი ფეცაში ელაპარაკა.

— მართალია, — თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია მის გეზერინგტონმა. — კელვინ ბეიკერი ის ამერიკელი ქალია, რომელსაც კასაბლანკაში შევხვდით. მართალი გითხრათ, აქამდე ვერ გავრკვეულვარ, რას წარმოადგენს ის. პირდაპირ ტყავიდან ძვრებოდა, რომ მე და „ოლივია ბეტერტონს“ დაგვახლოვებოდა. ამერიკელები ხომ ძალიან გულღია ხალხია და საუბარში ადვილად ებმებიან მგზავრობისას, სასტუმროშიც...

— მართალია, — გამოეპასუხა ჯესეპი. — აშკარაა, რომ ვისაც ვეძებთ, სწორედ ის არის.

— გარდა ამისა, — განაგრძო მის გეზერინგტონმა, — ბეიკერმა თვითონაც იმავე თვითმფრინავით იფრინა.

— მე მგონი, — თქვა ჯესეპმა, — რომ თვითმფრინავის დაღუპვა თავიდანვე იყო დაგეგმილი.

— კატასტროფის ადგილას შვიდი გვამია, — მხრები აიჩეჩა ლებლანკმა. — დანახშირებულთა ცნობა ძნელია, მაგრამ ისინი შვიდია და ამას ვერსად გავექცევით.

— ჰილარი რამდენიმე სიტყვით გამოელაპარაკა ნავთობის უდიდეს მაგნატს, არისტიდისს, — შენიშნა მის გეზერინგტონმა.

— ოჰ! — წამოიძახა ლებლანკმა. — ეს საოცრად ზღაპრული პიროვნებაა. რაც მაგას ფული აქვს, ჩემი რომ იყოს, იცით, რას ვიზამდი, მეყოლებოდა ცხენები და ქალები და მთელ ქვეყანას დავპატიჟებდი. ეგ ბებერი კიდევ ესპანეთის სასახლეში გამოკეტილა და ამბობენ, ძველი დროის ჩინური პოეზიის ნიმუშებს აგროვებსო. არ დაგავიწყდეთ, რომ სამოცდაათი წლის მაინც იქნება. თუმცა მაგის ასაკში ისღა რჩება, რომ ამნაირი საქმეებით გაერთოს კაცი.

— ჩინელების აზრით კი, — ჩაიცინა ჯესეპმა, — სწორედ სამოცი წლის შემდეგ პერიოდია ყველაზე საუკეთესო, მხოლოდ მაშინ აფასებ ნამდვილად სიცოცხლის სილამაზესა და მისგან მიღებულ სიამოვნებას... ვისთან ერთად იმგზავრა ჰილარიმ ძველ ქალაქში?

— ერთ-ერთ მუდმივ გიდთან. ალბათ სწორედ იქ დაუკავშირდა მას ვიღაც.

— ასე იყო, თუ ისე, ამ მგზავრობის შემდეგ მან უეცრად გადაწყვიტა მარაკეშში წასვლა. — ჯესეპი წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. — ესე იგი ის გაემგზავრა მარაკეშში და თვითმფრინავი დაიმსხვრა. ნამდვილი უბედური შემთხვევა იყო, თუ წინასწარ განზრახული ბოროტება? თუ ვინმეს ოლივია ბეტერტონის თავიდან მოცილება უნდოდა, ამისთვის ის უფრო იოლ გზას აირჩევდა!

— ვინ იცის, — შეეპასუხა ლებლანკი, — ზოგჯერ თვითმფრინავში ასაფეთქებლის შეტანა უფრო ადვილია, ვიდრე ღამით ბნელ კუთხეში დანის ტაკება. რაც შეეხება იმ ექვს კაცს, მათი სიკვდილი არავის შეაწუხებდა.

— თქვენ, ორივენი, მართალია, სხვაგვარად ფიქრობთ, — თქვა ჯესეპმა, — მაგრამ მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ თვითმფრინავის დაღუპვის სცენა გაითამაშეს.

ლებლანკმა თავი ასწია და ცნობისმოყვარეობით შეხედა ჯესეპს.

— შეიძლება თვითმფრინავი დაჯდა და მერე დაწვეს. მაგრამ იმ ფაქტს სად გაექცევით, რომ დამწვარი გვამები არსებობს? — უთხრა მან.

— ეგ მართალია. აი, სწორედ მანდ მარხია ძაღლის თავი. შეიძლება ჩემი მოსაზრება ერთგვარად ფანტასტიკურიც იყოს, მაგრამ თუ თქვენს ვერსიას ვირწმუნებთ, საქმე უნდა შეწყდეს. ეს კი მაშინ მოხერხდება, თუ სამხილი აღარ გვექნება. მითხარით, შემთხვევის რაიონში ის ადგილი თუ მოიკვლიეთ?

— ორი დღის მანძილზე იქ სანდო ხალხი მუშაობდა. თვითმფრინავის აფეთქების ადგილი დასახლებული პუნქტებიდან დაშორებულია. თვითმფრინავი აშკარა კურსის გადახვევით მიფრინავდა.

— ეს ძალიან საგულისხმო მომენტია, — ჩაურთო ჯესეპმა.

— გარდა ამისა, — განაგრძო ლებლანკმა, საკმაოდ გულდასმით დაათვალიერეს ახლო მდებარე სოფლები. ამ რაიონებში პროჟექტორების კვალიც შესწავლილია. საფრანგეთმა, ისევე როგორც თქვენმა ქვეყანამ, საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერები დაკარგა. მაგრამ ტემპერამენტიან ოპერეტის მსახიობ ქალზე უფრო ადვილია თვალყურის დევნება, ვიდრე მეცნიერზე. ნიჭიერი ახალგაზრდობა დაუდეგარია, უდისციპლინო და ამიტომ საოცრად მიმნდობიც. ასე ჰგონიათ, რომ საკმარისია მათი პირადი პატიოსნება და სამართლისაკენ სწრაფვა, რომ ეს არის, ოქროს საუკუნე დადგება. საცოდავი ბავშვები! როგორი იმედგაცრუება ელოდებათ მათ!

— მოდით, ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი მგზავრების სიას, — წამოაყენა წინადადება ჯესეპმა.

ფრანგმა მორჩილად ამოიღო ქაღალდის ფურცელი და ორივე ზედ დაიხარა. მისის კელვინ ბეიკერი, ამერიკელი...

მისის ბეტერტონი, ინგლისელი...

ტორკვილ ერიქსონი, ნორვეგიელი...

— ეს გვარი ძალიან მეცნობა, — ფიქრიანად თქვა ჯესეპმა, — მგონი... ჰო, ნამდვილად დარწმუნებული ვარ, რომ ის სამეფო საზოგადოებაში მოხსენებით გამოვიდა.

— მათთან ერთად მგზავრობდა კულტის მსახური, — განაცხადა ლებლანკმა. — ეს იყო და მარია. თუმცა შესაძლოა ეს თვალის ახვევა იყო. შემდეგი ენდრიუ პიტერსი გახლავთ, ესეც ამერიკელია, ქიმიკოსი და ბოლოს დოქტორი ბარონი, ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ სახელგანთქმული, საოცრად ნიჭიერი მეცნიერი, ვირუსოლოგი.

— ომი ბაქტერიოლოგიური საშუალებებით! — ჯესეპმა წარბები შეიჭმუხნა, — აი, რას ნიშნავს ეს... დიახ, მათ მშვენივრად იციან, ვინ სჭირდებათ და მე დარწმუნებული ვარ, რომ არავითარი კატასტროფა არ მომხდარა.

ტელეფონის ზარი აწკრიალდა, ყურმილი ლებლანკმა აიღო.

— ალო! რაო? სასწრაფოდ გამოგზავნეთ! — დაიყვირა მან ყურმილში და უეცრად სახე გამოუცოცხლდა. — ჩემთან მომუშავე ერთ-ერთმა ახალგაზრდამ მაცნობა, რაღაც ვიპოვეთო. ოჰ, ჩემო ძვირფასო კოლეგა, თქვენს ოპტიმიზმს მგონი რაღაც საფუძველი უჩნდება!

მალე ნომერში ორნი შემოვიდნენ: ერთი ფრანგი იყო, მას დამტვერიანებული სამგზავრო ტანსაცმელი ეცვა. მეორე კი თეთრ, ეროვნულ სამოსიანი ბერბერი გახლდათ.

— ეს ჩვენი მეგობარია, — ფრანგმა ბერბერზე მიუთითა. — ამისმა ოჯახმა და მეგობრებმა გულდასმით გადაჩხრიკეს იქაურობა. მე ვთხოვე ნაპოვნი ნივთი პირადად თქვენთვის გადმოეცა.

ლებლანკი ბერბერს მიუბრუნდა.

— თქვენ ძალზე დიდი სამუშაო ჩაატარეთ, — უთხრა მან ადგილობრივ კილოკავზე. — გეტყობათ, ძიაკაცო, ქორივით თვალები გაქვთ. აბა, გვიჩვენეთ, თუ შეიძლება, რა იპოვეთ.

მოხუცმა ტანსაცმლის ნაოჭებიდან რაღაც ამოიღო, ნაბიჯი გადადგა და ლებლანკს საკმაოდ მსხვილი მონაცრისფრო-მოვარდისფრო მარგალიტი დაუდო წინ.

— ზუსტად ისეთია, როგორიც ჩვენ გვიჩვენეს.

ჯესეპმა ხელი გაიწოდა და მარგალიტი გამოართვა. მერე კოლოფიდან მეორე ცალი ამოიღო და ერთმანეთს შეადარა. სინათლესთან ახლოს მივიდა და დიდი ლუპით დააკვირდა.

— ზუსტად ისეთია! — წამოიძახა მან. — ნიშანი ამაზეც არის. თქვა გახარებულმა. —

ყოჩაღ, გოგონავ, ყოჩაღ! უყურეთ ერთი, ამის გაკეთება მაინც მოუხერხებია! ლებლანკმა კითხვები დააყარა ბერბერს.

— ეს მარგალიტი აფეთქებული თვითმფრინავის ადგილიდან ნახევარი მილის დაშორებით იპოვეს, — ლებლანკმა გადაუთარგმნა ჯესეპს.

— ეს იმას ნიშნავს, — აიტაცა ნათქვამი ჯესეპმა, — რომ ჰილარი ცოცხალია!

— როგორც შეპირებულები ვართ, ეს მოხუცი უნდა დავაჯილდოვოთ, — თქვა ლებლანკმა, როცა თანამშრომელი და ბერბერი გაუშვეს. — ახლა ამ რაიონში მთელი მოსახლეობა დაუწყებს მარგალიტებს ძებნას. ამ ხალხს საოცარი მხედველობა აქვს. ჯილდო მათთვის მშვენიერი სტიმული იქნება. მთავარია, ისინი ვერაფერს მიხვდნენ.

— არა მგონია, — უთხრა ჯესეპმა. — ნამდვილად ბუნებრივია, რომ ოლივიას მძივი მოულოდნელად გაუწყდა. ასეთნაირ ყალბ მარგალიტს ბევრი ქალი ატარებს. ოლივიამ ნაწილი შეაგროვა და კაბის ჯიბეში ჩაიწყო, ხოლო ყველანაირ კაბას შეიძლება ჯიბე გახვრეტილი ჰქონდეს.

— მაშ ასე, ჩემო კაპიტანო! — ლებლანკი საზეიმო იერით შეჰყურებდა ჯესეპს. — თქვენი მითითებით გულმოდგინედ დაათვალიერეს საპირფარეშოები. აბდულ მეჰმედის სახლთან იპოვეს კევი, რომელზეც მარგალიტი იყო მიკრული. ჩვენ აბდულა და მისი ვაჟები დავკითხეთ. მათ ჯერ იუარეს, არაფერი ვიცითო. მერე ზოგი რამ გაიხსენეს. მათი ჩვენებით გერმანელების არქეოლოგიური ექსპედიციის ექვსმა კაცმა მათ სახლში გაათია ღამე. აბდულა დაუფიცებიათ, რომ კრინტი არ დაეძრა ექსპედიციის შესახებ, რომელიც ვითომ აქ გათხრებს აწარმოებდა და გათხრების წარმოების ოფიციალური ნებართვა არ ჰქონდა. მას კი დიდი თანხმა მისცეს. შემდეგ ელ კაიფის ბავშვებმა კიდევ ორი მარგალიტი იპოვეს. ახლა უკვე ვიცით, რა მიმართულებით წავიდა მანქანა. ეს საკმაოზე მეტია, არა, მისტერ ჯესეპ? როგორც თქვენ ვარაუდობდით, აქ გამოყენებული იყო „ფატმას ხელი“ — ამ ნიშანს არაბები ხშირად მიახატავენ ხოლმე თავიანთ ფურგონებსა და ავტომანქანებს ფოსფორის მბრწყინავი საღებავებით და ამას მხოლოდ ღრმად მორწმუნე მაჰმადიანები აკეთებენ.

— ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ ჩვენ მაინც ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. თუ მოწინააღმდეგეებმა რაიმე იაზრეს, მაშინვე კვალს აგვირევენ. ფოსფორით მოხატულ სიმბოლოებიან რამდენიმე საბარგო მანქანას გაუშვებენ, — ნაღვლიანად ჩაიცინა ჯესეპმა.

— მართალია, — დაეთანხმა ლებლანკი. — სავსებით გეთანხმებით. სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

მეორე დილას ლებლანკმა ჯესეპს კიდევ სამი მარგალიტი გადასცა. ამჯერად ისინი კვითი ისე იყო შეწებებული, რომ სამკუთხედს ადგენდა.

— ეს ალბათ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მგზავრობის შემდგომი ეტაპი თვითმფრინავი იყო, — ახსნა ჯესეპმა.

— მართალი ხართ! მარგალიტები ძველ აეროდრომზე იპოვეს, ძალიან შორს და განცალკევებულ ადგილას. — ლებლანკმა მხრები აიჩეჩა. — უცნობი ქვეყნის თვითმფრინავია, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად თქვა მან, — და დანიშნულების ადგილი კვლავ უცნობია. ჩვენ ისევ ჩიხში ვართ.

მეთოთხმეტე თავი

— დაუჯერებელია! — თავისთვის ამბობდა ჰილარი. — პირდაპირ დაუჯერებელი! მე უკვე ათი დღეა აქა ვარ. ყველაზე საშინელება ის არის, რომ ადამიანი საკმაოდ ადვილად ეთვისება იმ გარემოს, რომელშიც აღმოჩნდება ხოლმე.

ჰილარის გაახსენდა, ერთხელ მუზეუმში, შუა საუკუნეების წამების იარაღები რომ ნახა. ეს იყო რკინის გალია, რომელშიც ადამიანი ვერ დაჯდებოდა, ვერც დაწვებოდა. გიდმა უამბო, რომ უკანასკნელმა პატიმარმა ამ გალიაში თვრამეტი წელი დაჰყო და როცა გაათავისუფლეს, ოცი წელი კიდევ იცხოვრა.

აქ მოხვედრილ ჰილარის პირველ წუთებში ისეთი შემაძრწუნებელი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ციხეში გამოამწყვდიეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ის ფუფუნება კი, რომელიც რეჟიმის პირობებს ნიღბავდა, კიდევ უფრო ამძიმებდა აქ ცხოვრებას. ჰილარის ყველაზე მეტად ის აშინებდა, რომ აქ გატარებული ათი დღის მერე ქვეცნობიერად, მაგრამ თანდათან ეჩვეოდა ცხოვრების ახალ პირობებს.

— ადვილი შესაძლებელია, — მშრალად შენიშნა პიტერსმა, — აქ ადამიანი გაგიჟდეს და ეს არც იქნება გასაკვირი.

ჰილარის არ ტოვებდა გრძნობა, თითქოს საშინელ სიზმარში იყო, რომ ეს სიზმარი რამდენიმე წელია გრძელდება და არასოდეს დასრულდება და ალბათ დარჩენილ სიცოცხლესაც აქ გააგარებს. ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს არის ცხოვრება და სხვა არაფერი!

ჰილარის აზრით, ასეთი სწრაფი შეგუება ძირითადად ქალების თვისება იყო. ამაშია მათი ძალა და სისუსტეც.

ჰილარი ფროილაინ ნიდჰეიმს არ ხვდებოდა, თუ სასადილოში შემთხვევით არ შეეჩეხებოდა. შეხვედრისას იგი ოდნავ დაუკრავდა თავს, მაგრამ არასოდეს არ გამოესაუბრებოდა. ეტყობოდა, თავისი მდგომარეობით სავსებით კმაყოფილი იყო. ის ისეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელნიც მთელი არსებით საქმეში არიან ჩაფლულნი. მას არ აწუხებდა არავითარი ფიქრი მსოფლიოს ხალხთა მეგობრობაზე, მშვიდობაზე, სულისა და აზრის თავისუფლებაზე. მომავალი მისთვის მარტივი და ნათელი იყო — უმაღლესი რასის ბატონობა, რომელსაც ის თავის თავს აკუთვნებდა. რაც შეეხება სხვა რასებს, თუკი გონივრულად მოიქცევიან, შეიძლება იმედი იქონიონ, რომ რჩეულნი წესიერად მოექცევიან. კარგად მომუშავე ადამიანი საჭიროა, ხოლო რაც შეეხება რწმენას, მისი შეცვლა შეიძლება, — ასე მსჯელობდა გერმანელი ქალი.

ჰილარი ზოგჯერ დოქტორ ბარონს გამოელაპარაკებოდა. ეს კაცი მთლიანად თავის სამუშაოში იყო ჩაფლული და ამიტომ სრულიად კმაყოფილი იყო იმ პირობებით, რომელშიც მოხვდა.

— ეს ციხის რეჟიმი მე სრულიად არ მაწუხებს. — ერთხელ რომელიღაც საუბრის დროს უთხრა ჰილარის და უნებურად დაბნეულად გაუღიმა. — ისე, აქაურობა მართლა ნამდვილი ციხეა, თუმცა გისოსები მოოქრულია. გულახდილად რომ გითხრათ, მისის ბეტერტონ, აქ ფულის გულისათვის ჩამოვედი.

ჰილარი მოსაუბრეს ღიმილით შეჰყურებდა, შემდეგ გაოცებულმა ჰკითხა:

— ფულს რაღა ფასი აქვს, მისტერ ბარონ, როცა აქა ხართ?

— აქ ჩემს განკარგულებაშია კვლევისათვის ძვირფასი ლაბორატორიული დანადგარები და ფულის გადახდა ჩემი ჯიბიდან აღარ მიხდება. გარდა ამისა მეცნიერებას ვემსახურები.

ჩემი სამუშაო მიყვარს, მაგრამ კაცობრიობის სამსახურისთვის კი არა. ეს სამუშაო უდიდეს ინტელექტუალურ სიამოვნებას მგვრის პირადად მე და ეს არის ჩემთვის მთავარი. რაც შეეხება ფულს,

გამომგზავრების წინ საფრანგეთმა საკმაოდ დიდი თანხა გადამიხადა, რომელიც ამჟამად ერთ-ერთ ბანკშია შენახული. როცა ყოველივე დასრულდება, იმ ფულს მივიღებ და ჩემს ნებაზე გამოვიყენებ.

— როცა ყოველივე დასრულდება? — გაოცდა ჰილარი. — მერედა, რატომ უნდა დასრულდეს?

— მოვლენებს საღად უნდა შეხედოთ, — მიუგო დოქტორმა ბარონმა. — დროს მიდის, ყველაფერი იცვლება... მუდმივი არაფერია. მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ ამ ორგანიზაციას ვიღაც შეშლილი ხელმძღვანელობს, ხოლო ზოგჯერ შეშლილიც შეიძლება ლოგიკურად აზროვნებდეს... მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, — თქვა მან და მხრები აიჩეჩა, — ყველაფერი ეს მე ხელს მაძლევს.

რაც შეეხება ტორკვილ ერიქსონს, ის მშვენივრად გრძნობდა თავს. ჰილარი იშვიათად ხედავდა მას და არ ნანობდა. ქალს ყოველთვის აკრთობდა ამ მამაკაცის რაღაც უცნაურად გამჭვირვალე თვალების სასტიკი გამოხედვა. ჰილარი დარწმუნებული იყო, რომ ერიქსონი იმ ახალგაზრდათა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც შეუძლიათ უტოპიური იდეებისათვის (ეს იდეები კი მათი აგზნებული ტვინის ნაყოფი იყო) დედამიწის მოსახლეობის სამი მეოთხედი მოსპონ.

ჰილარიმ ყველაზე ადვილად ენდი პიტერსთან გამონახა საერთო ენა. მისი აზრით, ეს იმიტომ მოხდა, რომ ენდი მხოლოდ ნიჭიერი მეცნიერი იყო და არა გენიოსი. პიტერსი ჰილარივით იტანჯებოდა და საშინლად უჭირდა ამ აგმოსფეროსთან შეგუება.

— გამოგიტყდებით, არ ვიცოდი, სად მივდიოდი. უფრო სწორად, — ამბობდა პიტერსი, — მე მეგონა, რომ ვიცოდი, მაგრამ შევცდი. იმ პარტიას, რომელსაც მე ვეკუთვნი, არაფერი აქვს საერთო ამ დაწესებულებასთან. მით უმეტეს, მოსკოვი არაფერ შუაშია. აქ ფაშისტური იდეებით ნაკარნახევი ფარსი უფროა.

— არა გგონიათ, რომ აქაურთა ლოზუნგებზე წამოეგეთ? — ჰკითხა ჰილარიმ.

— შეიძლება ასეც იყოს. ამაზე არ მიფიქრია. ხშირად სიტყვებს ისე ვისვრით, რომ აზრს

არც ვუფიქრდებით. ახლა ერთი რამ კი ნათელია ჩემთვის: აქაურობას თავი უნდა დავაღწიო.

— ეს არც ისე ადვილია, — ხმას დაუწია ჰილარიმ.

— მართალია! — პიტერსის ხმაში მტკიცე გადაწყვეტილება იგრძნობოდა. — ადვილი არ იქნება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია.

— როგორ მიხარია, ამას რომ ამბობთ! — უთხრა ჰილარიმ. — ძალიან მიხარია!

— თქვენც მოგბეზრდათ აქაურობა? — თანაგრძნობით შეხედა ენდიმ.

— ძალიან, მაგრამ ყველაზე საშინელი ეს როდია. მე სხვა რამის მეშინია.

— სხვა რამის? მაინც რისი?

— მეშინია, აქაურობას არ შევეგუო.

— გასაგებია... ზოგჯერ მგონია, რომ ხალხს აქ რაღაცას უკეთებენ.

— უკეთებენ? რას უკეთებენ?

— გულახდილად რომ გითხრათ, ნარკოტიკებს ვგულისხმობ... შესაძლოა საჭმელში ან სასმელში ურევენ. ან იქნებ ჰაერშიც ფანტავენ. მათ მორჩილი გენიოსები სჭირდებათ. ჩემი აზრით, აქაური ორგანიზატორები და ადმინისტრატორები ფსიქოლოგიასა და ჰიპნოზში უაღრესად განსწავლულნი არიან და ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ, როგორი გარდაქმნა ხდება მათ სასარგებლოდ.

— მაგრამ ჩვენ არ უნდა დავმორჩილდეთ! — ცხარედ წამოიძახა ჰილარიმ. — ერთი წუთითაც არ უნდა დავუშვათ ის აზრი, თითქოს აქ კარგად ვართ.

— თქვენი ქმარი როგორ გრძნობს თავს? — უცბად ჰკითხა ენდიმ.

— არ ვიცი, ეს ისე ძნელია... მე... — ჰილარი გაჩუმდა.

მას ხომ ვერაფერს ეტყოდა ჰილარი იმ უცნაური მდგომარეობის გამო, რომელშიც რამდნეიმე დღეა იმყოფებოდა.

ვინ იყო ჰილარი სინამდვილეში? ჯაშუში, მატყუარა, სხვის სახელს ამოფარებული.

ბეტერტონისა მას არაფერი გაეგებოდა. თომასის საშინელი ბედისწერა მშვენიერი ნიმუში იყო იმისა, თუ რას მოუტანს ბრწყინვალე მეცნიერს ორგანიზაციის სულისშემხუთველ ატმოსფეროში მოხვედრა. რამდენჯერ იმეორებდა თომასი პირველ შეხვედრაზე წარმოთქმულ სიტყვებს: „ფიქრის თავი არა მაქვს, ასე მგონია, ტვინი გამიხმა“.

„რასაკვირველია, — ფიქრობდა ჰილარი, — თომასი ნამდვილი გენიოსია და თავისუფლება ყველაზე მეტად ესაჭიროება. ვერავითარი შეგონება ვერ აუნაზღაურებს მას თავისუფლების დაკარგვას. მხოლოდ სრული თავისუფლების პირობებში შეძლებს იგი ნაყოფიერ მუშაობას“.

რაც შეეხება ბეტერტონის ურთიერთობას ჰილარისთან, იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მას. ჰილარის ისე ეჩვენებოდა, რომ თომასი ოლივიას სიკვდილსაც არ შეუწუხებია სათანადოდ. ის მხოლოდ ერთი აზრით იყო შეპყრობილი — თავისუფლება სწყუროდა.

— როგორმე თავი უნდა დავიძვრინო აქედან, — ეუბნებოდა ის ჰილარის, —

აუცილებლად, მაგრამ, როგორ? რანაირად?

განა შეეძლო ჰილარის მისი აზრები პიტერსისთვის გაენდო, თუნდაც იმის თქმა რომ შესძლებოდა: „თომას ბეტერტონი სულაც არ არის ჩემი ქმარი. ამ კაცზე არაფერი ვიცი, არ ვიცი, როგორი იყო წინათ, ან ახლა რას წარმოადგენს. ამიტომ არც სიტყვით და არც საქმით მისი შველა არ შემიძლიაო“. მაგრამ ქალს ძალზე ფრთხილად უნდა შეერჩია მდგომარეობის შესაფერისი სიტყვები და ამიტომ მხოლოდ ეს უთხრა:

— იცით რა, მისტერ პიტერს, თომასი ჩემთვის სრულიად უცხო გახდა. ზოგჯერ მგონია, რომ ამ რეჟიმის პირობებმა ის ჭკუიდან შეშალა.

მეთხუთმეტე თავი

— საღამო მშვიდობისა, მისის ბეტერტონ!

— საღამო მშვიდობისა, მის ჯენსონ!

— დღეს საერთო კრებაა, — ჩურჩულით უთხრა მის ჯენსონმა. სქელშუშიანი სათვალის იქით ქალი თვალებს მოუსვენრად აცეცებდა. — თვითონ დირექტორი

გამოდის სიტყვით.

— მართლა? — გაეხარდა ჰილარის გვერდით მდგომ პიტერსს. — დიდი ხანია მინდოდა დირექტორისთვის თვალი შემევლო.

მის ჯენსონმა გამანადგურებელი მზერა ესროლა პიტერსს.

— დირექტორი, — მშრალად ჩაილაპარაკა მან, — მართლაც არაჩვეულებრივი კაცია! — და რომელიღაც დერეფნისაკენ გაეშურა. პიტერსმა მიმავალს თვალი გააყოლა და ხმადაბლა დაუსტვინა.

— დირექტორის მისამართით აქ მგონი რაღაცას მღერდნენ „ჰაილ ჰიტლერის“ მოტივზე, თუ არ მომეჩვენა.

— მართლა, წაგავდა, — ნაღვლიანად დაეთანხმა ჰილარი.

— რომ მცოდნოდა, სად მოვდიოდი! ბავშვური გატაცებით ვტოვებდი შტატებს ხალხთა მეგობრობაზე ოცნებით. რას ვიფიქრებდი, რომ „ღვთაებრივი“ დირექტორის კლანჭებში მოვექცეოდი!

— მაგრამ თქვენ ხომ არც ახლა იცით არაფერი...

— არ ვიცი, მაგრამ სუნით ვგრძნობ. ის ჰაერში ტრიალებს...

— ოჰ, პიტერს! — აღმოხდა უცებ ჰილარის. — კიდევ კარგი, რომ თქვენ ხართ აქ! — და მოსაუბრის გაოცებულმა მზერამ ქალს სიწითლე მოჰგვარა. — თქვენ ისეთი სადა და კარგი ხართ, — დაუმატა მან და შეეცადა ამ უხერხული მდგომარეობიდან გამოსულიყო, მაგრამ უფრო მეტად დაიბნა.

ამან, ცოტა არ იყოს გაამხიარულა პიტერსი.

— იცით, საიდანაც მე ჩამოვედი, — უთხრა პიტერსმა, — იქ სიტყვა „სადას“ სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ინგლისში. ის უფრო „საშუალოს“ გულისხმობს.

— მე ეგ არა მქონდა მხედველობაში, — შეწუხდა ჰილარი, — მე მინდოდა მეთქვა, რომ თქვენთან ურთიერთობა ადვილია.

— თქვენ ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანი მოგენატრათ, ხომ ასეა? გენიოსებმა თავი მოგაბეზრეს, არა?

— პიტერს, თქვენ კი, — მიმართა ქალმა, — რაც აქ ჩამოხვედით, შეიცვალეთ. ის ჭარბი სიძულვილი, ვგონებ, გაგიქრათ.

პიტერსს სახე უცებ მოეღრუბლა.

— ოჰ, რას ბრძანებთ, ამას ნურასოდეს ნუ მოელით. სიძულვილის უნარი ჯერ კიდევ მაქვს შერჩენილი. დამერწმუნეთ, არის ისეთი რამ, რომელთა სიძულვილი აუცილებელია.

„საერთო კრება“, მის ჯენსონის სიტყვებით რომ ვთქვათ, გვიან საღამოს დაიწყო, არ იყვნენ მოწვეულები მხოლოდ ლაბორანტები, რევიუსა და ბალეტის მსახიობები, სხვადასხვა მომსახურე პერსონალი და ბოლოს „მხიარული სახლის“ ლამაზმანები, რომლებიც სრულიად ლეგალურად არსებობდნენ იმ მეცნიერთა სურვილის დასაკმაყოფილებლად, რომელთაც აქ ცოლები არ ჰყავდათ.

ბეტერტონის გვერდით მჯდარი ჰილარი მოუთმენლად ელოდა მითიური დირექტორის გამოჩენას. ჰილარის შეკითხვებზე თომასი რაღაცნაირად

გაურკვევლად პასუხობდა.

— მაინცდამაინც ვერაფერი სანახავია, — უთხრა მან ერთხელ ჰილარის, — მაგრამ დამორჩილების არაჩვეულებრივი უნარი აქვს. სულ ორჯერ მყავს ნანახი. ხშირად გამოჩენა არ უყვარს. საკვირველი პიროვნებაა, ეს მაშინვე გეცემა თვალში, მაგრამ რითი არის საინტერესო, ამას ვერ გეტყვი.

მის ჯენსონი და სხვა ქალებიც დირექტორზე სუნთქვაშეკრულნი ლაპარაკობდნენ. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ჰილარიმ ის წარმოიდგინა თეთრსამოსიან, მაღალი ტანის

მამაკაცად, ღმერთის მაგვარ აბსტრაქციად.

ამიტომ, ბუნებრივია, ჰილარის უსაზღვრო გაოცება, როდესაც დამსწრენი ადგომით მიესალმნენ ტრიბუნაზე ასულ შუა ტანის ჩასკვნილ ხნიერ მამაკაცს, რომლის გარეგნობაში არაჩვეულებრივი არაფერი არ იყო. ის მიდლენდელი საქმოსანი სრულიად ჩვეულებრივი ტიპი გახლდათ.

მისი ეროვნების დადგენა ძნელი იყო. აუდიტორიას ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე მიმართავდა. ერთიდან მეორე ენაზე თავისუფლად გადადიოდა და წინა ნათქვამს არ იმეორებდა.

როდესაც ჰილარი შეეცადა გონებაში მისი ნათქვამი აღედგინა, ვერაფრით ვერ მოახერხა. ამ სიტყვებს ალბათ მაშინ ექნებოდა ძალა და აზრი, თუ ისინი ხმამაღლა იქნებოდა წარმოთქმული.

ჰილარის ერთი თავისი ნაცნობი ქალის ნაამბობი გაახსენდა. იმ ქალს ომამდე გერმანიაში უცხოვრია. ერთ-ერთ კრებაზე ის მხოლოდ იმიტომ წასულა, რომ გაცოფებული ფიურერისთვის შეეხედა. გაუგებარი გრძნობებით შეპყრობილ ქალს ისტერიული ტირილი ავარდნია. მაშინ ფიურერის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა უდიდესი მნიშვნელობის მეგონაო. შინ დაბრუნებულს უცდია მისი ნათქვამის გახსენება, მაგრამ აღმოუჩენია, რომ ორატორს მხოლოდ გაცვეთილი ფრაზები წარმოეთქვა და მეტი არაფერი.

აქაც იმდაგვარი რამ ხდებოდა. თვითონაც არ ესმოდა რატომ, მაგრა ჰილარიც რაღაცნაირ აღმაფრენას განიცდიდა. დირექტორი ძალიან სადად ლაპარაკობდა.

— კაპიტალის კონცენტრაცია, პრესტიჟი, გავლენიანი ოჯახები — ეს ყველაფერი ძველი ძლიერება იყო. დღეს კი ძალა ხელთა აქვთ ახალგაზრდა ქიმიკოსებს, ფიზიკოსებს, ექიმებს... ლაბორატორიებიდან მოდის ნგრევისა და შექმნის ძალა თქვენ შეგიძლიათ თქვათ: „გამარჯვება, ან სიკვდილი!“ ამ ძალას ერთი რომელიმე სახელმწიფო ვერ მიისაკუთრებს. მისი მფლობელი ის იქნება, ვინც იგი შექმნა. ჩვენი ორგანიზაცია არის მთელი მსოფლიოს ახალგაზრდა მეცნიერთა შემკრები პუნქტი. ორმოცდახუთ წელს გადაცილებული არც ერთი მეცნიერი არა გვყავს! დადგება დრო, როდესაც შევქმნით ტრესტს, მსოფლიო გონების ტრესტს. მაშინ ჩვენ ვიქნებით ყველაფრის მმართველები დედამიწაზე. ჩვენ ვუკარნახებთ კაპიტალისტებს, მეფეებს და არმიებს, ჩვენ დავიმორჩილებთ მთელი ქვეყნის ინდუსტრიას.

ამდაგვარი სამსალნარევი აბდაუბდა უხვად იყო დაფრქვეული. მაგრამ მთავარი სიტყვები როდი იყო. როგორც ჩანდა, ორატორული ხელოვნების ძალამ შეძლო დაეპყრო ჩვეულებრივი ცივი და კრიტიკულად განწყობილი აუდიტორია.

დირექტორმა თავისი სიტყვა დაასრულა მოწოდებით: „სიმტკიცე და გამარჯვება!“

ჰილარი თავბრუდახვეული გაემართა დერეფნისაკენ. დამსწრეთა სახეზე ის რაღაც უცნაურ აღმაფრენას ხედავდა. ერიქსონს ჩვეულებრივ ნამძინარევი თვალები უელავდა, თავი ქედმაღლურად აეწია მაღლა.

— მოდით, სახურავზე ავიდეთ, — მოესმა ქალს პიტერსის ხმადაბლა ნათქვამი. — სუფთა ჰაერი ახლა აუცილებელია, — და მან ფრთხილად გამოსდო მკლავი ჰილარის.

ისინი უხმოდ ავიდნენ ზემოთ. ცაზე სამხრეთის ვარსკვლავები ციმციმებდნენ. პიტერსმა ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი.

— დიახ, ახლა სწორედ ეს გვჭირდებოდა — სუფთა ჰაერი, რომელიც გაფანტავს

„დიდების ბანგის“ მოქმედებას.

ჰილარი ჩუმად იყო. ეჩვენებოდა, თითქოს ყველაფერი ეს სიზმარში ხდებოდა. პიტერსმა მეგობრულად მოუჭირა ხელზე.

— გამოფხიზლდით, ოლივია!

— ის ხომ შესანიშნავ იდეალებზე ლაპარაკობდა, — სუსტად შეესიტყვა ქალი.

— მიაფურთხეთ ასეთ იდეალებს! უკეთესია ფაქტებში გაერკვეთ. რას წარმოადგენს ეს ნიჭიერი ახალგაზრდობა? გულქვა, ეგოისტი ნიდჰეიმი, მეოცნებე და ცხოვრების უცოდინარი ერიქსონი, დოქტორი ბარონი, რომელიც თავისი ცდების დანადგარებისათვის ღვიძლ ბებიასაც კი მიჰყიდის მძარცველებს. აიღეთ თქვენი საკუთარი ქმარი — ნერვიულ სისტემამოშლილი, შურისგების მოლოდინში შიშით გაგიჟებული ადამიანი... მე ჩამოვთვალე ისინი, ვისაც ყველაზე უკეთ ვიცნობთ მაგრამ, დამიჯერეთ, სხვები, რომლებსაც აქ შევხვდი, არაფრით განსხვავდებიან ამათგან. როცა საქმე მათ ვიწრო სპეციალობას ეხება, ისინი გენიოსები არიან. მაგრამ მთელი დედამიწის ხელმძღვანელობა?! ეს ხომ სასაცილოა! ზღვარდაუდებელი სისულელე! ბნელეთის მოციქულები მიამიტ ყმაწვილებს იაფფასიანი

რელიგიით აბამენ ხოლმე. კარგით, გვეყოფა ამაზე ლაპარაკი.. მომისმინეთ, ოლივია! იქნებ აქ არ უნდა მომეყვანეთ, რას იტყვის ბეტერტონი? არ გაემტყუნება, თუ ეს საქციელი გაუკვირდება.

— არა მგონია, — მშვიდად მიუგო ჰილარიმ. — ვეჭვობ, რომ ჩვენი წამოსვლა შეენიშნოს.

პიტერსმა გაოცებით შეხედა მოსაუბრეს.

— მაპატიეთ, მაგრამ თქვენ ალბათ ძალიან გიმძიმთ... ამის ყურება, თუ როგორ ეშვება ის დაბლა?

ჰილარის პასუხი არ იყო კითხვაზე პასუხი.

— აქაურობას უნდა გავეცალოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს.

— აუცილებლად დავაღწევთ თავს.

— ამას თქვენ ადრეც ამბობდით, მაგრამ ჯერ ადგილიდანაც არ დავძრულვართ.

— არა ხართ სწორი, ამ ხნის მანძილზე მე რაღაც-რაღაცეებს ვაკეთებდი. ჰილარიმ გაოცებით შეხედა მოსაუბრეს.

— ჯერ გეგმა არა მაქვს, მაგრამ „ძირგამომთხერელ“ მუშაობას შევუდექი.

ორგანიზაციის წევრებს შორის ბევრია უკმაყოფილო, გაცილებით მეტი, ვიდრე ჩვენი ღვთის სწორი დირექტორი წარმოიდგენს. საჭმელი, ფული, ფუფუნება, ქალები — ეს ყველაფერი როდია. ოლივია, მე მოგეხმარებით აქედან გაქცევაში.

— თომასსაც?

პიტერსს სახე მოეღრუბლა.

— ოლივია, ყურადღებით მომისმინეთ და დამიჯერეთ, რასაც გეტყვით. თომასისათვის აქ დარჩენა უკეთესია. მან... — პიტერსს ხმაში რაღაც ბზარი შეეპარა. — იცით, რა... იგი აქ უფრო დაცული იქნება, ვიდრე ორგანიზაციის კედლებს გარეთ.

— უფრო დაცული? რა უცნაური გამოთქმაა!

— დიახ, უფრო დაცული. მე განზრახ შევარჩიე ეს სიტყვა. ჰილარი მოიღუშა.

— გაუგებარია, რა გაქვთ მხედველობაში? იქნებ ფსიქიურ აშლილობას გულისხმობთ?

— სულაც არა. ის ისეთივე ნორმალურია, როგორც მე და თქვენ.

— აბა, რატომ ამბობთ, აქ უფრო დაცული იქნებაო? პიტერსი დინჯად აძლევდა პასუხს, სიტყვებს სწონიდა.

— ხომ იცით, რომ გალია ყველაზე უსაფრთხო ადგილია.

— მერე, თომასი რომ აქედან გაქცევაზე ოცნებობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს?

— შეიძლება მან თვითონაც არ იცის, რომ მისთვის ეს უკეთესია.

— თომასი ჩვენთან ერთად უნდა წამოვიდეს, — ჯიუტად გაიმეორა ოლივიამ. ქალის გასაკვირად, პიტერსს ხმაში გულწრფელი წყენა დაეტყო.

— როგორც გინდათ, ისე მოიქეცით. მე გაგაფრთხილეთ. ერთი მითხარით, რა ჯანდაბად იტკივებთ თავს ამ ყმაწვილისათვის?

ჰილარი პიტერსს შიშით შეჰყურებდა. მზად იყო ეთქვა: „მე სულაც არ ვწუხვარ თომასზე. ჩემთვის მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თომასი სხვა ქალის ქმარი იყო. მე, უბრალოდ იმ ქალის ხსოვნის პატივსაცემად ვიქცეოდი ასე. მე თუ ვინმეზე ვწუხვარ, სულელო, ეს შენა ხარ მხოლოდ...“

როცა ჰილარი საწოლ ოთახში შევიდა, თომასი იწვა და თამბაქოს ეწეოდა.

— აბა, როგორ გაერთეთ თქვენს თვინიერ ამერიკელთან?

— ჩვენ ხომ ერთად ჩამოვედით აქ, — შეესიტყვა ჰილარი და ოდნავ გაწითლდა. —

ამასთანავე ბევრი გვაქვს საერთო შეხედულებები, აზრები.

— მე არ გსაყვედურობთ, — გაეცინა თომასს. მერე უცებ დარცხვენით ჩაიბურდღუნა:

— თქვენ თურმე მშვენიერი ქალი ყოფილხართ, ოლივია! თომასი ახლებურად აკვირდებოდა ქალს.

— დიახ, — ჩაილაპარაკა მან და დაკვირვებით შეათვალიერა ჰილარი. — თქვენ მეტისმეტად მომხიბვლელი ხართ. აღარ მეგონა, თუ ამისი შენიშვნის თავი

მექნებოდა!

— იქნებ არ ღირდეს? — ცივად შენიშნა ჰილარიმ.

— მე აბსოლუტურად ნორმალური ადამიანი ვარ. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ვიყავი. ახლა კი, ღმერთმა იცის, როგორი ვარ.

ჰილარი გვერდით მიუჯდა.

— რა მოხდა, თომას?

— იცით, მე კვლავ ერთ წერტილზე ვარ გაყინული. ვერაფრით ვერ მომიკრებია გონება. როგორც მეცნიერი უვარგისი გავხდი. ეს ადგილი...

— სხვებს, ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობას ასეთი გრძნობა რომ არა აქვს?

— იმიტომ, რომ ეს უგრძნობი ნახირია, დასწყევლოს ღმერთმა!

— არა, რატომ, ზოგი მათგანი სულაც არ არის მგრძნობიარებას მოკლებული. — თავშეკავებით მიუგო ჰილარიმ. — ოჰ, თომას, თქვენ რომ აქ ნამდვილი მეგობარი გყავდეთ...

— მერე რა, მე მყავს მერჩისონი. თუმცა საშინლად მოსაწყენი პიროვნებაა. ბოლო დროს ხშირად ვხვდები ტორკვილ ერიქსონს. მას ბრწყინვალე თავი აქვს. ასეთ თავს მეც ვინატრებდი.

— რა ვიცი, უცნაური კაცია, — ჩაილაპარაკა ჩაფიქრებულმა ჰილარიმ. — რაღაცით მაშინებს.

— ტორკვილი გაშინებთ? ის ხომ წრუწუნასავით ჩუმია. ზოგჯერ ნამდვილი ბავშვივითაა, ცხოვრების არაფერი გაეგება.

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მე მაინც მაშინებს, — ჯიუტად გაიმეორა ჰილარიმ.

— როგორც ჩანს, ნერვებმა თქვენც გიმტყუნათ.

— ჯერჯერობით არა, მაგრამ შეიძლება მალე ასეც მოხდეს. თომას, მეტისმეტად ნუ დაუმეგობრდებით ერიქსონს.

— რატომ? — გაოცდა ბეტერტონი.

— თვითონაც არ ვიცი. უბრალოდ, ცუდი წინათგრძნობა მაქვს.

მეთექვსმეტე თავი

— მომისმინეთ, ბატონო, დაიფიცეთ, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც აღმიქვით. გასამართი სადგური შტატებში, ჩიკაგოში.

— აუცილებლად, მოჰამედ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც მოვილაპარაკეთ. ოღონდაც აქაურობას მოვშორდე.

— ყველაფერი ალაჰის ხელშია!

— იმედი მაქვს, ალაჰი არ დაგიშლის იმ სადგურის მიღებას. რატომ მაინცდამაინც ჩიკაგო აირჩიე?

— ბატონო, ჩიკაგოში ჩემი ცოლის ძმა წავიდა და იქ სადგურის უფროსი გახდა. მე რაღად უნდა ვიცხოვრო სადღაც, ქვეყნის დასალიერში! აქ ყველაფერი მაქვს:

ფული, საჭმელი, ტანსაცმელი, ქალები... მაგრამ რა ცხოვრებაა!

პიტერსი ყურადღებით აკვირდებოდა სახეზე არაბს. თეთრსამოსიანი მოჰამედი დიდებული სანახავი იყო. ვერასოდეს გამოიცნობ, რა სურვილებმა შეიძლება შეაშფოთოს ადამიანის სული...

— არ ვიცი, რამდენად კეთილგონივრულია ეს, — ამოიოხრა მოჰამედმა, — მაგრამ იყოს ნება თქვენი. თუ გაგვიგეს... — მან გაიღიმა და ძალიან ლამაზი თეთრი კბილები გამოჩინა. — ჩემთვის, ბატონო, ეს სიკვდილით დასრულდება.

— მოჰამედ, გახსოვს, რა უნდა გააკეთო?

— მახსოვს, ბატონო. როგორც კი დაბნელდება, სახურავზე უნდა გაგაცილოთ. თქვენს ოთახში ისეთი სამოსი უნდა მოგიტანოთ, როგორსაც მსახურები ატარებენ. ნუ გეშინიათ, დავალება არ დამვიწყებია.

— სწორია, ახლა ლიფტიდან გამიშვი. შეგვნიშნავენ ზემოთ-ქვემოთ რომ ავდი-ჩავდივართ. ყურადღებას ნუ მივიქცევთ.

...ცეკვები გაჩაღებული იყო. ენდი პიტერსი მის ჯენსონთან ცეკვავდა. ის ნაზად ეხვეოდა თავის პარტნიორს და თან რაღაცას ეუბნებოდა. როცა ჰილარის გვერდით მოხვდნენ,

პიტერსმა მისი მზერა დაიჭირა და მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა. ჰილარი ტუჩებს იკვნეტდა, რომ არ გასცინებოდა და შეტრიალდა. დარბაზის მეორე მხარეს ბეტერტონი ტორკვილ ერიქსონს რაღაცაზე ცხარედ ესაუბრებოდა. ჰილარი მოიღუშა.

— ახალგაზრდა ტორკვილი მოხიბლულია თქვენი ქმრით, სულ თან დასდევს, —

უთხრა მას სიმონ მერჩისონმა.

— მეც შევნიშნე, — ფრთხილად მიუგო ჰილარიმ, — მაგრამ ვერაფერი გამიგია, რა მოხდა?

— ტორკვილი მთლად ზებუნებრივი იდეებითაა გაჟღენთილი და მას მოთმინებით აღჭურვილი მსმენელი სჭირდება. მე, მაგალითად, მალე ვიღლები. თომასი, პირიქით, სულაც არ იღლება.

პიტერსი ჰილარისთან მივიდა და საცეკვაოდ გაიწვია.

— ხედავთ რა ვიკისრე?

— მის ჯენსონზე მბობთ?

— სწორედ. მგონი, მართლა დამიჯერა, რომ მისი გულისათვის ჭკუას ვკარგავ. შეიძლება მის ჯენსონი ძალიან გამოგვადგეს. მან ყველაფერი იცის, რაც ამ კედლებში ხდება. მაგალითად, ისიც გავიგე, რომ ხვალ აქ თურმე შეკრება იქნება. ჩამოვლენ მეცნიერები, მთავრობის მოხელეები და მდიდარი მესვეურები.

— ენდი, თქვენ გგონიათ, რომ რაიმე შესაძლებლობა მოგეცემათ?

— არა, ჯერჯერობით ამას არ ვფიქრობ. მაგრამ მხედველობაში ყველაფერი უნდა ვიქონიოთ. ჩვენ უნდა გავარკვიოთ, რას წარმოადგენს ეს შეკრება. მეორე შეკრებისათვის კი უკვე რაღაც უნდა ვიღონოთ. ჯენსონი მე საკმაოდ მივიჩვიე. ასე რომ, აუცილებელ ინფორმაციას მალე მივიღებ.

— მერე, ჩამოსულებს რა ეცოდინებათ?

— ჩვენზე, თუ ორგანიზაციაზე? რასაკვირველია, არაფერი, მათ ერთი მიზანი აქვთ: გაეცნონ ამ საავადმყოფოს და სამედიცინო ხასიათის მეცნიერულ-კვლევით სამუშაოებს.

მთელი ეს შენობა კი ისეა აგებული, ერთიან უზარმაზარ ლაბირინთს წარმოადგენს. არც ერთ ჩამოსულს არ ეცოდინება მისი ნამდვილი მასშტაბები. შენობის ჩვენი ნაწილი საჭიროების შემთხვევაში რაღაცნაირად საიდუმლოდ იქნება იზოლირებული, ხოლო ლაბორატორიებისათვის განკუთვნილი შენობები პირდაპირ კლდეშია გამოკვეთილი.

— წარმოუდგენელია!

— როგორი წარმოუდგენელიც არ უნდა იყოს, ეს მაინც ასეა. მადლობა ღმერთს, რომ აქ ბავშვები არ არიან. ყოველ შემთხვევაში, თქვენს ბედს მადლობა უნდა შესწიროთ, რომ შვილები არა გყავთ.

პიტერსმა უცბად დაინახა, როგორ გაქვავდა ქალი.

— მაპატიეთ, მგონი რაღაც კარგად არ გამომივიდა. მან ჰილარი ჰოლში შეიყვანა და იქ დასხდნენ.

— გევედრებით, ოლივია, მაპატიეთ, თუ გაწყენინეთ.

— არა უშავს. ეს თქვენი ბრალი არ არის. მე მყავდა ბავშვი... მომიკვდა.

— შვილი გყავდათ? — გაკვირდა პიტერსს. — მე მეგონა, ბეტერტონს ექვსი თვის წინ გაყევით.

ოლივია გაწითლდა. მერე სასწრაფოდ გონს მოეგო და უპასუხა:

— დიახ, მართალია, მაგრამ მე ადრე ვიყავი გათხოვილი. პირველ ქმარს გავცილდი.

— გასაგებია... რა ცუდია, რომ ჩვენ ერთმანეთის არაფერი ვიცით. ამიტომ ზოგჯერ უადგილოდ ვლაპარაკობთ. მე სრულიად არაფერი ვიცი თქვენზე, ოლივია.

— ისევე, როგორც მე თქვენზე, — ნაღვლიანად გაიღიმა ჰილარიმ. — სად და როგორ გაიზარდეთ...

— მე გავიზარდე „მკაცრ მეცნიერულ ატმოსფეროში“, — ჩაიცინა მან. — ლამის მენზურიდან ეჭმიათ საჭმელი — მეცნიერება და მხოლოდ მეცნიერება. ამის გარდა არავინ არაფერზე ფიქრობდა. მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს ოჯახში ვუნდერკინდი მე არ ვიყავი... არამედ გოგონა, ჩემი და. აი, ვინ იყო საოცრად ნიჭიერი. ის

მეორე კიური გახდებოდა, ბევრი მნიშვნელოვანი რამის აღმოჩენა შეეძლო.

— მერე, რა მოუვიდა? ენდიმ უბრალოდ უპასუხა:

— მოკლეს.

ჰილარის ეგონა ენდი ბოლოდროინდელ ომს გულისხმობსო.

— ძალიან გიყვარდათ? — ჰკითხა ქალმა.

— ყველაზე ძალიან ამქვეყნად.

პიტერსმა უცბად ლაპარაკი შეწყვიტა და წამოდგა.

— გვეყოფა უსიამოვნებათა გახსენება. ეს აქაც არ გვაკლია. უკეთესია, ჩემს

ნორვეგიელ მეგობარს შეხედოთ, სარგადაყლაპულივით არ არის? მაგის უაღრესად გრაციოზული სალამი რად ღირს!

— ძალიან მაღალია და გამხდარი...

— არც ისე მაღალია, როგორც გეჩვენებათ. ჩემი სიმაღლისაა, მეტი კი არა.

— სიმაღლე მაცდურია.

— ისევე, როგორც პასპორტში აღწერილი გარეგნობა. ავიღოთ, მაგალითად ერიქსონი: სიმაღლე ექვსი ფუტი, ღია ფერის თმა, ცისფერი თვალები, მოგრძო სახე, მოუხეშავი ქცევა, საშუალო ცხვირი, ჩვეულებრივი პირი. იმასაც თუ დავუმატებთ, რაც პასპორტში არ არის აღნიშნული, მაგალითად: სწორი მეტყველება, ნელი ლაპარაკი, სიტყვების გულდასმით შერჩევა, — მაინც ვერ შეგექმნებათ ის სრული წარმოდგენა, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს ტორკვილი... რა მოხდა?

— არა, არაფერი.

ჰილარი პიტერსს უსმენდა, თან ჰოლის იქით მყოფ ერიქსონს აკვირდებოდა და უცებ თავში გაუელვა: ეს ხომ ბორის გლიდერის ნიშნებია! სიტყვასიტყვით ასე მოისმინა ჯესეპისაგან. იქნებ ამიტომ ეხამუშებოდა მასთან სიახლოვე?

— მაგრამ ნამდვილად ერიქსონია? სხვა ვინმე ხომ არ შეიძლება იყოს? პიტერსმა გაოცებით შეხედა მოსაუბრეს.

— სხვა ვინმე? მაინც ვინ? ვინ გგონიათ, ოლივია?

— მე მგონი... მეჩვენება... მე მინდოდა მეკითხა... ხომ არ შეეძლო მას ტორკვილ ერიქსონის გვარით მოსულიყო აქ?

— არა მგონია, ეგ შეუძლებელი იქნებოდა. ერიქსონი მეცნიერთა წრეში ძალიან ცნობილი პიროვნებაა.

— მაგრამ აქაურებიდან ეგ ადრე ხომ არავის არ უნახავს?

— თქვენ გგონიათ, რომ ერიქსონი „ორგვარ“ თამაშს ეწევა? — პიტერსმა თავი გააქნია. — არა, ეგ ნაკლებად სარწმუნოა.

— ალბათ, — უცებ დაეთანხმა ჰილარი. — არა მგონია.

„არა, ერიქსონი გლიდერი არ იქნება. — გაიფიქრა მან. — მაგრამ მაინც რა მიზეზი უნდა ჰქონოდა ოლივია ბეტერტონს, რომ ემტკიცებინა — თომასს ბორის გლიდერის მხრიდან საფრთხე ემუქრებაო? ნეტავ, სადმე ხომ არ მოჰკრა ყური რაიმე საეჭვოს, რომ ისიც ორგანიზაციაში მიემგზავრებოდა? ან რატომ არ შეიძლებოდა, ლონდონში ჩამოსული კაცი ბორის გლიდერის გვარით ტორკვილ ერიქსონი ყოფილიყო! გარეგნობის აღწერა მთლიანად ემთხვევა და თანაც აქ ჩამოსვლისთანავე მთელი ყურადღება ბეტერტონზე გადაიტანა...“

ჰილარის რაღაცნაირი შინაგანი რწმენა ჰქონდა, რომ ერიქსონი ძალიან საშიში პიროვნება უნდა ყოფილიყო. ვერ მიხვდებოდით, რა იმალებოდა ამ კაცის გამოცრიატებულ თვალებში.

ჰილარი შეკრთა. ისევ შეშინდა.

— რა იყო, ოლივია? მაინც რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს?

— არაფერი. შეხედეთ, დირექტორის მოადგილე რაღაცის განცხადებას აპირებს. ნელსონი სცენაზე ავიდა და მიკროფონთან დადგა.

— მეგობრებო და კოლეგებო! წინადადება გეძლევათ, ხვალ ყველანი დარჩეთ შენობის

სათადარიგო მხარეს. გთხოვთ, დილის თერთმეტ საათზე შეიკრიბოთ. ჩატარდება აღრიცხვა. საგანგებო მდგომარეობა სულ ოცდაოთხ საათამდე გასტანს. ძალიან ვწუხვარ, რომ ამასთან დაკავშირებით უხერხულობა შეგექმნებათ. დაწვრილებით ცნობებს შეგიძლიათ გაეცნოთ, ის უკვე გამოკრულია.

ორატორი ღიმილით გავიდა. ისევ გაისმა მუსიკის ხმა.

— ახლა ისევ ჯენსონი უნდა გავიწვიო საცეკვაოდ, — ამოიოხრა პიტერსმა. — ისე მოუთმენლად იყურება ჩემსკენ. უნდა გავიგო, რას ნიშნავს ეს „სათადარიგო მხარე“.

სია დიდ აუდიტორიაში ამოიკითხეს. მერე ყველა გრძელ რიგად ჩაამწკრივეს და ერთ-ერთი დერეფნისაკენ წაიყვანეს. ჰილარი პიტერსის გვერდით მიდიოდა. მან იცოდა, რომ პიტერსს პატარა კომპასი ჰქონდა. ასე რომ, შეიძლებოდა დაედგინათ, რომელი მიმართულებით მიჰყავდათ ისინი.

დერეფნის ბოლოს პატარა კარი იყო. რადგან ის დაკეტილი აღმოჩნდა, ცოტა ხანს შეჩერდნენ.

პიტერსმა ჯიბიდან პორტსიგარი ამოიღო, მაგრამ იმ წამსვე გაისმა ვან ჰეიდემის მბრძანებლური ხმა:

— არ შეიძლება მოწევა! აკი გაგაფრთხილეთ!

— ოჰ, უკაცრავად, სერ...

მალე კარიც გააღეს და კოლონა ადგილიდან დაიძრა.

— ნამდვილი ცხვრის ფარა ვართ, — აღშფოთებით ჩაილაპარაკა ჰილარიმ.

— ქალების ოთახები მარჯვნივ არის, — განაცხადა მის ჯენსონმა. მამაკაცები სადღაც მარცხნივ წაიყვანეს.

— აქ ყველაფერი უფრო სადაა, — გაისმა მის ჯენსონის ხმა, — მაგრამ ყოველივე აუცილებელი არის. თქვენს განკარგულებაშია საბაზანო ოთახი. ამ კარიდან გახვალთ და დერეფნის გავლით საერთო სასტუმრო ოთახში მოხვდებით.

სასტუმრო ოთახი ფართო დარბაზს წარმოადგენდა. მალე ყველამ ისევ იქ მოიყარა

თავი. აქაურობა პატარა აეროპორტის მოსაცდელ დარბაზს წააგავდა. აქ იყო ბარი სასმელებით. მაგიდებზე საუზმე გაემზადებინათ. დარბაზის მეორე ბოლოში ჰილარიმ თვალი მოჰკრა წიგნებით გაჭედილ თაროების რიგს.

დღემ მშვიდობიანად გაიარა. პატარა პორტატიულ ეკრანზე ორი კინოფილმი უჩვენეს.

ფანჯრების მაგივრობას ხელოვნური განათება სწევდა. საღამოს სხვანაირი ლამფები აინთო, რომელიც ნაზ სინათლეს აფრქვევდა.

— ჭკვიანურად არის მოფიქრებული! — მოეწონა პიტერსს. — ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ ცოცხლად დამარხვის შეგრძნება მინიმუმამდე დაიყვანონ.

„რა უსუსურები ვართ, — გაიფიქრა ჰილარიმ. — აქ, სადღაც ახლოს ხალხია, რომლებიც გარე სამყაროდან ჩამოვიდნენ. მათთან დაკავშირება და, მით უმეტეს, დახმარების იმედი კი არ უნდა გქონდეს. ყველაფერი მკაცრი სიფრთხილით არის გაანგარიშებული“.

ვიღაცის ხელის უეცარმა შეხებამ ჰილარი შეაკრთო. მკვეთრად შებრუნდა და მუქკანიანი მსახური დაინახა.

— მადამ, გთხოვთ წამობრძანდეთ, — უჩურჩულა მან.

— წამოვიდე? საღ?

— გთხოვთ, გამომყვეთ.

ჰილარი ერთხანს ყოყმანობდა. ვერავინ ამჩნევდა ვერც მას, ვერც მსახურს, ან იქნებ ასე უჩვენებდნენ თავს.

— გთხოვთ, მადამ, გამომყევით.

ჰილარის ყურადღება მსახურის მდიდრულმა ტანსაცმელმა მიიქცია, რითიც ის სხვა მსახურებისაგან გამოირჩეოდა. მისი ტანსაცმელი ოქრომკედით იყო ნაქარგი.

ისინი უჩვეულოდ გრძელი, თეთრი დერეფნით მიდიოდნენ. ჰილარის მოეჩვენა, რომ დილით მოპირდაპირე მხრიდან წამოიყვანეს. თუმცა დაბეჯითებით ვერ იტყოდა, რადგან ეს დერეფნები წვეთი წყალივით ჰგავდნენ ერთმანეთს. მერე მსახური შედგა და კედელში რომელიღაც საიდუმლო ღილაკს თითი დააჭირა. კარი უხმაუროდ გაიღო. შიგნით ლიფტის

კაბინა იყო. მსახურმა ხელით ანიშნა ჰილარის შესულიყო, მერე თვითონაც მიჰყვა და ლიფტი ზემოთ ასრიალდა.

— სად მიგყავართ? — კანკალმა აიტანა ჰილარი.

— ბატონთან, მადამ. ეს დიდი პატივია თქვენთვის.

— დირექტორთან?

— ბატონთან.

ისინი რომელიღაც კართან გაჩერდნენ. გამცილებელმა დააკაკუნა და კარიც მაშინვე გაიღო. ისინი კიდევ დიდხანს მიდიოდნენ ოქრომკედით ნაქარგ, თეთრად მოსილ გაქვავებულ მსახურთა შორის. ბოლოს ჰილარი აღმოსავლურ ყაიდაზე მოწყობილ ოთახში აღმოჩნდა. აქ იყო დაბალი სავარძლები, ყავის მაგიდები, კედლებზე არაჩვეულებრივი ხალიჩები ეკიდა. სავარძელში მოკუზული იჯდა ვიღაც მოხუცი. ჰილარიმ გაშტერებული მზერა მიაპყრო. პირდაპირ დაუჯერებელი იყო: ის შეხვდა მისტერ არისტიდისის ჭკვიან და დამცინავ თვალებს...

მეჩვიდმეტე თავი

— გთხოვთ, მადამ! — თავაზიანად მიმართა მან.

მაიმუნისმაგვარი ხელით ჰილარის ანიშნა, ახლოს მისულიყო და მის პირდაპირ დამჯდარიყო. არისტიდისმა ჩუმად, თითქოს თავისთვის ჩაიცინა.

— ალბათ გიკვირთ, არა? ამას არ მოელოდით, ხომ?

— რასაკვირველია, — ძლივს წარმოთქვა ჰილარიმ, რომელიც გაოცებისაგან ჯერ

კიდევ ვერ მოსულიყო გონს. — ვერასოდეს წარმოვიდგენდი... რას ვიფიქრებდი...

უეცრად მისი გაოცება ერთბაშად გაქრა. მთელი მისი არარეალური სამყარო, რომელშიც ის რამდენიმე კვირაა ცხოვრობდა, ერთბაშად შეტორტმანდა და დაიფშვნა. ახლა მიხვდა, რომ ეს ორგანიზაცია სულაც არ ყოფილა ისეთი, როგორადაც მისი ტექნიკური ხელმძღვანელები სახავდნენ.

აი, თუნდაც დირექტორი, თავისი „არაჩვეულებრივი“ ორატორული ნიჭით, მხოლოდ და მხოლოდ სხვისი დაყენებული კაცი ყოფილა, რომლის მთავარი დანიშნულებაა მიჩქმალოს სინამდვილე. სინამდვილე კი აქ არის, ამ აღმოსავლური გემოვნებით მოწყობილ საიდუმლო ოთახში და ყველაფრის სათავეში დგას მისტერ არისტიდისი. ახლა ყველაფერი გასაგები იყო და ამ ორგანიზაციის დანიშნულება უფრო ნათელი გახდა — მისი საფუძველი იყო სისასტიკე, პრაქტიკულობა და... ჩვეულებრიობა.

— ახლა ვხვდები, — დაბნეულად თქვა ჰილარიმ. — ყველაფერი, ყველაფერი, რაც აქ არის, თქვენია, არა?

— დიახ, მადამ.

— აბა, ის, ეგრეთ წოდებული, დირექტორი რაღას წარმოადგენს?

— ის ძალიან კარგი კაცია, მე მას დიდძალ ფულს ვუხდი. არისტიდისმა გააბოლა. ჰილარი ჩუმად შეჰყურებდა.

— თქვენს გვერდით აღმოსავლური ტკბილეულია, — გთხოვთ, მადამ, მიირთვით. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— მე ფილანტროპი ვარ, მადამ, — თქვა ბოლოს არისტიდისმა. — თქვენ ალბათ იცით, რომ ძალიან მდიდარი კაცი ვარ, ერთ-ერთი უმდიდრესი მთელს მსოფლიოში. შესაძლოა ყველაზე მდიდარიც კი. ამიტომ, ამდენი სიმდიდრის პატრონმა, თავი მოვალედ ჩავთვალე, რომ კაცობრიობისათვის რაიმე სარგებლობა მომეტანა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქვეყნის უშორეს ადგილას ლეპროზორიუმი ავაშენე, დიდი კოლონია კეთროვანებისათვის და თანაც მეცნიერ-გამომგონებელთა ლაბორატორიების ფართო ქსელი დავაარსე, სადაც მრავალრიცხოვანი სწავლულნი კეთრის პროფილაქტიკისა და მკურნალობის საკითხებს წყვეტენ. ცნობილია, რომ ამ დაავადების ზოგიერთი სახე იკურნება, მაგრამ არის ისეთებიც, რომლებიც მკურნალობას არ ემორჩილებიან. ამიტომ აქ არც ერთ დღეს არ წყდება კვლევითი მუშაობა და უკვე კარგი შედეგებიც გვაქვს მიღებული. სინამდვილეში კეთრი არც ისე გადამდები სენია, როგორც ეს ჰგონიათ. ჩუტყვავილა, ტიფი, ჭირი — უფრო საშიშია და მაინც, თუ ვინმემ სიტყვა ლეპროზორიუმი ახსენა, ხალხს გული უსკდება და უკანმოუხედავად გარბის. კეთრის წინაშე მრავალი საუკუნის მანძილზე თრთოდა ხალხი. ამაზე ბიბლიაშიც კი შეგიძლიათ წაიკითხოთ. სწორედ ამიტომ დავაარსე ეს დაწესებულება აქ.

— მხოლოდ ამ მოსაზრებით დააარსეთ?

— დიახ. მაგრამ, გარდა ანუსა, ჩვენთან მუშაობს კიბოს საწინააღმდეგო კვლევითი განყოფილება. მნიშვნელოვანი მუშაობა სწარმოებს აგრეთვე ტუბერკულოზის პროფილაქტიკის შესასწავლად. ტარდება ყოველგვარი ვირუსოლოგიური დაავადების გამოკვლევები — და ყველაფერი ეს მხოლოდ სამკურნალო მიზნით. თავისთავად ცხადია, ბიოლოგიური საშუალებებით ომზე ლაპარაკი ზედმეტია.

ჩვენთან ყველაფერი ჰუმანურ ასპექტშია გადაწყვეტილი, ყოველივე კანონის ფარგლებში ხდება, რაც ხელს უწყობს ჩემი ავტორიტეტის განმტკიცებას. დროდადრო აქ, ჩვენთან, ჩამოდიან ცნობილი ფიზიკოსები, ქირურგები და ქიმიკოსები, რომ ჩვენი მუშაობის შედეგებს გაეცნონ. აი, მაგალითად, ისინი დღესაც ჩამოვიდნენ. ეს შენობა საკმაოდ ეშმაკურად და მოხერხებულად არის აგებული. მისი ზოგიერთი მხარე პირდაპირ შუაგულ მთებშია შეყვანილი. ყოველ შემთხვევაში, ჩემს საქმიანობაში საეჭვო არაფერია, — მან გაიღიმა და გულღიად დაუმატა: მე აკი ძალზე მდიდარი ვარ.

— მაგრამ, ერთი ეს მითხარით, რატომ გაქვთ ასეთი ლტოლვა ნგრევისაკენ?

— საიდან აიღეთ? მე არავითარი ლტოლვა არა მაქვს ნგრევისაკენ, მადამ. თქვენ უმართებულოდ მსჯელობთ ჩემზე.

— მაშინ მე არაფერი მესმის.

— აი, რა გითხრათ, მე ბიზნესმენი ვარ, — კიდევ უფრო კეთილი ღიმილით დაუმატა არისტიდისმა. — გარდა ამისა, კოლექციონერიც გახლავართ. როდესაც მხრებზე სიმდიდრე გაწვება, ადამიანს ისღა დარჩენია, რომ რაიმე შეაგროვო. ჩემი ცხოვრების მანძილზე სხვადასხვანაირი ნივთი შევაგროვე. მე ევროპაში სურათების საუკეთესო კოლექცია მაქვს, შევაგროვე კერამიკული ნაწარმიც, ადრე ფილატელიით ვიყავი გატაცებული. მარკების ჩემი კოლექცია მთელს მსოფლიოშია ცნობილი. როდესაც ერთი საგნის შეგროვება მბეზრდება, მეორეზე გადავდივარ. მოვხუცდი, მადამ, და ცოტა ხნის სიცოცხლეღა დამრჩენია. და აი, ახლა ასეთ გადაწყვეტილებამდე მივედი: შევაგროვო ტვინის კოლექცია!

— ტვინის?! — შეშფოთდა ჰილარი. მოსაუბრემ მშვიდად დაუკრა თავი.

— დიახ, ეს ყველაზე უფრო საინტერესოა, რისი შეგროვებაც კი შეიძლება. თანდათანობით მე აქ მოვუყრი თავს მსოფლიოში ყველაზე საინტერესო ტვინს. ჩემი

კოლექცია — ახალგაზრდა მეცნიერები არიან. მე აქ ისეთი სწავლულები მომყავს, რომელთაგან მეცნიერება ბევრს მოელის, ძალიან ბევრს. დაცარიელებული სახელმწიფოები ერთხელაც იქნება მიხვდებიან, რომ მათი მეცნიერები დაბერდნენ და დაჩლუნგდნენ. ხოლო ჩემს განკარგულებაში იქნებიან მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მეცნიერები — დიდი ტვინის პატრონები — ექიმები, ქიმიკოსები, ფიზიკოსები და თუ რომელიმე სახელწიფოს მეცნიერი დასჭირდება, ვთქვათ, პლასტიკური ქირურგიის სპეციალისტი, მან ჩემგან უნდა იყიდოს ის.

— თქვენ გინდათ თქვათ... — ჰილარი წინ გადმოიხარა და არისტიდისს გამომცდელად შეხედა. — თქვენ ამტკიცებთ, რომ ეს მხოლოდ გიგანტური ფინანსური ოპერაციაა?

არისტიდისმა მშვიდად დაუკრა თავი.

— დიახ, — ნელა წარმოთქვა მან. — აბა რა, სხვა შემთხვევაში ამას არავითარი აზრი არ ექნებოდა. ხომ მართალია?

ჰილარიმ ღრმად ამოიოხრა.

— რას იზამთ, ასეა, — მიუგო მან. — დაახლოებით ასეთი რამ წარმომედგინა.. მაგრამ...

— ბოლოს და ბოლოს ეს ჩემი პროფესიაა, — თითქოს მობოდიშებით ამბობდა არისტიდისი. — მე ხომ ფინანსისტი ვარ.

— და თქვენ გინდათ დამარწმუნოთ, რომ ყოველივე ამას, არავითარი პოლიტიკური სარჩული არ უდევს საფუძვლად? ანდა თქვენ არ ილტვით მსოფლიო ბატონობისაკენ?

— რა თქმა უნდა, ღმერთად გახდომას სულაც არ ვცდილობ, — მშვიდად მიუგო მან. — მე მორწმუნე ვარ, — თქვა არისტდისმა და ხმაში წყენა დაეტყო: — ასეთი სენით დიქტატორები არიან დაავადებულნი. ისინი მიისწრაფვიან ღმერთის ადგილის დასაკავებლად. ეს სენი მე ჯერჯერობით არ გადამდებია. — არისტიდისი ერთხანს გაჩუმდა. — ვინ იცის, შეიძლება იგი მეც მეწვიოს, დიახ, დიახ, შეიძლება მეც მეწვიოს. მაგრამ, საბედნიეროდ ჯერჯერობით თავისუფალი ვარ... მე მეცნიერებას ვყიდულობ თავისუფალ ბაზარზე, მადამ. ყველაფერი ეს ისე ხდება, როგორც სხვა საავჭრო გარიგების დროს. მე მათ ფულით ვყიდულობ. ზოგჯერ ისინი რაიმე იდეის ანკესზე წამოეგებიან ხოლმე, ახალგაზრდები ყოველთვის მეოცნებენი არიან. მათ თავი ათასნაირი იდეებით აქვთ გამოტენილი. მათ გააჩნიათ იდეალები. ისეთებსაც შეხვდებით, რომელთა ყიდვაც უსაფრთხოების გარანტიით

შეიძლება.

— ეს რაღაცას ნათელს ჰფენს. — ჩაილაპარაკა ჰილარიმ, — სიცხადეს მატებს. მე მინდა გავიხსენო ერთი საოცარი გარემოება, რაც გზაშიც შევნიშნე.

— მადამ, მაშინ თქვენ რამემ გაგაკვირვათ?

— დიახ, მე გამაოცა ჩემი თანამგზავრების მიზანთა სხვადასხვაობამ. მაგალითად, ამერიკელი ენდი პიტერსი — მას ნათლად გამოკვეთილი მემარცხენე შეხედულებები აქვს. აიღეთ ერიქსონი — ის ფანატიკოსია, რომელსაც მხოლოდ ზეადამიანი სწამს. ფროილაინ ნიდჰეიმს ფაშისტური რწმენა აქვს. რაც შეეხება დოქტორ ბარონს... — ჰილარი გაჩუმდა.

— თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ ის ფულის გულისათვის ჩამოვიდა. დოქტორი ბარონი განათლებულია და უკიდურესად ცინიკოსი. მას ილუზიები არ აწუხებს, მაგრამ თავისი საქმის ისეთი ერთგულია, როგორც არავინ. კვლევის გასაგრძელებლად მას უამრავი ფული სჭირდება და სწორედ ამან მოიყვანა აქ.

არისტიდისმა კილოს შეუცვლელად განაგრძო:

— მადამ, თქვენ ჭკვიანი ქალი ხართ. ეს მაშინვე შევნიშნე ფეცში. არც კი იცით, რომ ფეცში თქვენს სანახავად ჩამოვედი. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ვუბრძანე, ყოველივე ისე მოეწყოთ, რომ თქვენ ფეცში ჩამოეყვანეთ და ჩემთვის ეჩვენებინეთ. დიდად მოხარული ვარ, რომ ჩვენს ორგანიზაციაში მოხვდით. სწორად გამიგეთ, აქ საინტერესო ადამიანები ცოტაა. უბრალოდ ვერავის დაელაპარაკები. — მერე ხელი ჩაიქნია. — ყველა ეს სწავლულები: ბიოლოგები, ქიმიკოსები და სხვები... თავიანთ დარგში არიან გენიალურები, თორემ მოსაუბრედ რა მოგახსენოთ. ისეთივე მოსაწყენი ჰყავთ მეგობარი ქალებიც. ზოგიერთი მეცნიერის ცოლს ნებას ვაძლევ აქ მოვიდეს მხოლოდ ერთი მიზეზის გამო.

— რა მიზეზის გამო?

არისტიდისმა ცივად და ერთგვარი გაღიზიანებით მიუგო:

— ასეთი ნებართვა მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლევათ, როდესაც ცოლთან

დაშორების გამო დანაღვლიანებული ქმარი სამუშაოს თავს ვერ ართმევს. სწორედ ასე დაემართა თქვენს მეუღლესაც. სწავლულთა სამყარო მას იცნობდა, როგორც გენიალურ

მეცნიერს, მაგრამ მან თავისი სამუშაო საშუალო დონეზე მაღლა ვერ ასწია. დიახ, იმედი გამიცრუა.

— მერე ეს გასაკვირია? — გაიოცა ჰილარიმ. — ყველა ეს სწავლული მეცნიერები აქ თავს ისე გრძნობენ, როგორც პატიმრები ციხეში. ალბათ ისინი პროტესტს აცხადებენ; თუნდაც ახალი მოსულები...

— მართალია, — მიუგო არისტიდისმა, — ეს სრულიად ბუნებრივია. ამას გვერდს ვერ აუვლი. ფრინველებსაც ჩვეულებრივ ასე ემართებათ. მაგრამ თუ გალიაში საკმაო ჰაერია, თუ აუცილებელი ყველაფერი აქვს, ჰყავს მეორე ნახევარი, აქვს მარცვლეული, წყალი, ტოტები, რაც ცხოვრებისათვის საჭიროა, მაშინ ეს ფრინველი ივიწყებს, რომ ოდესღაც ის თავისუფალი იყო.

ჰილარი შეკრთა.

— თქვენ მაფრთხობთ! ამის მოსმენა საშინელებაა!

— მადამ, თანდათანობით ბევრ რამეს გაიგებთ. მართალია, ახლადჩამოსულები სხვადასხვა რწმენისა და შეხედულებების ადამიანები არიან და თავდაპირველად პროტესტს აცხადებენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისინი კალის ჯარისკაცებად გადაიქცევიან ხოლმე.

— როგორ შეგიძლიათ ასე დაჯერებით ამის თქმა?

— ჩვენს ცოდვილ სამყაროში არაფერში არ შეიძლება იყო დაჯერებული. ამაში გეთანხმებით. მაგრამ მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ ასე მოხდება.

ჰილარი შეძრწუნებული შეჰყურებდა არისტიდისს.

— ნამდვილი კოშმარია! — წამოიძახა მან. — ცოცხალი ავტომატების კრებული, ავტომატურად მომუშავე ტვინი! ტვინი—ავტომატი! აი, რაზე ოცნებობთ, აი, რად გინდათ აქციოთ ადამიანები!

— აბსოლუტურად სწორი ბრძანდებით! თქვენ ზუსტად განსაზღვრეთ, მადამ.

— და ამ ავტომატურად მომუშავე ადამიანებით აპირებთ ოდესმე იმათ მომარაგებას, ვინც მეტს გადაგიხდით მათში?

— ეს, ცოტა არ იყოს, უხეშად არის ნათქვამი. მიუხედავად ამისა, მთელს ამ დაწესებულებას სწორედ ეს პრინციპი უდევს საფუძვლად.

— მაგრამ თქვენ ხომ არ შეგიძლიათ მეცნიერი ისევე უბრალოდ გააგზავნოთ, როგორც ეს ავტომატების გაგზავნის დროს ხდება?

— რატომაც არა.

— როგორც კი მეცნიერი ურეჟიმობის პირობებში მოხვდება, მას შეუძლია უარი უთხრას ახალ დამქირავებელს. მაშინ ხომ თავისუფალი იქნება?

— რამდენადმე თქვენ მართალი ხართ. მაგრამ ჩვენ ვითვალისწინებთ, ეგრეთ წოდებულ, „ჩარევას“.

— ეს რაღაა?

— გაგიგონიათ რაიმე ლეიკოტომიაზე?

ჰილარი მოიღუშა.

— ეს რაღაც ოპერაციაა ცოცხალ ტვინზე?

— დიახ. პირველ ხანებში ექიმებმა ის მელანქოლიისგან განსაკურნავად გამოიგონეს. მე განგებ გავურბივარ სამედიცინო ტერმინების ხმარებას, რომ თქვენთვის ადვილი გასაგები იყოს. ოპერაციის შემდეგ პაციენტი თვითმკვლელობაზე აღარ ფიქრობს, დანაშაულის შეგრძნების უნარი აღარ აქვს, უდარდელი ხდება, აღარც სინდისის ქენჯნა აწუხებს, და, უმრავლეს შემთხვევაში, არაჩვეულებრივად მორჩილი ხდება.

— მაგრამ ვეჭვობ, რომ ასეთი ქირურგიული ჩარევა ყოველთვის წარმატებთ დაგვირგვინდეს.

— პირველ ხანებში იყო მარცხის შემთხვევები. მაგრამ ახლა ამ საკითხის შესწავლაში საკმაოდ წინ წავედით. აქ მე სამი ბრწყინვალე ქირურგი მყავს. ისინი დიდი ხანია ტვინზე სხვადასხვა ოპერაციებს აკეთებენ, ექსპერიმენტებს ატარებენ და თანდათან მიაღწიეს ადამიანის ფსიქიკის შეცვლას. ამასთანავე ეს პაციენტი-მეცნიერის მუშაობის ხარისხზე სრულიად არ მოქმედებს.

— მერე, ეს ხომ საშინელებაა?! — წამოიძახა ჰილარიმ. — გაუგონარი საშინელება!

— არა, — მშვიდად შეუსწორა არისტიდისმა. — სასარგებლოა. ეს ერთგვარი სიკეთეც არის. მომისმინეთ: ოპერაციაგადატანილი პაციენტი ყოველთვის კარგ ხასიათზეა. ის ბედნიერია და არავითარი შიში, მწუხარება, რაიმე შფოთიანობა არ აწუხებს.

— ვერ დავიჯერებ, რომ ოდესმე ეს განხორციელდეს! — აღშფოთდა ჰილარი.

— მაპატიეთ, მადამ, თქვენ საკმაოდ კომპეტენტური არა ბრძანდებით, რომ ასეთ საკითხებზე იმსჯელოთ.

— მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ვერ წარმომიდგენია, ყველაფრით კმაყოფილ, თვინიერ ცხოველს რაიმე გენიალურის შექმნა შეეძლოს და მის ნაშრომს ფასი ჰქონდეს.

არისტიდისმა მხრები აიჩეჩა.

— ჭკვიანი ქალი ხართ. შეიძლება თქვენს სიტყვებში რაიმე მნიშვნელოვანი იყოს. ჩვენ ცდებს განვაგრძობთ.

— ცდებს? ადამიანებზე?

— რასაკვირველია. აბა, როგორ! ეს ერთადერთი პრაქტიკული მეთოდია.

— მაპატიეთ, მაგრამ... საიდან მოგყავთ ხალხი? ვინ არიან ისინი?

— ყოველთვის მოიძებნებიან ხელმოცარულები, — წყნარად თქვა არისტიდისმა. — ისინი, ჩვეულებრივ, ის ადამიანები არიან, ვინც ვერ შეეგუა აქაურ პირობებს, ანდა ჩვენთან თანამშრომლობაზე უარს ამბობს. ისინი ექსპერიმენტისთვის კარგ მასალას წარმოადგენენ.

ჰილარიმ აკანკალებული ხელი დივანს ჩაავლო. ეს ყვითელკანიანი მომღიმარი არსება თავისი სისასტიკით ჭკუაზე შლიდა მას. დასკვნებს ფრთხილად აყალიბებდა თავისებური რკინის ლოგიკით. ყველაფერი ეს ჰილარის აძრწუნებდა. არა, მის წინ შეშლილი როდი იყო, გიჟური იდეებით შეპყრობილი არსება! უბრალოდ, იგი მთელ სამყაროს თავისი მრავალრიცხოვანი

ლაბორატორიებისათვის ცდების ჩასატარებელ მასალად აღიქვამდა.

— განა თქვენ მორწმუნე არა ხართ?

— როგორ არა. ღმერთი, რასაკვირველია, მწამს! — არისტიდისმა წარბები აჭიმა. მას ეწყინა ასეთი კითხვა. — მე უკვე გითხარით: მორწმუნე ადამიანი ვარ. უბრალოდ, მე ღმერთმა ძალაუფლება, ფული და შესაძლებლობა დამაწყალობა.

— ბიბლიას თუ კითხულობთ?

— ოჰ, რა თქმა უნდა, მადამ.

— გახსოვთ, მოსემ და არონმა რომ უთხრეს ფარაონს: „გაუშვი ჩვენი ხალხი...“

— მაშასადამე, ფარაონი მე ვარ? — გაიცინა არისტიდისმა. — თქვენ კი მოსე და აარონი ერთ პიროვნებაში გაერთიანებული? ამის თქმა გინდოდათ, მადამ? მაშ, გავუშვა ეს ადამიანები? იქნება საკითხი ერთ რომელიმე პიროვნებას ეხება?

— მე ყველას ვგულისხმობდი, — გაბედულად უთხრა ჰილარიმ.

— მერე, თქვენ არ გესმით, რომ ასეთ საკითხებზე ლაპარაკი წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი. ესე იგი თქვენ ქმარზე არ მთხოვდით?

— აკი თომასისგან არავითარი სარგებლობა არა გაქვთ? თქვენ თვითონ ხომ დარწმუნდით ამაში?

— დიახ, თომას ბეტერტონმა იმედი გამიცრუა. მე მეგონა, რომ თქვენი ჩამოსვლა უშველიდა, მაგრამ მოვტყუვდი. მე იმათი მოხსენების საფუძველზე ვლაპარაკობ, ვინც ვალდებულნი არიან ყველაფერი იცოდნენ.

— ზოგ ჩიტს ტყვეობაში გალობა არ შეუძლია, — უთხრა ჰილარიმ. — ჰოდა, ჩაწერეთ თომასი ხელმოცარულთა სიაში და ნება დართეთ, საიდანაც ჩამოვიდა, იქ წავიდეს.

— არაფერი არ გამოვა, მადამ. მე ჯერ არა ვარ მზად იმისათვის, რომ მთელ ქვეყანას ვაცნობო ჩვენი არსებობა.

— ფიცი ჩამოართვით, რომ კრინტს არ დაძრავს, არც ერთ სულიერს არ ეტყვის.

— ოჰ, როგორ არა! ფიცს კი დადებს, მაგრამ სიტყვას გასტეხს!

— არ გასტეხს! მე გპირდებით! — სასოწარკვეთილმა წამოიძახა ჰილარიმ.

— ამას თქვენ ამბობთ, მისი ცოლი და არა ის. მისი ცოლისაგან ფიცის მიღება არ შემიძლია. თუმცა, რასაკვირველია, — ის ოდნავ გასწორდა და ხელები ერთმანეთს გადააჭდო. — თუმცა მას ისეთი რამის დატოვება შეუძლია, რაც აიძულებს, რომ ენაზე კბილი დააჭიროს.

— მაინც რას გულისხმობთ?

— თქვენს თავს, მადამ... თომას ბეტერტონი რომ წავიდეს და თქვენ მძევლად დარჩეთ... ხელს გაძლევთ ასეთი პირობა?

ჰილარი მოსაუბრის თავს ზემოთ, მოქანავე პორტრეტისაკენ იყურებოდა. არისტიდისმა არ იცოდა, რომ ბეტერტონისათვის ის მძევალი არასოდეს იქნებოდა. ის ხომ თომასისათვის არაფერს წარმოადგენდა. მისი ნამდვილი ცოლი, რომელიც უყვარდა, გარდაიცვალა. იქნებ თომასის განთავისუფლება ჯესეპსა და მის მეგობრებს დაეხმაროს არისტიდისის დანარჩენი მონების

განთავისუფლებაში?

— თანახმა ვარ, — უთხრა მან ბოლოს.

— ოჰ, თქვენ გამბედავი ყოფილხართ, მადამ. თქვენში არის ლოიალობა და ერთგულება. ეს კარგი თვისებებია. რაც შეეხება დანარჩენს... — მან გაღიმა. — ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ.

— ოჰ, არა, არა! — ჰილარიმ უცებ ხელები აიფარა სახეზე, მხრები აუკანკალდა. — ეს არაადამიანურობაა!

— მნიშვნელობას ნურაფერს მისცემთ, მადამ. — არისტიდისის ხმა თითქოს დამამშვიდებლად ჟღერდა. — მე ძალიან მესიამოვნა თქვენთან საუბარი, აგრეთვე ჩემი მიზნებისა და აზრების გაზიარებაც. დიდი ინტერესით გადევნებდით თვალს, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემი ნაამბობი გონებაზე, რომელიც ასეთი ინფორმაციისათვის მზად არ იყო. მე მაინტერესებდა სწორედ ასეთი ჯანსაღი, მდგრადი და, მე ვიტყოდი, ინტელიგენტური გონება როგორ მიიღებდა ამას. თქვენ აღშფოთდით. ყოველივე ამან თქვენში ზიზღი გამოიწვია და მაინც ვთვლი, რომ თქვენი ასეთი გამოცდა არ იყო ცუდი. ჯერ იყო და ჩემი იდეა უარყავით, მერე როცა დაფიქრდით, ბუნებრივად მოგეჩვენათ, თითქოს

მუდამ ასე იყო.

— არა! სულაც არა! — წამოიძახა ჰილარიმ.

— ახლა თქვენ ხასიათი და შეპასუხების სიყვარული გალაპარაკებთ, რაც ჩვეულებრივ ქერათმიანებს ახასიათებთ, — დააყოლა სიცილით არისტიდისმა. — ჩემს მეორე ცოლსაც ქერა თმა ჰქონდა. ის მომხიბვლელი იყო და ვუყვარდი. ახლა ეს უცნაურად ჟღერს, არა? მე ყოველთვის ვაღმერთებდი ქერათმიან ქალებს. თქვენ ძალიან ლამაზი ფერის თმა გაქვთ და კიდევ სხვა რამ, რაც მე მომწონს: ხასიათი, გამბედაობა, საკუთარი აზრი. — მან ამოიოხრა. — მაგრამ გულახდილად უნდა გითხრათ, ქალები, როგორც ქალები დიდი ხანია აღარ მაინტერესებს. აქ ორი გოგონაა, რომლებთანაც ზოგჯერ ვერთობი ხოლმე, მაგრამ მე სულიერ კონტაქტებს ვარჩევ. მერწმუნეთ, მადამ, თქვენმა საუბარმა გამომაცოცხლა...

— მაგრამ, ყოველივე ის, რაც მითხარით, ჩემს ქმარს რომ გავუმხილო? —

შეაწყვეტინა ჰილარიმ.

არისტიდისმა შემწყნარებლურად ჩაიცინა.

— განა ეტყვით?

— არ ვიცი... მე... მე... არ ვიცი.

— ოჰ! — აღმოხდა არისტიდისს და მის წინ მდგომ ჰილარის დაკვირვებით შეხედა. — თქვენ ბრძენი ხართ. თუ ქალმა რაიმე იცის, მან მისი დამალვაც უნდა იცოდეს. მაგრამ ახლა თქვენ დაიღალეთ და, გარდა ამისა, ცუდ განწყობილებაზეც დადექით. ხანდახან, როდესაც აქ ჩამოვალ ხოლმე, ჩემთან მოგიყვანენ და ბევრ რამეზე ვისაუბრებთ, ვიკამათებთ.

— ნება მომეცით, აქაურობას გავცილდე! — ჰილარიმ ვედრებით გაუწოდა ხელები არისტიდისს. — ოჰ, გეხვეწებით, ნება დამრთეთ! თუ გინდათ, თქვენთან ერთად წამოვალ, გთხოვთ, გეხვეწებით!

არისტიდისმა უარის ნიშნად თავი გააქნია. სახეზე თანაგრძნობა ეტყობოდა, მაგრამ სადღაც თვალის სიღრმეში, განკიცხვაც იკითხებოდა.

— რა პატარა ბავშვივით ლაპარაკობთ, — უსაყვედურა მან. — რანაირად შეიძლება თქვენი აქედან გაშვება? როგორ დავუშვებ, რომ ყველაფერი, რაც აქ ნახეთ, მთელ დედამიწას

მოედოს?

— არ დამიჯერებთ, თუ დავიფიცებ, რომ არასოდეს არავისთან არ ვიტყვი არც ერთ სიტყვას?

— არა, არ დავიჯერებ, — მშვიდად მიუგო არისტიდისმა. — დიდ ქარაფშუტობას ჩავიდენდი, რომ ასეთ სიტყვებს დავნდობოდი.

— აქ დარჩენა რომ არ მინდა! არ მინდა ამ ციხეში ცხოვრება! აქედან გასვლა მინდა!

— მოიცადეთ, აქ რომ ქმარი გყავთ? საგანგებოდ მისთვის ჩამოგიყვანეთ და ისიც თქვენი ნებით.

— მე ხომ არ ვიცოდი, სად მივდიოდი, ამას ვერც კი წარმოვიდგენდი!

— სწორია! — წყნარად მიუგო არისტიდისმა, — თქვენ ვერ წარმოიდგენდით. დამიჯერეთ, რომ ამ პირობებში, როგორშიც თქვენ მოხვდით, უფრო სასიამოვნოა ყოფნა, ვიდრე იქ, საიდანაც მოხვედით. აქ ყველაფერი გაქვთ: ფუფუნება, შესანიშნავი პირობები, ყოველგვარი გართობა...

ის წამოდგა და მსუბუქად მოუთათუნა მხარზე ხელი ჰილარის.

— ყველაფერი მოგვარდება, — ღიმილით დააყოლა მან. — ქერათმიანი ჩიტი მიეჩვევა გალიას. თუმცა, — ჩაურთო მან, — შესაძლოა ისეთი საინტერესო ადამიანი აღარ იყოს.

მეთვრამეტე თავი

— დეპეშაა! — მხიარულად წამოიძახა ლებლანკმა. — როგორც იქნა, მივიღეთ.

ლებლანკმა სასწრაფოდ გახსნა ოთხად მოკეცილი ფურცელი და აღელვებით თქვა:

— ჩვენი ერთ-ერთი მფრინავის მოხსენებითი ბარათია. მთელი ღამე იმ ტერიტორიის შესწავლას მოანდომეს, პილოტმა ნათება შენიშნა — ეს იყო პირობითი კოდის სიგნალი, რომელიც ორჯერ გამეორდა. აი, ტექსტიც.

ჯესეპს წინ ედო დეპეშა: „ლეპროზ“.

— „ლეპროზ“?.. — გაიმეორა ჯესეპმა. — ლეპროზორიუმი? ლებლანკმა დიდი რუკა გაშალა.

— მართლა ასეა: მთებში არის აშენებული ძლიერ ცნობილი სამედიცინო მეცნიერულ-კვლევითი დაწესებულება. ის დააარსა და აფინანსებს ერთი უმდიდრესი ფილანტროპი. ცნობილია, რომ იქ ტარდება მეტად მნიშვნელოვანი მუშაობა კეთრის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის. ამ დაწესებულების რეპუტაცია მეტად მაღალ დონეზეა შეფასებული. მის მფარველად თვით რესპუბლიკის პრეზიდენტი ითვლება.

— რას იზამ, — თქვა ჯესეპმა მხნედ. — ორგანიზაცია უნაკლოდ გამოუყენებიათ!

— სახელმწიფო ინსპექტორებისათვის მისი კარი ყოველთვის ღიაა. მათი მუშაობით

დაინტერესებული ექიმებიც იქაურობის ხშირი სტუმრები არიან...

— და მხოლოდ იმას ხედავენ, რისი დანახვის უფლებაც აქვთ... მეტს არაფერს! ყველაზე უფრო მოხერხებული ნიღაბი, რომლის ქვეშაც შეიძლება საეჭვო მოღვაწეობა იმალებოდეს — ეს არის ხელოვნურად შექმნილი ატმოსფერო უმაღლესი რესპექტაბელობით.

— შეიძლება აქ მხოლოდ ტვირთვადასაცლელი პუნქტია, — ვარაუდი გამოთქვა ლებლანკმა.

— არა მგონია... იქ, ასე ვთქვათ, ბოლო პუნქტი უფრო უნდა იყოს. მედიცინის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კეთრით დაავადებულებს ასეთ იზოლაციას უკვე აღარ უკეთებენ.

— ეგ განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ აქ ფეოდალური წყობაა.

— მართალი ხართ, თვითონ სიტყვა „კეთრი“ ჩვენში შუა საუკუნეების დროინდელ ასოციაციას იწვევს, როცა კეთროვანი ზანზალაკშებმული დადიოდა და ამით ჯანმრთელს აფრთხილებდა, მოვდივარო. დიახ, გულმოწყალებისა და ქველმოქმედების საფარს მიღმა ყველაფრის ჩადენა შეიძლება. მართლა, ლებლანკ, ვინ არის მაგის პატრონი? რა გვარია, ვინც ეგ დაწესებულება ააშენა და დააფინანსა?

— ეს ადვილი დასადგენია. მოიცადეთ ერთი წუთით! — ლებლანკმა მაგიდაზე დადებულ ოფიციალურ ცნობარში ჩაიხედა. — კერძო დაწესებულებაა. თანამფლობელი რამდენიმე

პიროვნებაა. მათ სათავეში უდგას არისტიდისი. რა თქმა უნდა! იცით, ვინ არის ის? ის ზღაპრულად მდიდარია და ყოველთვის სიამოვნებით აფინანსებს ყოველგვარ საქველმოქმედო წამოწყებებს. მან დააარსა აგრეთვე საავადმყოფოები პარიზსა და სევილიაში.

— გასაგებია. მოდით ახლა ყველაფერს თავი მოვუყაროთ. ამრიგად, უდაბნოში არსებული ეს სამედიცინო დაწესებულება არისტიდისს ეკუთვნის. — თქვა ჯესეპმა და ჩაფიქრდა: — ეს ის არისტიდისია, ფეცში რომ შეხვდა ოლივია ბეტერტონს.

— არისტიდისი!... — აღტაცებით წამოიძახა ლებლანკმა. — გეფიცებით, ნამდვილად აქ არის ძაღლის თავი დამარხული! ეს ფანტასტიკური ამბავია!

— ნამდვილად...

— თქვენ გესმით, ეს რას ნიშნავს?! — ლებლანკი გახარებით იქნევდა ხელებს. — ამ არისტიდისს ყველგან მიუწვდება ხელი! ის დგას ბანკების, მთავრობების, მრეწველობის, შეიარაღებისა და ტრანსპორტის ზურგს უკან. დროდადრო ის თავის ესპანურ ციხე—კოშკში ქაღალდის ნაგლეჯზე რამდენიმე სიტყვას დაჯღაბნის ხოლმე და იატაკზე მოისვრის. მუხლებზე დაჩოქილი მდივანი ნაგლეჯს აიღებს და... რამდენიმე საათის შემდეგ პარიზში რომელიმე მსხვილი ბანკირი ტყვიას დაიხლის შუბლში. აი, ასეა საქმე!

— ოჰ, თქვენ ყველაფერი საოცარი დრამატიზმით აღწერეთ, ლებლანკ! — წამოიძახა ჯესეპმა. — ახლა საქმე ისაა, რა ვიღონოთ?

ლებლანკს სახე მოეღრუბლა.

— ეს არც ისე იოლი საქმეა... მაგრამ, ვაითუ ვცდებით? ამის გაფიქრებაც კი საშინელებაა! ხოლო თუ სწორ გზას ვადგავართ, ჯერ კიდევ მოგვიხდება ოფლის

დაღვრა სამხილზე მუშაობისას... მაგრამ შეიძლება ზემოდან გვიბრძანონ და შეგვაწყვეტინონ გამოძიება. გესმით? ერთი სიტყვით, ეს ძალზე ძნელი იქნება, მაგრამ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, საქმე მაინც უნდა გავხსნათ! — თქვა მან და ნიკოტინისგან გაყვითლებული საჩვენებელი თითი ჰაერში ასწია.

მეცხრამეტე თავი

ოთხმა ავტომანქანამ ძლივს აიარა აღმართი და რკინის მაღალ ჭიშკართან შეჩერდა. პირველ მანქანაში იჯდა საფრანგეთის მინისტრი და ამერიკის ელჩი, მეორეში ინგლისის კონსული, პარლამენტის წევრი და პოლიციის შეფი, მესამეში ყოფილი სამეფო კომისიის ორი წევრი და საკმაოდ ცნობილი ჟურნალისტი, მეოთხეში ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი ადამიანები. მაგრამ თავიანთ წრეში საკმაოდ პატივცემულნი. ესენი იყვნენ: მუსიე ლებლანკი და მისტერ ჯესეპი. ოსტატურად გაწვრთნილი მძღოლები სასწრაფოდ გადმოვიდნენ მანქანებიდან და კარი გაუღეს საპატიო სტუმრებს.

— იმედი მაქვს, — ჩაილაპარაკა შეშინებულმა მინისტრმა, — მათთან ურთიერთობა აუცილებელი არ იქნება.

— ნუ გეშინიათ, მუსიე მინისტრო! — მიმართა ერთ-ერთმა თანმხლებმა პირმა, — სიფრთხილის ყოველგვარი ზომებია მიღებული. ასეც რომ არ იყოს, ინსპექტირება შორიდანაც შეიძლება. ხომ სწორია?

უზარმაზარი ჭიშკარი ჭრიალით გაიღო. მათ შესახვედრად რამდენიმე კაცი გამოვიდა.

— როგორ ბრძანდება ჩემი ძვირფასი არისტიდისი? — იკითხა მინისტრმა.

— მისტერ არისტიდისი მხოლოდ გუშინ ჩამოფრინდა ესპანეთიდან, — მიუგო დირექტორის მოადგილემ, — შენობაში გელოდებათ. ნება მომეცით, მივაცილოთ.

ყველა მოადგილეს გაყვა.

მინისტრი შიშით იყურებოდა მარჯვნივ, მსხვილი ბადისაკენ, რომლის იქით კეთროვანები სეირნობდნენ.

არისტიდისმა სტუმრები თავის მდიდრულ სასტუმროში მიიღო. დაიწყო მისალმებები, ქათინაურები, წარდგენები. თეთრ სამოსში გამოწყობილ მუქკანიან მსახურებს მაგარი სასმელები შემოჰქონდათ.

— აქ მშვენიერი ადგილი ყოფილა, სერ! — მიმართა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა არისტიდისს.

— დიახ, მე ამით ვამაყობ, — გრძნობით ჩაილაპარაკა არისტიდისმა და აღმოსავლურ ყაიდაზე ხელები გულზე მიიდო. — ეს არის, ასე ვთქვათ, კაცობრიობისათვის მიძღვნილი ჩემი უკანასკნელი საჩუქარი, ჩემი გედის სიმღერა. არავითარი ხარჯის წინაშე არ დამიხევია უკან.

— შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ეს ნამდვილად ასეა, — გაისმა ერთ-ერთი ექიმის ხმა. — ლეპროზორიუმი პროფესიონალი ექიმის ოცნებაა. ჩვენთან, შტატებში სამეცნიერო მუშაობა მაღალ დონეზეა, მაგრამ რაც აქ ვნახე, შედარებაც კი არ შეიძლება! თან შესანიშნავ შედეგებს ვაღწევთ!

მისი ენთუზიაზმი გადამდები აღმოჩნდა.

— ჩვენ მადლიერნი უნდა ვიყოთ საკუთარი ფულით ასეთი სამკურნალო დაწესებულების შექმნისათვის, — აღნიშნა ელჩმა და არისტიდისს თავაზიანად დაუკრა თავი.

— მაღალი ღმერთი მოწყალეა, — მოკრძალებით მიუგო არისტიდისმა. — გთხოვთ, პატივი დამდოთ და თქვენთვის გამზადებულ საუზმეზე მეწვიოთ. მასპინძლობას დოქტორი ვან ჰეიდემი გაგიწევთ, რაკი მე დიეტაზე ვარ და საერთოდ ძალიან ცოტას გეახლებით. შემდეგ შეგიძლიათ მთელი შენობის დათვალიერება.

სუფრა დიდებული იყო და მინისტრმაც ქება არ დააყოვნა.

— ჩვენი მოკრძალებული საშუალებებით ვკმაყოფილდებით, — განაცხადა ვან ჰეიდემმა. — ახალი ხილი და ბოსტნეული კვირაში ორჯერ მოაქვთ თვითმფრინავებით, ასევე ხორცი და ფრინველი. აქ მძლავრი სამაცივრო აგრეგატები გვაქვს.

სუფრაზე თითოეული თავი კერძისათვის შესაფერისი ღვინო მოჰქონდათ. ჩინებული ღვინოები იყო. ბოლოს მსახურებმა სტუმრებს თურქულ ყაიდაზე დამზადებული ყავა მოართვეს.

შემდეგ სტუმრებს შენობის საინსპექციო შემოვლა შესთავაზეს. ორი საათის განმავლობაში ყველა სტუმარი ათვალიერებდა იქაურობას. მინისტრი უაღრესად კმაყოფილი დარჩა, როცა შემოვლა დამთავრდა. ის გააოცა ვეებერთელა ქათქათა მბრწყინავმა ლაბორატორიებმა და გრძელმა თეთრმა დერეფნებმა. მინისტრი დაქანცა სამეცნიერო ინფორმაციის დიდმა რაოდენობამ. ზოგიერთი ინსპექტორი კი საკმაოდ კვიმატ კითხვებს იძლეოდა. დოქტორი ვან ჰეიდემი ხალისით პასუხობდა.

ლებლანკი და ჯესეპი აქ როგორც ოფიციალური პირები ისე ჩამოვიდნენ. პირველი — მინისტრის თანმხლები იყო, მეორე — ინგლისის კონსულისა. როცა შესაფერისი მომენტი იპოვეს, ჯესეპი და ლებლანკი ცოტათი ჩამორჩნენ. ინგლისელმა თავის ძველებურ მოწიკწიკე საათს დახედა და დრო დაინიშნა.

— აქ არავითარი კვალი არა ჩანს, არავითარი, — მღელვარედ უჩურჩულა მან ჯესეპს.

— აბა, სად არის მტკიცებანი?.. ჰო, ყველანი საშინელი სკეპტიკოსები არიან: მინისტრიც, ამერიკის ელჩიც და ინგლისელი კონსულიც. ისინი ერთხმად ამტკიცებენ არისტიდისი წმინდანიაო.

— მშვიდად, ლებლანკ, მშვიდად, დამარცხება ჯერ ადრეა. მე აქ მაქვს ჰეიგერის ძალზე მგრძნობიარე მრიცხველი.

— მაგისი არაფერი გამეგება.

— დიდად არც მე გამეგება. ეს კი ვიცი, რომ მრიცხველი, რადიოაქტივობის ოდნავ აწევაზე რეაქციას იძლევა. ახლა მე უკვე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი აქ არიან. შენობა ისეა აგებული, რომ უცხო ადამიანს თავგზა აებნას. ყველა დერეფანი და ოთახი ერთნაირია. სრულიად შეუძლებელია გარკვევა, სად რა არის.

— კარგი იქნებოდა, ახლა რომ მიდამოს გულქანდის მარგალიტებისათვის მიგვემართა, — ხელმოცარული კაცის დამცინავობით ჩაილაპარაკა ლებლანკმა.

— კატა-თაგვობანას თამაში ჯერჯერობით არ დამთავრებულა, — გულკეთილად მიუგო ჯესეპმა. — მრიცხველი მუშაობს, გესმით?..

— ღმერთო ჩემო, განა ეს საკმარისია მათ დასარწმუნებლად?

— მართლაც არ არის საკმარისი, — ფიქრიანად თქვა ჯესეპმა.

— ამ ადამიანებს არ უნდათ, რომ გვერწმუნონ, თავიდანვე უხალისოდ შეხვდნენ ამ ამბავს. კონსულიც კი ძალიან ფრთხილობს. თქვენი ქვეყნის მთავრობა არისტიდისისგან დავალებულია, ჩვენსაზე ხომ აღარაფერს ვამბობ, — მხრები აიჩეჩა ლებლანკმა.

— სახელმწიფო ჩინოვნიკებსა და დიპლომატებს ჩვენ ვერ დავენდობით, — უთხრა ჯესეპმა. — მათ ხელფეხი აქვთ შეკრული. ჩვენ პრესა გვიდგას მხარში ჟურნალისტებს

სენსაციის მიმართ მშვენიერი ყნოსვა აქვთ. ამ საქმის მიფუჩეჩების უფლებას არავის მისცემენ. გარდა ამისა, არის კიდევ ერთი პიროვნება, რომლისაც მჯერა. არ შეგინიშნავთ, ხანშიშესული ჯენტლმენი, ცოტა ყურს რომ აკლია?

— როგორ არა, მივაქციე ყურადღება, კარგი ბეხრეკი ვინმეა.

— ხომ ყრუა და უძლური, მაგრამ ამ საქმით დაინტერესებულია. მოხუცი უმაღლესი სასამართლოს ყოფილი წევრია. ძველებურად გამჭრიახი და მახვილი გონება აქვს. ეს კაცი უმალ გრძნობს სიყალბეს. მისთვის სამხილი მტკიცების საფუძველია.

სტუმრებს კვლავ მაგარი სასმელები შესთავაზეს. მინისტრმა არისტიდისის მიმართ უღრმესი მადლობის სიტყვა წარმოთქვა. მერე სასწრაფოდ დაუმატა:

— ახლა, ჯენტლმენებო, დროა გამოვეთხოვოთ ჩვენს გულითად მასპინძელს. ყველაფერი ვნახეთ, რისი ნახვაც კი შეიძლებოდა. — მან როგორღაც მრავალმნიშვნელოვნად გაუსვა ხაზი ამ სიტყვებს. — აქ ყველაფერი ჩინებულია! ეს არის პირველი კლასის სამედიცინო დაწესებულება. ნება მიბოძეთ, კმაყოფილება გამოვთქვა ჩვენი თავაზიანი მასპინძლის სტუმართმოყვარეობის გამო და აგრეთვე მივულოცოთ მისი თანამშრომლების ბრწყინვალე შედეგები. ჩვენ გემშვიდობებით და მივდივართ. ხომ ასეა?

ყველაფერი, რასაც მინისტრი ამბობდა, სავსებით შეესაბამებოდა ეთიკის ნორმებს და გარემოს. მისი მზერა, რომელიც აქ მყოფებს მოავლო, თითქოს თავაზიანობას გამოხატავდა მხოლოდ. სინამდვილეში კი მის სიტყვებში თხოვნა უფრო იგრძნობოდა. ეს სიტყვები ასე შეიძლებოდა გაგეგოთ: ხომ ხედავთ, ჯენტლმენებო, აქ საეჭვო არაფერია და ახლა დამშვიდებული სინდისით შეგვიძლია წავიდეთო.

თავაზიანი სიჩუმე უცებ ხმამაღალმა ხმამ დაარღვია. ეს ჯესეპი იყო.

— თქვენი ნებართვით მე ერთი რამ მინდოდა მეთხოვა, — განაცხადა მან.

— ოო, რასაკვირველია, რასაკვირველია... მისტერ ჯესეპ, ბრძანეთ! — გამოეხმაურა ვან ჰეიდემი.

— ჩვენ ბედნიერება გვქონდა შევხვედროდით თქვენს მრავალრიცხოვან თანამშრომლებს, — თქვა მან. — აქ, თქვენთან, იმყოფება ერთი ჩვენი ძველი მეგობარი. მინდოდა, ორიოდ სიტყვით მაინც შევხმიანებოდი მას, შეიძლება?

— თქვენი მეგობარი? — თავაზიანად იკითხა ვან ჰეიდემმა.

— უფრო სწორად, აქ ორი მეგობარი მყავს, — შეასწორა ჯესეპმა. — მეორე ქალია,

მისის ბეტერტონი. მე ვიცი, რომ მისი ქმარი აქ მუშაობს, თომას ბეტერტონი. უწინ ჰარველში მუშაობდა, უფრო ადრე კი ამერიკაში ცხოვრობდა. წასვლამდე ძალიან მინდოდა მათთან გამოლაპარაკება.

ვან ჰეიდემს მშვენიერი რეაქცია ჰქონდა. მან ზრდილობიანი გაოცებით დააჭყიტა თვალები. მერე ჩაფიქრდა თითქოს იგონებსო.

— ბეტერტონი... მისის ბეტერტონი... არა, აქ ასეთი არავინ არა გვყავს.

— გარდა ამისა, — აუღელვებლად განაგრძო ჯესეპმა, — აქ არის კიდევ ერთი ამერიკელი, ენდრიუ პიტერსი, ის მგონი ქიმიის დარგში გამოკვლევებზე მუშაობს, — და ჯესეპი თავაზიანად მიუბრუნდა ამერიკის ელჩს.

ამერიკის ელჩს, დიპლომატიური ნიჭის გარდა, მტკიცე ხასიათიც ჰქონდა. მისი თვალები ჯესეპის თვალებს შეეფეთა, დიპლომატს თითქმის მთელი წუთი დასჭირდა, რომ შესაფერისი პასუხი მოეძებნა.

— დიახ, მართალია, — გაისმა ბოლოს მისი ხმა. — ენდრიუ პიტერსი. მისი ნახვა მეც მინდოდა.

ვან ჰეიდემის გაოცება იზრდებოდა. ჯესეპმა ცერად გახედა არისტიდისს. მის ყვითელ, დანაოჭებულ სახეზე ვერაფერს ამოიკითხავდით — ვერც გაოცებას, ვერც შეშფოთებას. გეგონებოდათ, მას არც კი აინტერესებდა, რაც მის გარშემო ხდებოდა.

— ენდრიუ პიტერსი? ვეჭვობ, სერ, რომ თქვენ არასწორი მონაცემები გაქვთ. ასეთი გვარის აქ არავინ არის. მე არასოდეს გამიგია.

— იქნება არც თომას ბეტერტონის სახელი გაგიგონიათ?

ვან ჰეიდემი ერთ წამს შეყოყმანდა. არისტიდისისკენ შემობრუნება უნდოდა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი.

ერთ-ერთი ჟურნალისტი მარჯვედ სწვდა ნამალავი მამლის კუდს.

— თომას ბეტერტონი! ო, ეს იყო სენსაცია! ექვსი თვის წინათ ის სადღაც გაქრა. დიახ, დიახ! მთელს ევროპულ პრესაში არშინიანი[2] სათაურები იყო დაბეჭდილი! თქვენი აზრით, მთელი ეს ხანი ის აქ იყო?

— არა! — ვან ჰეიდემის ხმა მკვახედ ჟღერდა. — მე მგონი ვიღაცამ არასწორი ინფორმაცია მოგაწოდათ. ეს რაღაც მისტიფიკაციაა! დღეს თქვენ ყველა თანამშრომელი გაიცანით, ყველა და ყველაფერი ნახეთ!

— მე კი მგონია, ყველა არ გვინახავს, — შეეპასუხა ჯესეპი, — აქ არის აგრეთვე ახალგაზრდა მეცნიერი გვარად ერიქსონი, დოქტორ ლუი ბარონი და შესაძლოა მისის კელვინ ბეიკერიც, — დაუმატა მან.

— აჰა! — თითქოს დოქტორ ვან ჰეიდემმა რაღაც გაიხსენაო. — თქვენ იმ ადამიანების გვარები დაასახელეთ, რომლებიც მოროკოში საავიაციო კატასტროფის დროს დაიღუპნენ. დიახ, დიახ, გამახსენდა. სწორედ მაშინ დაიღუპნენ ერიქსონი და დოქტორი ბარონი. ოჰ, ეს დიდი დანაკლისი იყო საფრანგეთისათვის. ისეთ მეცნიერს, როგორიც ლუი ბარონი იყო, ვერავინ შეცვლის. — მან ნაღვლიანად გააქნია თავი. — რაც შეეხება მისის კელვინ ბეიკერს, მასზე ვერაფერს გეტყვით. დიახ, ეს მეტად სამწუხარო შემთხვევა იყო. — ვან ჰეიდემმა ჯესეპს შეხედა. — ნამდვილად არ მესმის მუსიე, ასე დაჟინებით რატომ ამბობთ, თითქოს ეს ხალხი

აქ იყოს, შესაძლოა დოქტორ ბარონმა ოდესმე თქვა, რომ ჩვენ მოგვინახულებდა, თუკი ჩრდილო აფრიკაში მოხვდებოდა. ალბათ მისმა ნათქვამმა გამოიწვია ეს გაუგებრობა.

— თქვენი აზრით მე ვცდები და არც ერთი დასახელებული პიროვნება აქ არ არის?

— რანაირად, პატივცემულო სერ, რანაირად შეიძლება ისინი ლეპროზორიუმში იყვნენ, თუკი დაიღუპნენ? ალბათ გვამებსაც აღმოაჩენდნენ.

— აღმოჩენილი გვამები ისე იყო დამწვარი, რომ იდენტიფიკაცია შეუძლებელი იყო,

— ბოლო სიტყვები ჯესეპმა ტკეპნით წარმოთქვა.

უკან უცებ რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. წმინდა და სუსტმა ხმამ იკითხა:

[2] არშინი - ძველებური რუსული სიგრძის საზომი, უდრის 16 ვერშოკს (71,12 სანტიმეტრს); იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

— თუ სწორად გაგიგეთ, თქვენ თქვით, რომ იდენტიფიკაცია შეუძლებელი იყოო?

ლორდ ალვერსტონი პასუხის მოლოდინში წინ წამოიწია და ხელი ყურთან მიიდო. მსხვილი წარბების ქვემოდან ჯესეპს პატარა გამჭრიახი თვალებით შესცქეროდა.

— დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ, — მიუგო ჯესეპმა. — და მე მაქვს იმის საფუძველი, რომ ვირწმუნო, ეს ხალხი ავიაკატასტროფის დროს არ დაღუპულან.

— ირწმუნოთ? — შეეკითხა ლორდ ალვერსტონი.

— მე ვამბობ, რომ გამაჩნია იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ ცოცხლები არიან.

— დამადასტურებელი საბუთები? რა საბუთებია, მისტერ ჯესეპ?

— მისის ბეტერტონს ეკეთა ყალბი მარგალიტის მძივი. ერთი თვალი ნაპოვნია თვითმფრინავის აფეთქების ადგილიდან ნახევარი მილის მოშორებით.

— საიდან ამტკიცებთ, რომ თქვენს მიერ ნაპოვნი მარგალიტი მისის ბეტერტონს ეკუთვნის?

— საქმე ისაა, რომ ყოველ თვალზე სპეციალური ნიშანია გაკეთებული, რომლის დანახვა შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია. ის მხოლოდ ძლიერ ლუპაში ჩანს.

— ვინ გაუკეთა ეს ნიშანი?

— მე გავუკეთე თქვენო ბრწყინვალებავ, ჩემი კოლეგის მუსიე ლებლანკის თანდასწრებით.

— გქონდათ რაიმე საბაბი ნიშნის დასადებად?

— დიახ, მე ვიმედოვნებდი, რომ ეს ნიშანი თომას ბეტერტონისაკენ მიმავალ გზაზე დამაყენებდა... ამის შემდეგ, — განაგრძო ჯესეპმა, — კიდევ ორი თვალი იპოვეს ორივე თვითმფრინავის აფეთქებიდან შორიახლოს იმ მიმართულებით, სადაც ახლა ჩვენა ვართ. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აგვიწერეს ექვსი მგზავრი, რომლებიც საოცრად ჰგავდნენ ვითომდა კატასტროფაში დაღუპულებს. ერთ-ერთი მგზავრი ჩვენ წინასწარ მოვამარაგეთ ფოსფორის საღებავიანი ხელთათმანით. მის მიერ დადებული ნიშანი აღმოვაჩინეთ იმ ავტომანქანაზე, რომლითაც ეს მგზავრები წაიყვანეს გზის ერთ მონაკვეთზე.

— ეს ძალიან საინტერესოა, მშვენიერი საბუთებია, — აღნიშნა ლორდ ალვერსტონმა თავისი სუსტი ხმით.

არისტიდისი, როგორც იქნა შეინძრა თავის ვეებერთელა სავარძელში.

— სად შენიშნეს უკანასკნელად ამ მგზავრების ნაკვალევი? — იკითხა მან.

— აეროდრომზე, — მიუგო ჯესეპმა და ზუსტი კოორდინატები დაუსახელა.

— ეს ხომ მრავალი მილით არის აქედან დაშორებული, — შეეპასუხა არისტიდისი. — რა საფუძველზეა დამყარებული თქვენი რწმენა, რომ ისინი აქ იმყოფებიან?

— ჩვენ სერიოზული საბუთები გვაქვს, სერ. პირველი ის, რომ ერთ-ერთმა ჩვენმა საგამომძიებო თვითმფრინავმა მიიღო ცნობა, რომ პიროვნებები, რომელთაც ვეძებთ, ლეპროზორიუმში არიან.

— უცნაურია, — თქვა არისტიდისმა, — ძალიან უცნაური. უეჭველად ვიღაცამ განზრახ შეგიყვანათ შეცდომაში. ეს ხალხი აქ არ არის. — ის ნელა, მშვიდად და მტკიცედ ლაპარაკობდა. — თქვენ მოქმედების სრული თავისუფლება გაქვთ, ჯენტლმენებო. თუ გნებავთ, გაჩხრიკეთ აქაურობა.

— საეჭვოა, რომ ამნაირად რამეს მივაგნოთ. — შეეპასუხა ჯესეპი. — მაგრამ მე ვიცი, საიდან უნდა დავიწყო ძებნა.

— მართლა? ნეტა საიდან? — ვან ჰეიდემის ხმა თანდათან ჰკარგავდა თავაზიანობას.

— მეორე ლაბორატორიიდან უნდა გადაითვალოს მეოთხე დერეფანი, შემდეგ მარცხნივ უნდა გაუხვიო და პირდაპირ ბოლომდე იარო.

ვან ჰეიდემმა მკვეთრი მოძრაობა გააკეთა. აწკარუნდა ჭიქები, რომლებიც მის წინ იდგა. ჯესეპს, რომელიც დაჟინებით ადევნებდა მას თვალს, ჩაეცინა.

— როგორც ხედავთ, დოქტორო, ჩვენ ცუდად არა ვართ ინფორმირებულები.

— სისულელეა! — დაიყვირა ვან ჰეიდემმა. — წმინდა წყლის სისულელე! თქვენი აზრით აქ ხალხს თავისი სურვილის გარეშე ვაკავებთ? მე კატეგორიულად უარვყოფ ამას!

— ჩვენ მგონი ჩიხში მოვემწყვდიეთ, — ჩაილაპარაკა მინისტრმა, რომელიც ეტყობა ცუდად გრძნობდა თავს.

— საინტერესო წინადადებაა, — აბსოლუტურად მშვიდად თქვა არისტიდისმა. — მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია. — მან საათს დახედა. — ბოდიშს ვიხდი, ჯენტლმენებო, მაგრამ თქვენი წასვლის დროა. აეროდრომამდე შორს არის და თუ თქვენი თვითმფრინავი დააგვიანებს, ერთი განგაში ატყდება.

ლებლანკი და ჯესეპი გრძნობდნენ, რომ არისტიდისმა ბრძოლაში ჩართო მძიმე არტილერია — თავისი წონა, ავტორიტეტი. ვერც ერთი საპატიო სტუმარი მას წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და თუ ვინმე რამეს გაბედავდა, ეს ომის გამოცხადებას ნიშნავდა. მინისტრი უკვე დიდი ხანია დანებდა. პოლიციის შეფი მხოლოდ იმისკენ ილტვოდა, რომ მინისტრთან უთანხმოება არ მოსვლოდა. ამერიკის ელჩი საქმის მსვლელობით აშკარად უკმაყოფილო იყო, მაგრამ დიპლომატიური მოსაზრების გამო წინააღმდეგობას ვერ ბედავდა.

არისტიდისმა ეს იცოდა. დიპლომატები მის ხელში იყვნენ. რაც შეეხება ჟურნალისტებს, არც მათი მოსყიდვა იყო ძნელი, რაც არ უნდა დაეფასებინათ თავიანთი თავი. რჩებოდნენ ჯესეპი, ლებლანკი და ლორდ ალვერსტონი. ამათ ვერ მოისყიდიდი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს...

— მე მგონი, — ბოლოს ნელა წამოიწყო ალვერსტონმა, — ჩვენ სულაც არ უნდა ვჩქარობდეთ, რადგან ჩვენ წინ ისეთი საქმეა, რომელიც გადაუდებელ გამოძიებას საჭიროებს. აქ სერიოზული ბრალდებები გამოითქვა და სამართლიანობა მოითხოვს, რომ გამოინახოს ყოველგვარი საშუალება ამ ბრალდებების უარსაყოფად.

— აქ სულელური ბრალდებები იყო დასახელებული, — ასევე მშვიდად წარმოთქვა არისტიდისმა. — რომლებიც არავითარი საბუთებით არ მტკიცდება.

— დიახაც რომ მტკიცდება! ყველამ იმ ხმისკენ მიიხედა.

მსახურთა ჯგუფს კოლორიტული გარეგნობის მაროკოელი გამოეყო. მას ოქრომკედით ნაქარგი თეთრი სამოსი ეცვა, თავზე თეთრი ჩალმა ეხურა, პირისახე შავად უბზინავდა. ყველა დამსწრე გაოცებით მიაჩერდა მას.

— მე ვადასტურებ, რომ ყველაფერი, რაც ბატონებმა არისტიდისმა და ვან ჰეიდემმა თქვეს, სიცრუეა! ისინი უარყოფენ, რომ ენდრიუ პიტერსი, ტორკვილ ერიქსონი, მისტერ და

მისის ბეტერტონები, აგრეთვე დოქტორი ლუი ბარონი ლეპროზორიუმში არიან. დიახ, ისინი აქ არიან და მე მათი სახელით ვლაპარაკობ,

— მან ნაბიჯი გადადგა ამერიკის ელჩისაკენ, — ალბათ ჩემი ცნობა გაგიჭირდებათ ამ სახით, სერ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე ენდრიუ პიტერსი ვარ.

რაღაცნაირი ყრუ, გველისმაგვარი სისინი გაისმა. ეს იყო არისტიდისი, მაგრამ მან თავი შეიკავა. ის უფრო ღრმად ჩაჯდა სავარძელში და გაქვავდა, სრულიად უგრძნობი გახდა.

— აქ ძალიან ბევრი მეცნიერია, — განაგრძო პიტერსმა, — მაგალითად, დოქტორი შვარცი მიუნჰენიდან, ნიდჰეიმი, ცნობილი ინგლისელი მეცნიერები ჯეფრი და დევიდსონი, ამერიკის შეერთებული შტატებიდან პოლ ვეიდი. აქ ჩამოიყვანეს იტალიელი მეცნიერები რიკოჩეტი და ბიანკო, აქ მუშაობს დოქტორი მერჩისონი. ამათ ყველას ამ შენობაში მალავენ. უბრალო თვალით ძნელია გარკვევა, სად არის შენობის იზოლირებული ნაწილი. აქ საიდუმლო ლაბორატორიების მთელი ქსელია. მათთვის საგანგებოდ გამოყოფილი შენობები აგებულია კლდეების შიგნით...

— ოოჰ, ღმერთო! — უცებ ამოიგმინა ამერიკის ელჩმა.

ის ძალიან ყურადღებით ათვალიერებდა აღმოსავლურ ტანსაცმელში გამოწყობილ დიდებულ ფიგურას. ბოლოს ელჩმა ვეღარ მოითმინა და ახარხარდა.

— გამოგიტყდებით, რომ ვერც ახლა გიცნობდით! — ძლივს ჩაილაპარაკა მან.

— ეს ძალიან უბრალოდ არის. პარაფინის ინექცია ტუჩებს ადიდებს, სახე და სხეული შავი საღებავითაა დაფარული.

— კეთილი. თუ თქვენ ნამდვილად პიტერსი ხართ, მითხარით ნომერი, რითაც ირიცხებით ძ. ფ. ბ - ში.

— 813471, სერ!

— სწორია. ახლა მითხარით თქვენი ნამდვილი გვარის ინიციალები.

— ბ. ა. პ. გ., სერ.

ელჩი თავის დაქნევით ადასტურებდა.

— ეს კაცი ენდრიუ პიტერსია. მე ამას ვამტკიცებ. — და ის მინისტრს მიუბრუნდა. მინისტრმა ყოყმანით ჰკითხა პიტერსს:

— თქვენ ამბობთ, რომ აქ ადამიანები თავისი სურვილის წინააღმდეგ არიან?

— დიახ, მეცნიერთა უმრავლესობა აქ ძალდატანებით არის დაკავებული.

— თუ ასეა, — თქვა მინისტრმა, — ამ საქმეს ხელი უნდა მოკიდონ შესაფერისმა ორგანოებმა, — და მან ალმაცერად გადახედა პოლიციის შეფს.

— ერთი წუთით, გთხოვთ! — არისტიდისმა ხელი ასწია. — როგორც ჩანს ვიღაცამ ჩემი ნდობა ბოროტად გამოიყენა და დიდ მასშტაბებშიც. — მისი ცივი თვალები ჯერ ვან ჰეიდემს, მერე დირექტორს მიაშტერდა. — როცა ამ სამედიცინო დაწესებულებას ვაგებდი, მე მხოლოდ ერთი მიზანი მქონდა — სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარება. მუსიე დირექტორო, თუკი ყველა ეს წამოყენებული ბრალდებები ფაქტებზეა დაყრდნობილი, გვიჩვენეთ ის ადამიანები, რომლებიც აქ ძალით არიან მოყვანილი.

— მაგრამ, მუსიე, ეს შეუძლებელია. ეს... ეს...

— გამოდის, რომ ჩემს სახელს ეფარებოდით, — ზიზღით ჩაილაპარაკა არისტიდისმა.

— თქვენ ყველანი საზღვარს გადახვედით და კანონი დაარღვიეთ. — მისი მშვიდი, მბრძანებლური მზერა, სადღაც დამსწრეთა თავებსზემოთ სივრცეს სერავდა.

არისტიდისი... ეს უზარმაზარი წონის ფიგურაა. მას არავითარი საქმე არ უნდა ჰქონდეს აფერისტობასთან. რასაკვირველია, ის შეძლებს წყლიდან მშრალად გამოსვლას. მაგრამ სულერთია, ეს მაინც მარცხია. მისი იმედების დამსხვრევა, მისი იდეის — ადამიანი-ავტომატის შექმნის კრახი. ამ საქმით მას კოლოსალური მოგება უნდა მიეღო. მისტერ არისტიდისი მხნედ შეხვდა ამ დამარცხებას. საქმიანი კარიერის მანძილზე ასეთი რამ ბევრჯერ შეხვედრია. ის ფილოსოფიურად სჯიდა და ხვდებოდა მარცხს, შემდეგ კი კვლავ განაგრძობდა გზას ახალი სვლის გასაკეთებლად.

— მე ხელი დამიბანია, — თქვა მან გარკვევით, როგორც ყოველთვის. — არავითარი საქმე არა მაქვს ყოველივე ამასთან.

პოლიციის შეფი აწრიალდა.

— გთხოვთ ხელი არ შემიშალოთ, — განაცხადა მან. — ჩემი ვალია საქმის ყოველმხრივ გამოძიება.

ვან ჰეიდემი, რომელსაც სახეზე მკვდრის ფერი დასდებოდა, წინ წამოდგა.

— გამომყევით, — უთხრა მან ხმის კანკალით, — მე გიჩვენებთ სარეზერვო შენობას, ჩვენ მას სათადარიგო მხარეს ვეძახით.

მეოცე თავი

ჰილარი თომასთან ერთად ტანჟერის პატარა სასტუმროს აივანზე იჯდა. ისინი ამ დილით ჩამოფრინდნენ.

— ნუთუ ყველაფერი ეს სინამდვილეში იყო? არ მჯერა, — ამოიოხრა ჰილარიმ. —

ენდრიუ პიტერსი სად არის? — ჰკითხა მან მათკენ მომავალ ჯესეპს.

— მალე მოვა, — გაეცინა ჯესეპს. — აქ რაღაც საქმეები აქვს მოსაგვარებელი.

— ესე იგი, პიტერსი თქვენი კაცი ყოფილა, — თქვა ჰილარიმ და ჩაფიქრდა. — და ის მაშუქებელი ნიშნებიც იმის ხელით იყო გაკეთებული? მფრინავსაც მაგან ანიშნა სიგნალი?.. არასოდეს არ ვიფიქრებდი!

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ჯესეპმა, — თქვენ ერთმანეთს უფრთხოდით. საერთოდ ის ჩემიანი არ არის. პიტერსი აშშ - ს წარმომადგენელია.

— თქვენ ეგ გყავდათ მხედველობაში, როცა მეუბნებოდით: როცა იქამდე მიაღწევთ, დაცვა გეყოლებათო? ენდრიუ პიტერსზე ამბობდით?

ჯესეპმა თავი დაუქნია.

— იმედი მაქვს, არ მისაყვედურებთ?

— რას?

— იმას, რომ თქვენი თავგადასავალი სასურველი დასასრულით დამეგვირგვინებინა.

— როგორ? — ვერ მიუხვდა ჰილარი ჯესეპს.

— როგორც დაგპირდით — საინტერესო სახის თვითმკვლელობას.

— ოჰ, მეც არა ვთქვი! — გაიქნია თავი ჰილარიმ. — ესეც ისევე არარეალური მეჩვენება, როგორც სხვა დანარჩენი. მე ისე დიდხანს ვიყავი ოლივია ბეტერტონი, თითქოს მეხამუშება კიდეც კვლავ ჰილარი კრეივენად გადაქცევა.

— აი, ჩვენი მეგობარი ლებლანკიც, — გამოცოცხლდა ჯესეპი. — მაპატიეთ, მე რაღაც საქმეზე უნდა მოველაპარაკო, — ის წამოდგა და ლებლანკის შესახვედრად გაეშურა.

— გამიგონეთ, ოლივია! — მღელვარედ წარმოთქვა თომასმა. — ჩემი გულისათვის კიდევ შეგიძლიათ რამის გაკეთება? მე ისევ ძველებურად ოლივიას გეძახით. მივეჩვიე...

— რა თქმა უნდა, მაგრამ რა უნდა გავაკეთო?

— აივანზე ჩემთან ერთად გამოიარეთ. მერე უკან დაბრუნდით და თქვით, რომ დასასვენებლად შევბრუნდი ოთახში.

ჰილარიმ გაოცებით შეხედა.

— რატომ? რას აპირებთ...

— თუკი მოვახერხე, აქედან გაქცევა მინდა, ძვირფასო.

— გაქცევა? მერე სად?

— საითაც შევძლებ...

— რატომ?

— აბა, იფიქრეთ, ჩემო გოგონავ, მე ხომ არ ვიცი აქაური კანონმდებლობა. ტანჟერი საკმაოდ უცნაური ქალაქია. ის არც ერთი ქვეყნის იურისდიქციას არ ექვემდებარება. მე კარგად ვიცი, სხვებთან ერთად რომ გიბრალტარში წავიდე, რა მოხდება. როგორც კი სრუტეს გადავკვეთ, მაშინვე დამაპატიმრებენ.

ჰილარი თანაგრძნობით შეჰყურებდა ბეტერტონს. ამდენმა მღელვარებამ ჰილარის სრულიად დაავიწყა ბეტერტონის პირადი უსიამოვნებები.

— საიდუმლო ცნობების გაცემას გულისხმობთ? მერე, იმედი გაქვთ, რომ შესძლებთ დამალვას? სად დაიმალებით?

— აკი გითხარით, სადმე-მეთქი.

— კი, მაგრამ ჩვენს დროში ეს შესაძლებელია? ამისათვის ფულია საჭირო, მერე კიდევ ათასგვარი ფორმალობა...

— ფული მაქვს. ის იქ არის შენახული, საიდანაც მიღება შემიძლია.

— ესე იგი, ფული მაინც აიღეთ?

— რასაკვირველია, ავიღე.

— თქვენ ალბათ მაინც მოგაკვლევენ.

— ეს ძნელი იქნება. ნუთუ არ გესმით, მე ახლა სხვანაირი სახე მაქვს... ჰილარიმ დაეჭვებით შეხედა.

— მაგრამ თქვენ სწორად არ იქცევით, — ცხარედ შეეპასუხა ქალი. — მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ დამნაშავე არა ხართ. ის არა სჯობია, საშშობლოში დაბრუნდეთ და სასჯელი მოიხადოთ? ბოლოს და ბოლოს, ახლა ხომ ომი არ არის. მე მგონი ცოტას მოგისჯიან. იმაზე მეტი ტანჯვა რა უნდა იყოს, რომ მთელი სიცოცხლე ცოდვა გდევდეთ.

— ეჰ, თქვენ ყველაფერი არ იცით, ოლივია. ვერ გამიგებთ. ახლა კი წავიდეთ, დროს ნუღარ ვკარგავთ.

— ტანჟერიდან როგორღა გააღწევთ?

— რამენაირად მოვახერხებ. ჩემი დარდი ნუ გექნებათ.

ჰილარი ფიქრებმა წაიღო. მას უჭირდა გარემოს ნათლად აღქმა. ჯესეპისა და ოლივიას წინაშე მოვალეობა მოიხადა. თომასთან გვერდიგვერდ იცხოვრა, მაგრამ რამდენი კვირა გავიდა და ერთმანეთისათვის მაინც უცხონი დარჩნენ. მათ შორის არც ინტიმური და არც მეგობრული ურთიერთობა არ დამყარებულა.

თომასი და ჰილარი აივნის ბოლომდე მივიდნენ. კედელში ჩატანებული პატარა

გვერდითი კარიდან ვიწრო ბილიკი იწყებოდა, რომელიც დაბლა, პორტისაკენ ეშვებოდა.

— შევეცდები, რომ აქ გავძვრე, — თქვა ბეტერტონმა. — აბა, ჯერჯერობით...

— წარმატებას გისურვებთ!

თომასმა კარი სწრაფად გამოაღო, მაგრამ მაშინვე უკან დაიხია: მის წინ სამი კაცი იდგა. ორი მათგანი აივანზე შემოვიდა, მესამე გარეთ დარჩა — ის პიტერსი იყო.

— თომას ბეტერტონ! — უთხრა ერთ-ერთმა შემოსულთაგანმა, — თქვენი დაპატიმრების ორდერი გვაქვს, ვიდრე ყოველგვარ ფორმალობას არ ჩაატარებენ,

აქ იქნებით დაკავებული, რათა მთავრობას გადაგცეთ როგორც დამნაშავე.

ბეტერტონი ადგილიდან მოწყდა, მაგრამ მეორე კაცი იქითა მხრიდან ამოუდგა გვერდში. მაშინ თომასმა ნერვიულად გაიცინა.

— იქნებ თქვენ მართალი ხართ, მაგრამ მე სულაც არა ვარ თომას ბეტერტონი.

— როგორ არა, — გაისმა პიტერსის მკაცრი ხმა. — სწორედ თქვენა ხართ თომას ბეტერტონი.

— უკანასკნელ თვეს თქვენც იქ იცხოვრეთ, სადაც მე ვიყავი და გესმოდათ ბეტერტონს რომ მიწოდებდნენ. მაგრამ საქმე ისაა, რომ მე ბეტერტონი სულაც არა ვარ. მე შევხვდი ბეტერტონს პარიზში და ისე მოხდა, რომ მე დავიჭირე მისი ადგილი. ჰკითხეთ ამ ქალს, ჩემი თუ არა გჯერათ, — თქვა თომასმა და ჰილარიზე მიუთითა. — ის ორგანიზაციაში ჩამოვიდა, როგორც ჩემი ცოლი და მეც მივიღე. ასე არ არის?

ჰილარიმ თავი დაუქნია.

— ეს იმიტომ მოხდა, — განაგრძო ბეტერტონმა, — რომ რადგან მე ბეტერტონი არ ვიყავი, ბუნებრივია, ოლივიასაც არ ვიცნობდი. მე მეგონა ჰილარი თომასის ნამდვილი ცოლი იყო. მერე მიხდებოდა ყოველივე არარსებულის გამოგონება, რომ როგორმე ამეხსნა ეს მისთვის. სრულ სიმართლეს მოგახსენებთ.

— აი, თურმე რატომ იკატუნებდით თავს, ვითომ მიცანით! — წამოიძახა ჰილარიმ, —

მაგრამ თქვენ მიჩურჩულეთ, რომ თამაში გამეგრძელებინა! ბეტერტონი ისევ იღიმებოდა.

— არა, არა, მე ბეტერტონი არა ვარ, — მისი ხმა დამაჯერებლად ჟღერდა. — დახედეთ რომელ ფოტოსაც გინდათ და დარწმუნდებით, რომ მე მართალი ვარ.

— მე ვნახე ბეტერტონის ფოტოები, — თქვა პიტერსმა. ეს ენდრიუ პიტერსის ხმა აღარ იყო, რომელსაც ჰილარი მიჩვეული იყო. ის შეურიგებელი სისასტიკით ლაპარაკობდა. — მე გეთანხმებით, რომ იმ ფოტოზე გამოსახულ კაცს არ ჰგავხართ. მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. მე მაინც დავამტკიცებ, რომ თქვენ თომას ბეტერტონი ხართ.

უცებ მან ბეტერტონს ხელი სტაცა და პიჯაკი გახადა.

— თომას ბეტერტონს მარჯვენა ხელზე შრამი აქვს, რომელიც ასო Z ჰგავს. — ამის თქმისთანავე მან ბეტერტონს პერანგი გააძრო. — აი! — წამოიძახა მან გამარჯვებული სახით. — აშშ-ს ორი ლაბორანტი მოწმეა, რომ თომას ბეტერტონზე შრამი ნახეს. ისინი სასამართლოზე მოწმეებად გამოვლენ. ეს მე ელიზასგან ვიცი მან მომწერა, რომ თქვენ უბედურება შეგემთხვათ და ხელი დაიშავეთ.

— ელიზა? — ბეტერტონმა გაოცებით შეხედა პიტერსს. მას ნერვიული კანკალი აუვარდა. — ელიზა? რა თქვით ელიზაზე?

— რატომ არ იკითხავთ რაში გადანაშაულებენ? პოლიციის ოფიცერი წინ წამოდგა:

— თომას ბეტერტონს ბრალად ედება მკვლელობა. თქვენ ბრალად გედებათ თქვენი ცოლის, ელიზა ბეტერტონის მკვლელობა.

ოცდამეერთე თავი

— მერწმუნეთ, ოლივია, ძალიან ვწუხვარ ნამდვილად. თქვენი გულისათვის მზად ვიყავი მისთვის გაქცევის საშუალება მიმეცა. აკი გაფრთხილებდით, ორგანიზაციაში უფრო დაცული იქნება-მეთქი, მიუხედავად იმისა, რომ ბეტერტონის ძებნაში ნახევარი დედამიწა შემოვიარე.

— ვერაფერი ვერ გამიგია, თქვენ მაინც ვინა ხართ?

— მე მეგონა, თქვენ იცოდით. მე ბორის გლიდერი ვარ, ელზას ძმა. პოლონეთიდან შეერთებულ შტატებში გამომგზავნეს სასწავლებლად. როდესაც ევროპაში ფაშისტური გადატრიალება დაიწყო, ბიძაჩემმა გადაწყვიტა, უკეთესი იქნებოდა, თუ ამერიკის მოქალაქეობას მივიღებდი. ასე გავხდი ენდრიუ პიტერსი. ომი რომ დაიწყო, კვლავ ევროპაში დავბრუნდი. ბიძაჩემისა და ელიზას გადაყვანა მოვახერხე შტატებში. ელიზა... მე უკვე მოგიყევით იმაზე, რომ ის ერთ-ერთი ცნობილი მეცნიერი იყო თანამედროვეთა შორის. ეს მან აღმოაჩინა „ZE“- ს გახლეჩა. მანჰეიმს საიდანღაც ახალი თანაშემწე აღმოაჩნდა — კანადელი ბეტერტონი. ის ბიძაჩემს უნდა დახმარებოდა მეცნიერულ მუშაობაში. მან თავისი საქმე იცოდა, სხვა არაფერი. ანგარების მიზნით მალე ფლირტი წამოიწყო ელიზასთან და ბოლოს იქორწინა კიდეც, რათა ამ გზით ჩამდგარიყო ჩემი დის სამეცნიერო საქმის კურსში. რაკი ცდები დასასრულს უახლოვდებოდა, ბეტერტონი მიხვდა, რა გრანდიოზული შესაძლებლობის მოტანა შეეძლო ამ აღმოჩენას და მან ელიზა მოწამლა.

— ოჰ, არა, არა! ეგ შეუძლებელია!

— დიახ, სწორედ ასე იყო. იმ დროს არავინ დაეჭვებულა ამაში. ბეტერტონი ისეთ სახეს იღებდა, ვითომ ძალიან დამწუხრებული იყო და თავდავიწყებას ლაბორატორიულ სამუშაოებში ეძებდა. მალე მან განაცხადა „ZE“-ს გახლეჩის შესახებ. ეს აღმოჩენა თვითონ მიიწერა. ამ ამბავმა სახელი, დიდება და ფული მოუტანა. ამის მერე გადაწყვიტა, რომ კეთილგონივრული იქნებოდა, თუ იქაურობას გაეცლებოდა. ასე მოხვდა ის ჰარველში, სადაც კიდევ რამდენიმე წელი იმუშავა. ომის დამთავრების შემდეგ ერთხანს ევროპაში დამაყოვნეს, რადგან კარგად ვიცოდი ენები — გერმანული, პოლონური და რუსული. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ელზამ წერილი გამომიგზავნა. მე დიდი ეჭვი აღმიძრა იმ ავადმყოფობამ, რომელიც მას სტანჯავდა და რომელიც მისი სიკვდილის მიზეზიც გახდა. ეს რაღაც უჩვეულოდ მომეჩვენა. ბოლოს, როდესაც შტატებში დავბრუნდი, შევეცადე რისკზე წავსულიყავი, დამეძლია შიში და გამოკვლევა ჩამეტარებინა. ახლა ყველა წვრილმანს არ გიამბობთ,

მაგრამ ჩემი ვარაუდი გამართლდა. გვამის ეკსგუმაციის ნებართვა ავიღე. იმ დროს საოლქო პროკურორად იყო ბეტერტონის დიდი მეგობარი. ის ევროპაში ტურისტულ მოგზაურობას აპირებდა და მე მგონია, რომ მან ბეტერტონთან შეხვედრისას ეკსგუმაციის შესახებ რაღაც წამოაყრანტალა. ბეტერტონი მაშინვე მიხვდა, რა საშიშროება ემუქრებოდა. მე ვფიქრობ, ის სწორედ მაშინ გადაეყარა ჩვენი საერთო ნაცნობის, არისტიდისის აგენტებს. ასე იყო, თუ ისე, ეს ერთადერთი გამოსავალი იყო — მკვლელობის გამო პატიმრობას უნდა გაქცეოდა. თუ გარეგნობას შეუცვლიდნენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდა მათ წინადადებას. სინამდვილეში სხვა რამ აღმოჩნდა. ბეტერტონი კიდევ უფრო საშიშ გარემოში მოხვდა. მას მეცნიერული პროდუქციის მოცემა არ შეეძლო. ნამდვილი მეცნიერის ნიჭი მას არასოდეს არ გააჩნდა. უნიჭოებს კიდევ არისტიდისი თავზე ხელს არ უსვამს. უნიჭოებს ის სარისკო ფიზიოლოგიური ცდებისათვის იყენებს. ბეტერტონი ამას მალე მიხვდა.

— მერე, თქვენ მას კვალდაკვალ სდევდით?

— დიახ. ინგლისში ჩამოვედი იმ დროს, როდესაც გაზეთები სენსაციური სტატიებით იყო აჭრელებული. დაიკარგა ცნობილი ინგლისელი მეცნიერი თომას ბეტერტონი! იმ ხანებში ერთ ჩემს კარგ მეგობარს დაუწყეს გადაბირება არისტიდისის ხალხმა, სახელდობრ, მისის სპიდერმა. სპიდერი ფორმალურად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მუშაობდა. მე დავადგინე, რომ ის ხვდებოდა ბეტერტონს. ვიშოვე ხელსაყრელი მომენტი და გავეცანი. ჩვენ ვისაუბრეთ. მე საკმაოდ მემარცხენე შეხედულებები გამოვთქვი და აგრეთვე შევეცადე ჩემი მეცნიერული ნიჭი გამეზვიადებინა. ჩემი ნათქვამი მიზანს მოხვდა და სპიდერმა ბეტერტონის გზას გამიყენა.

პიტერსის სახეს მწარე ნაღველი დაეტყო.

— ჩემი და ელზა ბრწყინვალე მეცნიერი იყო, საყვარელი და ლამაზი ქალი. ის მოკლა და გაძარცვა კაცმა, რომელიც მას უყვარდა და უსაზღვროდ სჯეროდა მისი. შემთხვევა რომ მომცემოდა, ჩემი ხელით დავახრჩობდი ბეტერტონს.

— ჩემთვის ახლა ყველაფერი გასაგებია, — ნაღვლიანად თქვა ჰილარიმ.

— მე თქვენ მოგწერეთ, — განაგრძო პიტერსმა, — როგორც კი ინგლისში ჩამოვედი. ბარათს, რასაკვირველია, ჩემი პოლონური გვარი მივაწერე. წერილში ყველა ფაქტი გადაგიშალეთ. როგორც ჩანს, თქვენ არ დამიჯერეთ. თქვენგან პასუხიც არ მიმიღია. — პიტერსმა მხრები აიჩეჩა. — მე ისღა დამრჩენოდა, რომ ინტელიგენტ სერვისისთვის

მიმემართა. პირველად სცენა გავითამაშე: ვითომ პოლონელი ოფიცერი ვიყავი, თავშეკავებული, კარგი ქცევები მქონდა. მაშინვე ეჭვქვეშ დამაყენეს. ბოლოს, როგორც იქნა, მე და ჯესეპმა ერთმანეთს გავუგეთ. — ის გაჩუმდა. — დღეს ძიების გზა დამთავრდა. ბეტერტონს ექსტერიტორიულობის კანონს მიუყენებენ. ის ამერიკის ხელისუფლების სასამართლოს წინაშე წარსდგება. არ ვიცი, გაამართლებენ თუ არა, მაგრამ მე ყველაფერი გავაკეთე, რაც ჩემზე იყო დამოკიდებული. — მერე პირქუშად დაუმატა: — არა მგონია გაამართლონ. მის წინააღმდეგ მეტად სერიოზული სამხილებია.

პიტერსი გაჩუმდა და მზის სხივებით განათებულ ბაღებს ზემოთ გაიხედა.

— მაგრამ, რაც მთავარია მოხდა ყველაზე საშინელი რამ: ჩამოხვედით თქვენ და შემიყვარდით. ეს ძალიან გულსატკენია, ოლივია. თქვენ წინ დგას ადამიანი, რომელმაც თქვენი ქმარი ელექტრო სკამზე გაგზავნა. ამას ვერსად წაუვალ: ვერასოდეს მაპატიებთ და ვერც დაივიწყებთ. მე დავამთავრე ჩემი სათქმელი. — პიტერსი წამოდგა. — მინდოდა, რომ ეს ყველაფერი ჩემგან მოგესმინათ. ეს ჩვენი უკანასკნელი საუბარია.

— მოითმინეთ, — უთხრა აღელვებულმა ჰილარიმ. — მოითმინეთ, ენდრიუ, არც თქვენ იცით ყველაფერი. მე ბეტერტონის ცოლი არა ვარ. მისი ნამდვილი ცოლი ოლივია ბეტერტონი კასაბლანკაში დაიღუპა. ჯესეპმა დამითანხმა, რომ მისი სახელით წავსულიყავი.

ენდრიუმ გაოცებისაგან თვალები დააჭყიტა.

— თქვენ ოლივია ბეტერტონი არა ხართ?

— არა!

— ო, ღმერთო, — ჩაილაპარაკა ენდრიუ პიტერსმა. — ღმერთო!

— მე მქვია ჰილარი, ჰილარი კრეივენ.

— ჰილარი?! უნდა შევეჩვიო ამ სახელს... მან ჰილარის ხელები დაუჭირა.

აივნის მეორე ბოლოში ჯესეპი და ლებლანკი მსჯელობდნენ იმ სხვადასხვა ტექნიკურ საკითხებზე, რომელიც ბეტერტონის საქმესთან იყო დაკავშირებული.

— მე მგონი, — თქვა ლებლანკმა, — ჩვენ მოვახერხებთ პროცესი აღვძრათ ამ მხეცის — არისტიდისის წინააღმდეგ.

— ოჰ, არა! არა! არისტიდისები ყოველთვის იმარჯვებენ. ისინი წყლიდან მშრალად ამოსვლას ყოველთვის ახერხებენ. მართალია, საკმაოდ დიდ თანხას დაკარგავს, მაგრამ ეს იქნება და ეს. თუმცა იცოდეთ, არც არისტიდისია უკვდავი. ოდესმე მასაც მოეთხოვება პასუხი.

— ჯესეპ, რამ მიიქცია თქვენი ყურადღება?

— იმ ორმა, — გაეცინა ჯესეპს. — ჰილარი მე ხანგრძლივად სამოგზაუროდ გავგზავნე და თუმცა დანიშნულების ადგილი უცნობი იყო, როგორც ვხედავ, ის მშვიდობიან ყურეში დასრულდა საკმაოდ ზუსტი დასახელების ნაპირას.

ლებლანკმა გაოცებით შეხედა მოსაუბრეს.

— აჰა, გასაგებია! ეს თქვენი შექსპირისეულია.

— ოჰ, ფრანგები ყოველთვის ისეთი ნაკითხები ხართ, — გაეცინა ჯესეპს.

ინგლისურიდან თარგმნა ციალა ხაჩიძემ

სარჩევი

პირველი თავი 1
მეორე თავი 14
მესამე თავი 21
მეოთხე თავი 26
მეხუთე თავი 30
მეექვსე თავი 34
მეშვიდე თავი 37
მერვე თავი 41
მეცხრე თავი 51
მეათე თავი 59
მეთერთმეტე თავი 66
მეთორმეტე თავი 73
მეცამეტე თავი 84
მეთოთხმეტე თავი 89
მეთხუთმეტე თავი 94
მეთექვსმეტე თავი 102
მეჩვიდმეტე თავი 109
მეთვრამეტე თავი 120
მეცხრამეტე თავი 123
მეოცე თავი 134
ოცდამეერთე თავი 139